

ლიტერატურული გაზეთი

№6 (286) 4 - 10 ივნისი 2021

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

შეადგინი ნომერი ბამოვა
ერთ კვირაში —
11 ივნისს

ირმა ბერიძე

ფრენების აკრძალვა

ფრენების აკრძალვამ ყველაზე მეტად ისინი აზარალა,
ვინც არასდროს მჯდარა თვითმფრინავში,
ვინც არსად გაფრენილა.
ფრენების აკრძალვამ მათ ფანჯრებში
გააქრო თვითმფრინავები
და გააუქმა ღამეული რეისები
ოთახიდან ცამდე:
ჩემოდნის ჩალაგება,
გულის საამო აჩქროლება,
აეროპორტის მაგიური გასასვლელები,
ადგილი ილუმინატორთან,
მერე თვალების დახუჭვა
და მიწიანი ფეხისგულებით
ღრუბლის ზღვაში შებიჯება...
ეს ფრენა მუდამ პირველია,
ოცნების ყველა მომდევნო ჯერზე,
და ცალმხრივი.
უფრო მეტი ფრენებისთვის
ცა უნდა იყოს უჩარჩოო, უპორიზონტო,
მეტზე ოცნებას არ ჰყოფნის ეს ცა,
სულ ორიოდე კვადრატული მეტრი,
იმდენი,
რასაც
ოთახის ვინრო ფანჯრები იტევს.

IV

ზოია ცხადაია

ნიბნი ჟამთა ტალღაში



პოსტსტალინიზმმა „დათბობის“ პერიოდმა, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შევება მოუტანა ბოლშევიკური იდეოლოგიით დათრგუნვილ საბჭოთა, მათ შორის, ქართულ მწერლობას. შესაძლებელი გახდა სოცრეალიზმის აბსურდული კლიშეების რღვევა. ქართული მწერლობის ახალი თაობის, 60-იანელებად სახელდებული პროზაიკოსების თუ ლირიკოსების, მაღალი ნიჭიერებისა, გემოვნებისა და მიწაგანი მზაობის ერთობლიობით შეიქმნა სრულიად განსხვავებული, ახალი მხატვრული ლირებულებებისა და ეფექტის მქონე ლიტერატურა (რომანები, მოთხრობები, ნოველები, ლირიკული ტექსტები...); ბოლომდე გულგახსნილობის შეზღუდვებს მათ რთული და საინტერესო შემოქმედებითი მანერით უპასუხეს: მითოლოგიზმების, მეტაფორების, ალეგორიების, სიმბოლოების, გროტესკის, ირონია-პაროდირების, დროისა და სივრცის გაუცხოების გზით საკუთარი სათქმელის გამოხატვისა... 50-იანი წლების მიწურულიდან პოსტსაბჭოთა პერიოდამდე შექმნილი ეს ლიტერატურა (რჩეულთა ლიტერატურა) განსაკუთრებულ და განსხვავებულ ადგილს იკუთვნებს XX საუკუნის ქართულ მწერლობაში.

სრულმა თავისუფლებამ (90-იანი წლებიდან), სიტყვის ნებადართულობამ შესაძლებელი გახდა დაგუბებული, შენახული ტკივილების ხელისგულზე გამოტანა. დადგა დრო, როცა ერთბაშად დაძრული სათქმელი, „საჭირო სიტყვა საჭირო ადგილზე“ (სვიფტი) უნდა გამოტანილიყო, თანაც, რაც შეიძლება, მალე. ეს ამავე თაობის ხევდრი უფრო იყო, რადგან მათი მშობლების, ბებია-ბაბუების, ახლობლების, ჯერ კიდევ ახლო წარსულის, ჯერ კიდევ ღია ქრონოლოგების ისტორიები (უამრავი ზეპირგადმოცემიდან თუ, უკვე ნებადართული, სუკის საარქივო მასალების გაცნობის შედეგად გამოვლენილი) ღია, პირდაპირ საუბარს ითხოვდა... დრო არ ითმენდა, რომ დაეინყვების ბინდს არ დაეფარა გულში ნატარები და დღევანდელობამდე მოტანილი თითოეული დრამის, ტრაგედიის, ტკივილის, ბოლმის სიცხადე. გურამ გეგეშიძის რომანი „ნაცრის კოშკი“ ამგვარი სათქმელის სიუჟეტითა და სტილური გამოხატვით სწორედ ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს.

ყოველი მწერალი თავის ნაწარმოებში გარკვეულწილად თავის საკუთარ თავს ხატავს, ხშირად — თავისდაუნებურადაც (გოეთე)... ამას იფიქრებს „ნაცრის კოშკის“ მკითხველიც. მთავარი გმირი, გიორგი უნდილაძე, მწერლის ასაკისაა, მწერლის ორეულია, ადამიანი, რომელმაც ბევრი

რამ იცის, გაუგია, მერე და მერე, რაც თავალი გაუხელია, თავადც ბევრი რამ უნახავს. განსაკუთრებული სიმწვავეთი გიორგი უნდილაძეს ის ცხოვრებისეული ფაქტები და მოვლენები ახსენდება, რაც გურამ გეგეშიძის თაობამ საკუთარ თავზე გადაიტანა, თუნდაც 9 მარტის მოვლენები, როცა 15-16 წლის ჭაბუკები დაიღუპნენ. მათ მიზანდათ, რომ რუსეთის იმპერიისთვის, დიდი საბჭოთა კავშირისთვის თავგადაკლული ბელადის, სტალინის, დაგმობით საბჭოთა მთავრობა შეურაცხყოფდა ქართველთა ეროვნულ ღირსებას. ასე — როგორც ეროვნულმა მკვდარმა, სტალინმა შეინარა კიდევ ერთი თაობა. თუ მანამდე ადამიანები საბჭოთა სამართლითა და სტალინური დიქტატურით ისჯებოდნენ, ახლა თავად, ნებაყოფლობით, გულანთებულებმა დადეს თავი, ზედ რუსთაველის პროსპექტზე, სანაპირომდე — ბელადის ძეგლამდე მიუღწევლად, სადაც ბელადის გულშემატკივრები იყვნენ თავშესაფრის. დრომ, ცოტა გვიან, მაგრამ ყველაფერი გააკვირა. გადარჩენილებისათვის უძიმესი სატარებელი იყო ამაზე ფიქრი. თითქმის ოთხი ათეული წელი ტაბუ ედო ამ ტრაგედიას. ამიტომაც არის ასე ემოციური და ექსპრესული მწერლის სტილი, ცდილობს, არაფერი გამოჩინოს, ერთმა მეორე არ დაავინყოს, თუ რამ უთქმელი დარჩა, რომანის რომელიმე თავში სხვაც გაიხსენებს იმავეს. სათქმელი ნაკლებადაა დალაგებული მწყობრად, ზიგზაგებოანი და არითმიულია, ნერვიულ და უთანაბრო სუნთქვასთან ერთად მოტანილი.

მიხო მოსულიშვილთან ინტერვიუში გურამ გეგეშიძე ამბობს: „ამ ხნის კაცი ვარ და, ჩემ ნაწერებზე გაგებას რომ შევხვედროდი, იმეათად ძალიან... იქ, ძალიან იშვიათად ვაწყვდები ისეთ რამეს, რომ გამიგონ, ხალხმა გამიგოს“... მწერალს და მის ნიგნს, ამ შემთხვევაში „ნაცრის კოშკს“, ადვილად გაუგებს ის, ვინც ირწმუნებს, უკეთ — ვინც იცის, საიდან მოდის ეს ისტორიები, ეს ფაქტები, დეტალები. რადგანაც (საქმის მასალების სიმძიმის გამო ვერ ვიტყვი, საბედნიეროდ-მეთქი) გეგეშიძე პატივი, დაწვრილებით გაცნობილი სუკის არქივის მასალებს (1921-1956 წლებისას); ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, გურამ გეგეშიძის მხატვრული სამყაროდან ახალი სიმწვავეთი და ტკივილით აიშალა ის ჯოჯოხეთი, რომელიც იქ, საარქივო საცავებში, მტვერნაყრილი მდუმარებით იხსავენ ათასობით ნატანჯი ადამიანის ტრაგიკულ ისტორიებს (მათი ბოლომდე განადგურება ვერ მოუხსნიათ და ფრაგმენტებად შემორჩენილებიც სულსა და გულს შეძრავენ დაინტერესებულ მკითხველში, მკვლევარში)... ვისთვისაც გაურკვეველი იქნება მწერლის ეგრეთ წოდებული სამზარეულო, ის რეალური მუხტი, რამაც რომანში თხრობის დაძაბულობა და ფაბულათა სიმრავლე გამოიწვია, ირწმუნოს, რომ ეს ყველაფერი ისაა, რაც იყო, როგორც იყო.

ტაბუდადებული ფაქტების ეპიზოდები რომანში შორიდან იწყება, იმ დროიდან, როცა გიორგი უნდილაძე ჯერ კიდევ არ მოვლენოდა ქვეყანას ანუ მისი ბიოგრაფიის „პრეისტორიულ“ ხანაში: ოცდაოთხი წელი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდაორი წლის შეთქმულთა ტრაგიკული ისტორია... რეპრესიების ახალი ტალღა უკვე თვალწინ, 50-იან წლებში: ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმე“, ემიგრაციიდან მოტყუებით თუ ნებით დაბრუნებულების გადასახლება, ოცდაჩვიდმეტში დახვრეტილთა ქვრივ-ობლების დანიოკება და სამუდამო გადასახლება... გაუთავებელი „სისხლის წვიმები“, როგორც უნდა გურამ გეგეშიძემ თავის იმ ციკლის ერთ-ერთ რომანს, XX საუკუნის საქართველოს მხატვრული ისტორიულ მატარებელად რომა ჩაფიქრებული საერთო სათაურით — „ქართლის ჭირი“. „ნაცრის კოშკი“ ქართლის ჭირის გაგრძელებაა — ჟამთა აღმწერისთვის, მწერლისთვის, ეს ჭირი უფრო ახლოსაა. ის მკითხველის თვალწინ იზრდება, ყალიბდება. იცვლება წლებთან ერთად, ცხოვრებისეული დრამების კვალდაკვალ. მის ბავშვურ, ფაქიზ სევდას კიდევ უფრო ამუქებს ცხოვრების, რეალობის უხეში შეხება: „ცხოვრება პირქუში იყო... ჩამოღამებულ გარემოში ცხოვრობდა და ვერ განიცდიდა ბავშვურ სილაღეს, რადგან ცოტა რამ იყო ირგვლივ სასიხარულო. ათასი წვრილმანი წნეხივით აწვა სულს, მუდამ შეჭირვებულს, გაუბედურს. უბრალო თამაშიც კი არ იყო ძლიერი სიხარულის წყარო. იგი ვერ ხედავდა გახარებულ ადამიანებს და არც თვითონ იცოდა, რა არის ნამდვილი სიხარული. მის ირგვლივ ქვეყანა იყო ჩამაფიქრებელი, საშიში, ხიფათის შემცველი. ტკბილი სიტყვა იშვიათად ესმოდა და არ იცოდა მისი ფასი“... ეს ომისა და ომის შემდგომი წლებია, უმეტესობისთვის — სილაღესმოკლებული ბავშვობის ნაცრისფერი წლები, სევდისფერი წლები. თანდათან ღრმავდება ეს განცდები: „ქუჩაში ხელგამოწვდილი მათხოვრები იწვევდნენ სევდას“, მასწავლებლის მიერ ნაკითხულმა „შვალის ნუკრის ნამბობმა“ გული საშინელი დარდით დაუძიმა, გუმანით გრძობდა მარადიული მარტოობის, მიუსაფრობის, სულით ობლობის სიდუხჭირეს“. სამუდამოდ გულისმომკვლელად ჩარჩენილა მის მეხსიერებაში, მის მგრძობიარე სულში შემთხვევით, ქალებისგან ნათქვამი ფრაზა: „ალბათ, დეზერტირები... დასახვრეტად“... მაშინ კოჯრის ბრუნდებოდნენ და ოქროყანასთან რუსულად ხისტმა შეძახებამ თავზარი დასცა. ქალებმაც მაშინ ნამოძახეს ის სამი სიტყვა. ნათქვამია, უბრალო ადამიანები ბავშვებთან მიმე ფაქტებზე საუბარს არ ერდებიანო — ქალები ვითომ ცდილობენ, ბოლომდე არ გახსნან სათქმელი, მაგრამ ბავშვი ყველაფერს ხედავს და სამუდამოდ დალდასმული რჩება მისი გული, მისი ცნობიერი სამყარო, რომელიც სიხარულით და ვარდის ფერებით უნდა ყოფილიყო სახე და არა მრუმე, გადანაცრებული ხილვებით. შემდეგაც არაერთხელ სმენია დეზერტირების დახვრეტის ფაქტებზე პატარა გიორგის, ჯერ-ჯერობით მაინც ახლოს არ ენახა სიკვდილი, ყველაფერი მაინც უცნაო განზომილებაში ხდებოდა, სადაც და არა მის თვალწინ, თუმცა მაინც შეძრული იყო ბავშვი. ამიტომაც უბრუნდება მწერალი ხშირად დეზერტირების თემას — დროის შორი გადასახედდნენ.

„ნაცრის კოშკი“ II მსოფლიო ომის პირობებში ერთ-ერთი უმთავრესია და ყველაზე შთამბეჭდავად ჩარჩენილი გიორგი უნდილაძის მეხსიერებაში. ომი რომ დაიწყო, იგი შეიდი წლისა იყო და ის დღე სამუდამოდ დამახსოვრდა. აქ, ზურგში, ამ ომმა თავალი ჭირი და უბედურება დაატეხა თავზე სასონარკვეთილ ადამიანებს. პირველ ყოვლისა, შვილების, ძმების, ზოგადად, ახალგაზრდების ომში განვევა. ეს ომის კანონია — იტყვის მავანი, მაგრამ ენთუზიაზმი თითქმის არ ჩანს იქ მიმავალთა და აქ დარჩენილთა (მშობლებისა და ნათესავების) სახეებზე. ასეთად შემორჩენილია გიორგის ბაბუამისის, მიხაკო ნიგურის

ანის სახე და განწყობა იმ დღეებიდან: „მაშინ მიხაკო სამოცდაორი წლისა იყო. მან იცოდა, რომ ცეცხლის წინა ხაზზე ბრძოლა აღარ მოუწევდა. ომი ახალგაზრდობის საქმე იყო, ყოველთვის ახალგაზრდები ეწირებოდნენ ომს... ახლაც ბევრი ახალგაზრდა დაიღუპებოდა — სინანულით გასცქეროდა თავის უმცროს შვილს, ავთოს... ღმერთმა იცის, სად უკრავდნენ თავს, რა ბედი ეწოდა“...

ახლა, წლების მერე, როცა ყველაფერი გარკვეულია წარსულის შესაფასებლად, გიორგის ძველი სევდით ავსებს გახსენება იმ ნიფლნარელი ჭაბუკებისა, რომლებიც კომისარიატიდან უწყებების მიღებისთანავე მიდიოდნენ ომში: „ზოგი მხნედ, გულადად, ომახიანი სიმღერით, ადგ ხნებულნი და დაძაბულნი, ზოგნი შინაგანად გატეხილნი, დუნედ, მორჩილად, თითქოს გალი სადღაც დაბლა ჩავარდნოდან... ასეთი იყო აუცილებელი მოთხოვნა დროისა, ბედისა, უტეხი გარდაუვალობისა“... გიორგის ისიც ახსოვს (მწერალი სიმართლეს არ გაურბის), რომ მოხალისეებიც მიდიოდნენ ამ ომში (ალბათ, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, რეალურად სად მიდიოდნენ) გულწრფელად, რომანტიკულად ანთებულნი. მაგრამ მათი რიცხვი თანდათან იკლებდა. ომის ექო თანდათან მოიწვედა, ბევრ ოჯახში ისმოდა გლოვის ზარი... მუდმივად მწუხარების ყურება მძიმე კვალს ტოვებდა პატარებშიც. გიორგი უბრუნდება იზრდება პროფესორი მამის ოჯახში, მაინც საერთო ატმოსფერო მასაც ეხებოდა.

გიორგი სკოლაში სწორედ იმ წელს წავიდა, როცა ომი დაიწყო. მე-14 სკოლაში მიიყვანეს (ეს საჩვენებელი სკოლა იყო — ზ.ც.) თუმცა სულ სხვა შენობაში, რადგან მე-14 სკოლის შენობაში ჰოსპიტალი გაეხსნათ. მწერალი იხსენებს, რომ ამ სკოლის ბავშვებიდან ზოგიერთი უმამოდ და უპატრონოდ იყო დარჩენილი, ზოგს ომში დაღუპვოდა მშობელი, ზოგიერთს ოცდაჩვიდმეტ წელს დაუჭირეს და დაუხვრეტეს და ახლა სამადლოდ პატრონობდნენ ნათესავები. გიორგი გრძობდა, მშობლების გარეშე დარჩენილი პატარა ბავშვები, ბუნებით უფრო მორიდებულნი, საკმაოდ დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ. მამებდახვრეტილი ბავშვების პატარა ისტორიების ჩართვით მწერალი იმ დიდ ტკივილს გამოხატავს, რომელიც თავის დროზე პატარას ღრმად არ ჰქონდა გაცნობიერებული და აი, ახლა, უკვე წლებით დამძიმებულს, გულს უძიმებდა.

მწერალი მკითხველთან ერთად მიჰყვება ეპოქის სასტიკი, ტრაგიკული მოვლენების დეტალებს. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებთან დაკავშირებით იხსენებს ცნობილ ფაქტებს, საზოგადოების სულიერ კრიზისს... შიშს, უნდობლობას, დაუნდობლობას: „საბჭოთა სისტემის პირობებში ქართველები არავისზე უკეთ არ ამყლავებდნენ თავს, აბეზღებდნენ ერთმანეთს, არ ინდობდნენ, ლუპავდნენ მოყვასს, დევნიდნენ ღირსეულთ“.

ომის წლების ტრაგიკული ნაწილია 1942 წლის შეთქმულთა საქმე, რომელსაც გარკვეულ ადგილს უთმობს მწერალი. როგორც სხვებთან (ისტორიული პირობის, პროტოტიპების შემთხვევაში), გურამ გეგეშიძე არც ამ ფაქტებზე საუბრისას არ ასახელებს მათ ნამდვილ გვარ-სახელებს. იგი იხსენებს „ცნობილი პროფესორის“ (იგულისხმება 1942 წლის შეთქმულთა საქმეზე დაპატიმრებული და ციხიბრძნის 5 წლით



ანის სახე და განწყობა იმ დღეებიდან: „მაშინ მიხაკო სამოცდაორი წლისა იყო. მან იცოდა, რომ ცეცხლის წინა ხაზზე ბრძოლა აღარ მოუწევდა. ომი ახალგაზრდობის საქმე იყო, ყოველთვის ახალგაზრდები ეწირებოდნენ ომს... ახლაც ბევრი ახალგაზრდა დაიღუპებოდა — სინანულით გასცქეროდა თავის უმცროს შვილს, ავთოს... ღმერთმა იცის, სად უკრავდნენ თავს, რა ბედი ეწოდა“...

ახლა, წლების მერე, როცა ყველაფერი გარკვეულია წარსულის შესაფასებლად, გიორგის ძველი სევდით ავსებს გახსენება იმ ნიფლნარელი ჭაბუკებისა, რომლებიც კომისარიატიდან უწყებების მიღებისთანავე მიდიოდნენ ომში: „ზოგი მხნედ, გულადად, ომახიანი სიმღერით, ადგ ხნებულნი და დაძაბულნი, ზოგნი შინაგანად გატეხილნი, დუნედ, მორჩილად, თითქოს გალი სადღაც დაბლა ჩავარდნოდან... ასეთი იყო აუცილებელი მოთხოვნა დროისა, ბედისა, უტეხი გარდაუვალობისა“... გიორგის ისიც ახსოვს (მწერალი სიმართლეს არ გაურბის), რომ მოხალისეებიც მიდიოდნენ ამ ომში (ალბათ, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, რეალურად სად მიდიოდნენ) გულწრფელად, რომანტიკულად ანთებულნი. მაგრამ მათი რიცხვი თანდათან იკლებდა. ომის ექო თანდათან მოიწვედა, ბევრ ოჯახში ისმოდა გლოვის ზარი... მუდმივად მწუხარების ყურება მძიმე კვალს ტოვებდა პატარებშიც. გიორგი უბრუნდება იზრდება პროფესორი მამის ოჯახში, მაინც საერთო ატმოსფერო მასაც ეხებოდა.

გიორგი სკოლაში სწორედ იმ წელს წავიდა, როცა ომი დაიწყო. მე-14 სკოლაში მიიყვანეს (ეს საჩვენებელი სკოლა იყო — ზ.ც.) თუმცა სულ სხვა შენობაში, რადგან მე-14 სკოლის შენობაში ჰოსპიტალი გაეხსნათ. მწერალი იხსენებს, რომ ამ სკოლის ბავშვებიდან ზოგიერთი უმამოდ და უპატრონოდ იყო დარჩენილი, ზოგს ომში დაღუპვოდა მშობელი, ზოგიერთს ოცდაჩვიდმეტ წელს დაუჭირეს და დაუხვრეტეს და ახლა სამადლოდ პატრონობდნენ ნათესავები. გიორგი გრძობდა, მშობლების გარეშე დარჩენილი პატარა ბავშვები, ბუნებით უფრო მორიდებულნი, საკმაოდ დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ. მამებდახვრეტილი ბავშვების პატარა ისტორიების ჩართვით მწერალი იმ დიდ ტკივილს გამოხატავს, რომელიც თავის დროზე პატარას ღრმად არ ჰქონდა გაცნობიერებული და აი, ახლა, უკვე წლებით დამძიმებულს, გულს უძიმებდა.

მწერალი მკითხველთან ერთად მიჰყვება ეპოქის სასტიკი, ტრაგიკული მოვლენების დეტალებს. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებთან დაკავშირებით იხსენებს ცნობილ ფაქტებს, საზოგადოების სულიერ კრიზისს... შიშს, უნდობლობას, დაუნდობლობას: „საბჭოთა სისტემის პირობებში ქართველები არავისზე უკეთ არ ამყლავებდნენ თავს, აბეზღებდნენ ერთმანეთს, არ ინდობდნენ, ლუპავდნენ მოყვასს, დევნიდნენ ღირსეულთ“.

გადასახლებული თსუ-ის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე მიხეილ ზანდუკელი დაპატიმრების ფაქტს, ზოგადად პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაპატიმრებას, რომელთაც ბრალად ედებოდათ საიდუმლო ორგანიზაციის დაარსება, „საქართველოში გერმანელთა შემოსევისა და უნდა მიგებებოდა“. ამის გახსენება მწერალს უფრო იმისთვის სჭირდება, რომ აჩვენოს რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ალბერტ ანიშვილის, მძიმე ისტორია. ალბერტის გარემო საქართველოს ტრაგიკული მოვლენების წრე იკრება. იგი მამით გერმანელია, გვარად ბაუერი. დედა — ანეჟა ანიშვილი პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცოლად გაჰყვა თბილისში მყოფ გერმანელს. 1921-24 წლების მოვლენებმა ანეჟას იმდენად ატკინა გული, რომ ვეღარ გაძლო გერმანიაში. მოსიყვარულე ქმარმა ანგარიში გაუწია და საქართველოში დაბრუნდნენ. ცოლ-ქმარი, როგორც არასანდოები, „გერმანიის ჯაშუშები“, 1937 წელს დახვრიტეს. სრულიად უდანაშაულო, განათლებული, საქმიანი, პატიოსანი ადამიანები გამოასალმეს სიცოცხლეს. ალბერტის დედა სამშობლოს სიყვარულითა და ნოსტალგიამ დააღუპა (როგორც ბევრი ემიგრანტი, რომელიც სამშობლოს სიყვარულის ცდუნებამ დააბრუნა სამშობლოში. დღეს მსგავსი ბედის ადამიანთა საკმაოდ ბევრი გვარსახელია ისტორიისათვის ცნობილი), ალბერტის მამა — ცოლის სიყვარულში. თონბეგის წლის ალბერტი სასაკლავოს კი გადაურჩა, მაგრამ უპატრონოდ დარჩენილ, გერმანელთა „ჯაშუშის“ შვილს ბევრი ზიზღით უყურებს, ზოგიც მისი ბინის მისაკუთრებას ცდილობს. „მის ბინას და ქონებას ოპერის ერთი მომღერალი ქალი დაეპატრონა“, — წერს ავტორი. ასეთი ფაქტები დღეს მრავლადაა ცნობილი. რეპრესირებული ბინებში შესახლებულთა გვარებიც დარჩა ისტორიას. კიბისქვეშა ფიცრულში გააგრძელა ცხოვრება, თუ ეს მართლა ცხოვრება იყო. ქუჩამ მაინც ვერ ჩაითრია. სწავლა ვერ გააგრძელა, კომკავშირელი არ იყო და რატომ არ შეხვედოდა კომკავშირში... კომკავშირში არ იღებდნენ, აგენტის შვილს კომკავშირში ვერ მიგიღებთო. ასეთი იყო აბსურდული სისტემის მსახურთა აბსურდული არგუმენტები. დედის გვარზე გადავიდა. ზნეობრივად არ ნამდბარა. გერმანული წესით და რიგით მიჰყვა უმძიმესი ცხოვრების დინებას. სრულწლოვანი რომ გახდა, ომში მოხალისედ წავიდა. საბჭოთა აგენტურა რისი აგენტურა იქნებოდა, ეს რომ გამოპაროდა. დაიჭირეს, გერმანელობაც გამოქვეყნეს, მისი ომში წასვლის მოხალისეობაც არ დაიჯერეს. გერმანელების ჯარში გადასვლის სურვილი გეგნებო — უთხრეს. თავი იმართლა. მშობლების დანაშაულის გამოსყიდვა მიხდებოდა... ვინ დაუჯერებდა. საბოლოოდ კი თბილისის შიდა ციხეში გადაიყვანეს და ბრალდება წაუყენეს. ამ ეპიზოდში უფრო გამოკვეთის მწერალი 1942 წლის შეთქმულთა ისტორიის ფაქტებს: „თურმე უნივერსიტეტში ერთ-ერთი პროფესორის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ შეთქმულთა ჯგუფს, რომელშიც სტუდენტები და ასპირანტები შედიოდნენ, გერმანელთა დახმარება ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს განთავისუფლების მიზნით, თურმე მტრისთვის მნიშვნელოვანი ცნობების გადაცემას აპირებდნენ, თურმე ალბერტს კავშირი ჰქონდა ამ ჯგუფთან და მოხალისედ იმითომ ჩაენერა, რომ როგორც კი მოახერხებდა, მტრის მხარეზე გადასულიყო და შეერთებოდა მტრის მხარეზე გადასულ ბატალიონს“.

სამი თვე უარყოფდა ალბერტი ამ ბრალდებას, არც მუქარა ჭრიდა, არც ცემა. საქმის ფინალიც ნაცნობია, რეალური. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ ყოფილა: კიდევ რომ გაგათავისუფლოთ, ფრონტზე გიკრავენ თავსო. ურჩიეს, „თქვი, რომ ტყვედ ჩაბარებას აპირებდი. ამაზე ხუთ წელს მოგცემენ. ომიც დამთავრდება. ჯეილი კაცი ხარ, ცხოვრება ნინა გაქვს. ვიცო, უდანაშაულო ხარ, მაგრამ მაინც უნდა ჩაჯდე“. ალბერტმა მიიღო ეს რჩევა. გამოძიებამ თავისი საქმე გააკეთა — შეთხზეს ვერსია და ალბერტი ხუთი წლით ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა. ნაკატორღალები მრავლად იყვნენ, მაგრამ კატორღას არავინ ახსენებდა (ასე იყო — ბოლომდე მკაცრ, ურღვევ დუმილს არჩევდნენ რე-

პრესირებულნი). მხოლოდ ერთხელ მოუწია ალბერტს გადასახლების შესახებ ორიოდვე სიტყვის თქმა, როცა თავად ნაციზმბრალმა ყურნალისტმა, ემილმა, ჰკითხა, რაზე იჯექი და როდის ჩაგვსო... ომის დაწყებისთანავე, პოლიტიკურზე — მოკლედ უპასუხა ალბერტმა. ეტყობა, ემილს იმდენად ანევის გულზე უსამართლოდ დასჯილის ბოღმა, რომ უკითხავად მიაყოლებს ალბერტის საყურადღებოდ: „მე ოცდაჩვიდმეტში, ამხანაგის დასმენით. რა ექნა იმ საწყალს? ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებას აბრალებდნენ, თანამონაწილენი თვითონ უნდა დაეხატებინა, ვინც აგონდებოდა, ყველას ხელს ადებდა, არც ვამტყუნებ, უმეტესობა ვერ უძლებდა წამებას, მაგრამ მაინც დახვრიტეს საწყალი; მე ათი წელი მომისაჯეს, ვითომ ბერიაზე თავდასხმას ვაპირებდი... მე იმასთან ვინ მიმიშვებდა. აბა, სად მე და სად ბერია, ერთი უბრალო ყურნალისტი ვიყავი“. ასეულობით ასეთი „ემილი“ იყო დასჯილი, სიკვდილითაც კი. ემილის ისტორია უდანაშაულოდ დასჯილთა ზოგადი ისტორიაა. მისი განსჯაც რეალისტურია, მწერალი მხოლოდ ისტორიულ სიმართლეს ემსახურება და არა გამოხატავს. საგამოძიებო საქმეებში ერთი გვარი აუცილებლად უნდა ჩაწერილიყო ასეთი მინანქრით — „გადმოიბრია ამან და ამან“ (წამების მეთოდები საგანგებოდ ჰქონდათ დამუშავებული, მწამებლების კატეგორიებიც არ იყო ერთგვარი — მაგალითად, ურჩ, გაუტყუებელ ქალებს ქალი აწამებდა. ქალისთვის ტკივილის მიყენება ჯალათ ქალს უფრო გამოსდიოდა — ასეთ ფაქტსაც წავაწყდით საქართველოს შსს არქივში პროფესორ ელენე ვირსალაძის საქმესთან დაკავშირებით).

ბევრი მძიმე და საინტერესო ისტორია იკითხება ამ წიგნში. სათაურიც ამართლებს სათქმელს. ათასობით ნაცრადქცეული სიცოცხლის, იმედების, სიხარულის, რწმენის ერთობლიობა ის სივრცე, რომელშიც ცხოვრობენ, იტანჯებიან, კვდებიან ეს განწირული ადამიანები... სივრცე და არა სამშობლო, რადგან ნამდვილი სამშობლო არ არსებობდა, საბჭოთა სამშობლოს სახელით ისჯებოდნენ („მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ და არ მახსოვდა: მქონდა იგი?“ — გალაკტიონი).

რომანის ფურცლებზე მწერალი პირველად მიხვდა, რა იმეორიანს შეგახვედრებს. იგი გურამ გეგეშიძის წინა რომანის პერსონაჟია, „მწერლის განსაკუთრებული სიმპათიის საგანი... ზოგადი სახე ქართველი კაცისა — მშრომელიცა და მოქვიფიც, სამშობლოც უყვარს და ოჯახიც“, სწორედ ამ კეთილშობილების და ზომიერების გამო გადაჩრა, გაუძლო ქართველებს, რომლებსაც ჯერ კიდევ „ხმა მღალადებლისას“, შემდეგ კი „სისხლის წვიმებისა“ და „ნაცრის კომპიკს“ უამრავი პერსონაჟი შეენირა“ (მ. ტყემელაშვილი). მიხაკო იტანჯება სხვისი უბედურებით, „სხვისი“ აქ პირობითი სიტყვაა, მიხაკოს სმენას არ შორდება სასონარკვეთილი სალომეს ჩახლეჩილი ძახილი: მომკალით, მომკალით! ამ მძიმე ფონზე მის წამოსახებაში წარსულის ისტორიები აიშლებიან: დაცქეროდა ახლა თავისი ოცდაქექის წლის ძმის, ვენეს, საფლავს, „სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში რომ დაიფრფლა... ახლა კი საქართველოსთვის თავდადებულ გმირთა ხსენებაც კი აკრძალული იყო ხელისუფლებისაგან. გმირებად ის ბოლშევიკები იწოდებოდნენ, რომელთაც ბევრი იღვანეს საკუთარი სამშობლოს კვლავ დიდ იმპერიათან შესაერთებლად“... სასაფლაოზე, აქ, ამ სიკვდილის საუფლოში, მიხაკო უსაფლავოდ დაკარგულს იხსენებს: მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს — ოცდაათხში და ოცდაჩვიდმეტში დახვრეტილებს; თავის ძმას, იასეს, ძველ ბოლშევიკს, რომელიც ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს. ძველი ბოლშევიკიც ბევრი გაუყენეს კომუნისტებმა სიკვდილის გზას — ეს მათი ხელწერა იყო, ყველგან და ყველაში ღალატი ელანდებოდათ. ამდენს და ბევრ სხვასაც გაუძლო მიხაკომ და ღირსეულ კაცად დარჩა. „მიხაკოს ბუნებაში არის რაღაც, უცნაურად სიცოცხლისუნარიანი და აუცილებლობასთან თანხმობაში მყოფი. ეროვნული იდეაც მასშია განივთებული. ზომიერება, თვისტომის სიყვარული და სიბრძნე საკუთარი ფესვების ერთგულებისა ბედისწერის თანხმობას იმსახურებს და იგი რჩება ცხოვრების ასპარეზს“ (მ. კვაჭანტარა-

ძე). დარჩა, გადარჩა და ახალი რომანის კარიბჭესთან ვიხილეთ კვლავ, თვისტომის ჭირით შეძრული. იგი თითქოს გზამკვლევა, წარსულიდან მომავლისაკენ გზის მარშრუტი. ასპარეზზე ახლა მისი შვილები და შვილიშვილები უფრო ჩანან — ღირსეულები. დამსახურებულად უყვარდა გიორგის მიხაკო ბაბუა, უნდილაძეების გვარს ნიგურიანებისა ერჩია. დედულეთში რომ იზრდებოდა, ალბათ, იმიტომაც, მაგრამ უფრო მათი სიტომ ხიბლავდა, გულწრფელობას იქ უფრო ხედავდა. გარემოებებიდან აღზევებული (ექიმი, აგრონომი, რაიკომის მდივანი, კომკავშირის რაიკომის მდივანი), უნდილაძეები, ერთ დროს მდაბიო გლეხები, ახლა სოფელში თავკაცობას იჩენდნენ; უნდილაძეების მთელი ოჯახი გაზეთში გამოფინეს. ამგვარი ყურადღებით გათამამებულები სხვებს აბუჩად იგდებდნენ. გიორგის ეს ანუხებდა. ის უფრო და უფრო ყალიბდებოდა ზნეობრივად წესიერ ადამიანად. გულს ის უკეთებდა, რომ მამამისი, შამშე, წესიერ კაცად იყო მიჩნეული.

გიორგის, უნდილაძეების გვარის გამგრძელებს, მოყვარე გული მამისგან ჰქონდა მეტკვდილოდ. მასში უნდა გამოთლიანდეს ყველაფერი კარგი, რაც ამ ორ გვარს — ნუგურიანებსა და უნდილაძეებს ჰქონდათ. ომის წლები და მრუმე ფერები სიყმაწვილის ასაკმა ცოტათი დაათბო. ბუნების კანონზომიერება თავისას აკეთებდა — ცხოვრებას ხალისი ემატებოდა, ახალი გარემოებები ახალ-ახალ ინტერესს უღვიძებდა. ზაფხულში სოფლის ბუნება, მინასთან სიახლოვე, თანატოლებთან გატარებული დღეები აბედნიერებდა... და მაინც, სამუდამოდ გულში რჩებოდა ის, რაც მწარე ტკივილით განუცდია: სიკვდილი, პირველი ცრემლი, მოყვანისადმი თანაგრძნობა რომ შეარყია — მეგობრის ორი წლის დაიკოს გარდაცვალებამ. უღიმღამოდ ბავშვობის ისტორიებიდან ვერ ამოშალა ონავარი, „თავმოშონე“, „ტრამვაიდან მხოტმელი“ თანატოლი ბიჭების სიკვდილი, პუშკინის ქუჩიდან ამომავალ ტრამვაის რომ შეახტებოდნენ და იღუპებოდნენ... სამუდამოდ ახსოვდა „ყვავილებით დაფარულ კუბოში მწოლარე რაულის თეთრი, უფერო სახე... დაამახსოვრდა მამამისი, მაღალი, გამბდარი, ჭლარა კაცი, ხელებს რომ იფშენებდა უსასოდ“. იმ დღიდან თითქოს გაიზარდა სულიერად, მაგრამ ეს ტკივილით გაზრდილი სულია — სულ უფრო მეტი თანაგრძნობის შემძლე. ასე ასწავლიდა გიორგი უნდილაძეს ცხოვრება ცხოვრებას. ბავშვობის სევდიანი ამბების ქრონიკებს ესპანელი გმირის, ხოსე დიასის, ისტორიაც ემატება, სასტუმრო თბილისში რომ ცხოვრობდა და „ერთ ნაცრისფერ დღეს“ ფანჯრიდან რომ გადმოხვდა. გიორგი ამ ფაქტს შეესწრო, „ნაცრისფერი დღეების“ სამარადისო სახსოვარს, გულში ჩუმად ჩამარხულს, ალბათ, არც არასოდეს გაისუნებს ხმამალა (ძველი, უსიამოვნო ისტორიები დროში უნდა ჩაჩუმდეს), მაგრამ მწერალს, შემოქმედს აქვს ის ბედნიერება, რომ ერთხელაც ამოთქვას სათქმელი შვებისათვის, არდავიწყებისათვის. გიორგისთვის (მწერლის ორეულითვის) სულიერი გადარჩენის, ფიზიკური დაარჩენის ზურგის ქარი ის შინაგანი წესიერებაა, გარემოცველი სამყაროს, ახლობლების და, ზოგადად, ადამიანების სიყვარულს რომ არ უნებებს... არ აძლევს ტორტმანის, ხელის ჩაქნის, ყოფიერებისგან განაპირების, ცხოვრების სირთულეებიდან გაქცევის უფლებას. იგი ამ სიყ-

ვარულის გასაცემად დიდ ვალს იღებს — უვადო ტკივილების სახით. არავინ უნდა დარჩეს, არავინ უნდა გამოჩრეს. ეს მისი დაუგეგმავი, თანდაყოლილი მისიაა.

რომანში მრავალი ცნობილი თუ უცნობი ისტორიული ფაქტი და პერსონაჟია, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, მწერალი გვარ-სახელებს ცვლის. ასეთია, მაგალითად, ვრცელი და საინტერესო ისტორია ქალბატონი ბაბო დადიანისა (მრავალჯერ რეპრესირებული, მეუღლე ოცდაჩვიდმეტში დაუხვრიტეს, 50-იან წლებში სამუდამო გადასახლებაში იყო შვილებთან — გიორგი და თათული მასხარაშვილებთან ერთად შუა აზიაში), რომელიც წიგნში ცინუკი და დეშქელიანია. ასევე კონსტანტინე და დეშქელიანის ტრაგიკული ისტორია (პერსონაჟი მურზაყან და დეშქელიანია). განსაკუთრებით საინტერესოა ემიგრანტი მამაშვილის, ივანე და ელისო ყაზბეგების მძიმე თავგადასავალი. აქ მხოლოდ სახელი და გვარია შეცვლილი. ისინი მოტყუებით, საბჭოთა პროპაგანდისტების მცდელობით, ბრუნდებიან სამშობლოში 40-იანი წლების ბოლოს. ფაქტობრივად კი ესენი იყვნენ მამაშვილი სიმონ არჩილის ძე და ელენე სიმონის ასული ციციშვილი. შსს არქივში აღმოჩნდა (პატიმარ სამსონ ფირცხალავას საქმეში) საგანგებო სია იმ პირებისა, რომელთაგანაც ზოგი უკვე დაპატიმრებული იყო და სიაში ეს აღნიშნულია, დანარჩენები დასაპატიმრებლები არიან, მინერლი აქვთ ბრალდებები — ანტისაბჭოთა საქმიანობა, სულ 52 კაცია. საქმე ცალკეა გამოყოფილი¹ 4369. სიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი ელენე და სიმონის ვაჟი — არჩილ ციციშვილი დაპატიმრებული იყვნენ. სამსონ ფირცხალავას ჩვენებაში წერია, რომ სიმონ ციციშვილის მეუღლე, ფრანგი ქალბატონი, საქართველოში დაბრუნების წინააღმდეგი ყოფილა, სიმონს დიდი სურვილი ვერ დაუძლეოდა და ჩამოსვლიდან ცოტა ხნის მერე დაიჭირეს, შვილების გარდა სიძეც, ქალიშვილის ქმარიც (ლორთქიფანიძე, სახელი არ წერია). სიმონ ციციშვილის მეუღლეს პარიზში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუთმავრებია. გურამ გეგეშიძე კარგად იცნობს ამ ისტორიას და არა მხოლოდ ამას...

რომანის ფინალი, როგორც მწერლის წინა რომანები, საგანგებო ისტორიული მოვლენით სრულდება: „სტალინი მოკვდა“. ცნობილი ფაქტია, რომ უვადოდ გადასახლებულთა შორისაც ბევრი იყო ისეთი, რომლებიც გულწრფელად ღვრიდნენ ცრემლს ბელადის გარდაცვალების გამო (დარწმუნებული იმაში, რომ მათი უბედურების შესახებ სტალინმა არ იცოდა, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა, სტალინის ნების გარეშე)... ფინალში მწერლის მთავარ სათქმელს ალბერტი ამთავრებს. ის ამჟამად მეორედაა გადასახლებული, თანაც — სამუდამოდ. ალბერტი მიხვდა, რომ ხსნა მოვიდა. რა თქმა უნდა, ის ირონიულად უყურებს ბელადზე მგლოვიარეებს. „სტალინი აღარ არის, მაგრამ ქვეყანა ჰვიგებს უკუნისამდე“ — ფიქრობდა იგი და გულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, რომ „ქვითა და რკინით ნაგები ციხე-კოშკიც ნაცარით დაიფრფლდებოდა“... „სწამდა, რომ, მიუხედავად ამდენი უსამართლობისა, სისასტიკისა, უაზრობისა, გაუგებრობისა, სადღაც, ლაყვარდოვან ცის გუმბათის ზემოთ, კოსმოსური უსასრულობის განუზომელ სიღრმეში, ზუსტად განსაზღვრული, ოღონდ შეუცნობელი წესრიგის თანახმად წყდებოდა მთელი ქვეყნიერებისა და ცალკეული კაცის ბედი“.





ირმა ბერიძე

ლოცვაში გაზრდა

რამდენი თხოვნა
დამიბრუნე უპასუხოდ,
რამდენი ნატვრა არ ამიხდინე —
სახლი, რომლის ღია
ფანჯრებში
ჩემი ქმარ-შვილის სიცილი ისმის,
ქალაქი,
რომლის ღრუბლებში ჩაფლულ
ტაძრის გუმბათებს
სიზმრის ციდან ვათვალთვლებ,
სამსახური, საქმე, რომელსაც
მძიმე ხარკად
უკანასკნელ ამოსუნთქვას არ გადავუხდი...

მე წუთიერს, გაქრობადს გთხოვ,
არ მინდა მეტი,
შენ უქრობელ შუქზე მიყვები.

სახელის დაქანება

თითქოს
ყელიდან ფეხებისკენ აბრეშუმი ჩასრიალდა.

ჩემი ფანჯრის მოპირდაპირედ,
ჩეხურ კორპუსში,
მეექვსეზე,
ერთი თვეა, დაესახლა
ბედნიერება:
როგორც ყავის ბლანტი სიმუქე რძემ გაათეთროს,
ჩვილის ტირილი შეამღვრევს ღამეს,
ამოიშლის ტანის რტოდან
ახალგაზრდა დედა თაფლის ვარდს,
პირთან მიუტანს მომიეხულ შვილს,
დააყუჩებს.
ფარდებში ბჟუტავს კანდელივით უქრობელი,
წყნარი შუქი
და უძილობის უდაბნოებში
ცაზე მავალ ვარსკვლავივით მიმიძღვება.

რამდენჯერმე ვკითხე მეზობელს ამ ოჯახზე.
მიპასუხა, რომ ის ბინა დაკეტილია.
დიდი ხანია, არავინ ცხოვრობს.

„მეზოთერაპია — გაახალგაზრდავების მეთოდი — ჩვენ
დავიბრუნებთ ახალგაზრდულ იერსა და სიხალისეს!“

ყელს რას უშველი,
ყელის ნაოჭებს —

განყვეტილ მძივს,
რომელ ძვირფას კაბას მოახდენ,
მკლავებს,
ცომივით გადმოსულს და
ტანში ჩაზელილს,
ვის შემოჰხვევ,
ვის შეაგებებ დამშრალ ტუჩებს,
ვის გაუბედავ?
და თვალებს?
მთების ზღვაში გადამრგავი
რწმენაც რომ ჰქონდეს,
მათ სიხმელეს ვინ გაგინედლებს,
ჩამოიწურეს მოტკბო ქარვის ბოლო წვეთიც და
სულ მინისკენ იხედებიან.

სიხარული შესაძლებელია...
სიხარული ნამდვილია...
სიხარული დასაშვებია...
სიხარული აღესრულება
მხოლოდ ერთხელ —
ახალგაზრდობისას.

ბევრ კაცს მოვწონდი —
მიყვება —
ოქროსფერი თმები მქონდა,
მღელვარე მკერდი
და ატმისფრად მღუარი კანი,
თხელი მუხლები,
კისერში კი ჩვილის სუნი ამდიოდა...
განა მე არ შემეძლო
ის მჩხიბაობა,
თუნდაც თვალებით,
მარტო თვალებით,
ბრჭყალებივით ჩამეველო
და აღარ გამეშვა,
ფეხქვეშ მინა მომერღვია,
ჩემით ავად გამეხადა,
მაგრამ მიყვარდა,
ყველა მიყვარდა,
ვინც მკოცნიდა...
„ლამაზი ხარ,
რა ლამაზი!“
კოცნებს შორის მიმეორებდა...

ვინც მართლა გიყვარს,
იმას საზღვარს როგორ დაუდგენ,
მხრებზე უღელს როგორ დაადგამ,
რად დაამწუხრებ,
რად არ მიუშვებ ღრუბლის თეოზე
საქროლველად...
თუ სიყვარული წყალივით გთხოვა,
ხვალის შიშს ძმრად რად მიანოდებ,
თუ მართლა გიყვარს.

მაისა ცხვარი
პ-ს

ხშირად ვფიქრობ იმ მეგობრებზე,
ეკლესიიდან რომ წავიდნენ,
მიატოვეს ღმერთის სახლი,
აღარ დაბრუნდნენ.
ისინი იყვნენ სამაგალითო მორწმუნეები,
მე მათ ვბაძავდი.
ისე სუფთა თვალები ჰქონდათ,
ისე თბილი ხმა,
როგორც თივის შრიალია შობის ღამეში.

მე მინახავს,
მათი ტერფები როგორ შორდება ტაძრის ფილაქანს
შუა წირვის დროს,
როცა ქრისტე ამოისუნთქებს
და ფილტვები ღმერთით ივსება.

სად არიან,
ვინ უფერადებთ შავ-თეთრ დღეებს
უფრო მდგრადი საღებავებით,
ვის წყალსატევეში ჩაედინება მათი თვალების
თავანკარა წყაროები,
სად გაიბნა მათი რწმენის ნედლი მარცვალი —
უდაბნოს ქვიშას შეერია,
კლდის ქიმს შეახმა,
თუ მზეჩამდგარ ხნულში გაღვივდა...

ჩვენ შევხვდით სუპერმარკეტში,
ნაკითხული მქონდა მისი ლექსები,
ის ისე წერდა მაღალ, ლამაზ, ცოლიან
კაცზე,
ისე წერდა,
შუალამისას მალვიძებდა
კაცის ფრთხილი ნაბიჯების ხმა,
ტკაც!
საკეტის ენა რბილად შესრიალდებოდა ხოლმე ბუდეში.
კართან იხდიდნენ...
მათ თეთრეულს
ასდიოდა თოვლის სუნი.

ქალს ეჭირა სავესე ჩანთები
და ირწეოდა
სიმძიმისგან,
დაღლილ შუბლქვეშ
ზამთრის ტოტებს შერჩენილი ნაყოფივით
შეჭკნობოდა ქუთუთოები.

ამ შეხვედრის შემდეგ
ვკითხულობ მის ლექსებს,
მაგრამ კაცი
აღარ მოდის...
აღარ მოსულა
არცერთ ღამეში.

მამის სიკვდილი

მარიამობის ღამის სტუმარმა
ჭერის ფიჭვისურნელიან
სიზმრებიდან წამოგვყარე,
დერეფანში გაგვამწკრივე
და ჩვენს თვალწინ,
ჩვენი გულების ბაგაბუგში,
მამაჩემს სული ამოაცალე.

მას შემდეგ
ყველა ძახილი, სიტყვა,
ელდიანი გაფხიზლებაა —
ზვავის გრგვინვაში
მინა ფეხვეშ პირს ალებს და ზრიალით კეტავს.
იმ ღამის შემდეგ ჩემთანა ხარ
ყველა ტკბილად და მსუბუქად შესარგებ წამში
და ველარ ვცხოვრობ...

ახალ სიყვარულს

მერამდენედ მოდიხარ,
ვდგავარ
და ვცაბცაბებ.
ასე იწყები,
შენ ყოველთვის
აქ იწყები,
ჩემი მუცლისქვეშ,
და ღვივდები ჩემი გულის სიმხურვალეში,
არ ჩამოუსვა რბილი ხელები
ჩემი ტანის გამხმარ ხაოზე,
მე არა ვარ ნაზამთრალი ხე
და თებერვალს არ ველოდები.
ფესვები გადავაჯვარედინე,
მე წყლით ველარ ავივსები.
რალა დავრჩი,
რალა უნდა ნაილო ჩემგან
სიკვდილის გარდა,
აღარ მოხვიდე!



ბოკო ჭილაძე

 სამყარო
 დღის საათებს
 პატარ-პატარა,
 უმნიშვნელო ამბებით
 მართმევს,
 გაბრუნებული
 და მიჯაჭვული,
 ვეჭვობ,
 იქნებ ყველა დანარჩენს
 ჩასწორებულე,
 მივინყების სიმღერა
 ემღერათ ჩემთვის,
 მაგრამ ძილისპირულზე
 ასე რთულია
 შენი მივინყება,
 კადრი,
 სადაც ცეკვავ,
 თვალი,
 სადაც მამსხვრევ,
 ბაგე, რითაც
 მსუსხავ,
 და ის შეუცვლელი
 დუმილი
 მარტოდ დაბეჭეულს
 უმონყალოდ მტანჯავს,
 სამყარო ჩემს თავს
 გავინყებს, მგონი,
 არადა მათთვის
 მე არ მითქვამს
 არც ერთი სიტყვა.

 რამდენიმე ასეული კილომეტრი
 გადაჭიმულა ჩვენს შორის
 და არც ხედი გვაქვს საერთო,
 არ მოგატყუებ,
 სიგარეტის ბოლი
 უერთდება უვარსკვლავო ცას,
 ჩვენი შეხვედრა
 სხვაგვარი წარმომიდგენია,
 როცა სოფლის სიჩუმეს ამოფარებული
 ორი სხეული ერთად გააბიჯებს,
 მათ მეთვალყურედ ევლინება
 მრავლისშემსწრე დიადი დისკო
 ქვეშეპარული მზერით.
 ნაწილ-ნაწილ შევისწავლით ერთმანეთის სხეულს,
 ამოვიჩემებთ ნერტილს, რომელიც გამოგვხატავს
 სიცხადით, შეულამაზებლად,
 იქნება ეს გულმკერდზე დაფენილი მომცრო ლაქები,
 ტუჩთან ხალი თუ ხელის თითები.
 გზებით მოვყვებით ისტორიებს და ჩვენი ხმა
 მონაცვლეობითი თამაშით
 კოსმოსის ყურადღებასაც მიიქცევს.
 ვაეჭვიანებთ, თითქოს ჩვენ ორმა
 რაღაც ვიცით,
 რაღაც გვინახავს,
 მონამღვლები დავმორდებით შენს სახლთან ახლოს,

დაპირებების გარეშე,
იმ კოცნის გარეშეც,

რაც, საბოლოოდ,
 ნაჩქარევად,
 გააქრობდა ჯერ არ ჩასახულს.
 მარტოდ მიმავალი მაინც ვიდარდებ,
 „ეგებ შევხებოდი, ეგებ ჩამიკრავდა“,
 მაგრამ იმ ღამით სიზმრისეულს
 როგორმე გიმყოფინებ.

 არც ერთ შეხვედრას მოუცია
 ძალა განახლების,
 და თუ ასეა,
 რატომ ინვალეზ თავს,
 რატომ იფიტები,
 რატომ ყვეები ერთსა და იმავე ამბავს,
 რომელსაც თან ერთვის
 ხუმრობები
 თანაცხოვრებაზე,
 ჯვრის წერაზე,
 წერაზე,
 ყოველივეს ემატება
 შეურაცხყოფა ყოფილებზე,
 არადა, იქნებ უკანასკნელი
 შენზე უბედურიც კი იყო.
 სეირნობ და ითვისებ ადგილებს,
 სადაც მარტო არაფრის დიდებით წახვიდოდი,
 უკვეთავ კერძს,
 რომელსაც აქამდე გემოს არასდროს გაუსინჯავდი,
 იზომავ ტანსაცმელს,
 რომელიც სამეგობროს თვალთ არ უნახავს,
 იქცევი ისე, ვერ გიცნობს ოჯახის წევრი,
 ვერ გიცნობს უახლოესი,
 რომელთან ერთადაც გამთენიისას
 მოულოდნელად ატირებულხარ,
 უსმენ მუსიკას,
 უყურებ ფილმს,
 ყიდულობ პოსტერს,
 კითხულობ ნიგნს,
 მხოლოდ ნარჩენს და არა ნაძებნს,
 იმასსოვრებ დაბადების თარიღს,
 უნივერსიტეტს,
 ფაკულტეტს,
 ამჟამინდელ საცხოვრებელს,
 წარმომავლობას,
 და-ძმის ოდენობას,
 საყვარელ ფერს,
 თვეს,
 დღის მონაკვეთს,
 ამინდს,
 ცხოველს,
 ქვეყანას და ქალაქს,
 სიმალეს და წონას,
 ჰოროსკოპს,
 იქნებ გონებაგაფანტულს დაგავინყდეს,
 ვერძია,
 კურო,
 სასწორი თუ ლომი,
 ვარაუდს ისევ სჯობს, უთხრა,
 არ ვიცი.

არავინ გაჩერებს,
 მხოლოდ გირჩევ
 ურთიერთობას,
 პირველადი შესატანის გარეშე,
 დაიწყე გადახდა 5 წლის შემდეგ.
 როცა ჭავჭავაძის გამზირზე ნაბიჯაჩქარებული
 თავს იკატუნებ, თითქოს სადმე მიგეჩქარება,
 ისე კი, მისდევ და უთანაბრდები
 მუსიკით იდენტობაგაძლიერებულ გოგოს,
 უნდა არსებობდეს დამკვირვებელი,
 ვინც დარწმუნებით იტყვის,
 თქვენ უეჭველად ერთად იქნებით,
 თქვენ უეჭველად ერთად უნდა იყოთ.

 როცა დღეს ვილაც
 ისევ საუბრობს შეხვედრაზე,
 პაემანზე,
 გაუთავებელ კოცნაობაზე,
 ქარიან ამინდში სეირნობაზე,
 მას ენაცვლება ტიპი,
 ვინც საუბრობს
 მანქანის ძრავაზე,
 ნუხანდელ ანგარიშზე,
 სახლის გამოცვლაზე.
 ის ისევ გარწმუნებს,
 რომ ყველა ახალი ლუდი კარგია,
 რომ ადრე თუ გვიან
 მაინც დასპირტავენ,
 შენ კი არ იშლი —
 კვლავ მასლაათი
 ძველ გოგონებზე,
 ზენრების ფერზე,
 აბაზანის მეტლახზე...
 დარჩენილ ნაფეხურებს
 მთელი ღამის სუნი ასდის.
 ოთახნახევრიანი ბინა
 ხვალ სხვა წყვილს
 სიყვარულით დააორსულებს,
 მაგრამ დღენაკლული
 დაბადებისთანავე სულს დაღვეს
 აქტიდან აქტიმდე ჩამონოლილ
 მდუმარებაში.
 გამოიცდება ყველა მიწიერი,
 მათი დაღრეჯილი სახე,
 მონყენილობით განამებული,
 შეგვიძლია, გამოვიყენოთ
 და ვითომ ძალდატანებით გაუგებარი
 ცხოვრება ერთ კადრში ჩავსვათ.

 რატომ არ ირჩევს
 ეს გოგო ბედნიერებას,
 ან რატომ ფიქრობს,
 მარტო ყოფნაში ეყაროს რამე,
 მერამდენედ შეეცდება,
 საკუთარი თავით
 გასწვდეს ყოველივეს,
 და მერამდენედ
 განიცდის მარცხს
 სწორედ ამის გამო.
 რა გადარდებს?
 ან რა გბოჭავს?
 შენი სირთულე
 სირთულეებს შორის
 ყველაზე მარტივია,
 ძილის წინ მონოლოგი
 უცვლელი რჩება,
 როგორ უნდა იბეზრებდე
 ჯერ ვერ მიღებულს,
 ან ჯერ ვერ განცდილს,
 როცა სხვა დანარჩენი
 ერთსა და იმავეს აკეთებს
 მთელი ცხოვრება,
 და ინარჩუნებს გზას,
 რომელიც თავს,
 ისევ და ისევ,
 ამოუწურავად აგრძობინებს.
 დაუშვებელია ყველაფრის რომანტიზება,
 განსაკუთრებით მარტოობის,
 შფოთვის,
 გაურკვევლობის,
 თურმე ბედნიერების რომანტიზებაც,
 შესაძლებელია,
 შეუძლებელიც შესაძლებელია.
 თავის პოვნა ნიშნავს დასასრულს,
 შეეშვი ამ უტოპიურ იდეას,
 ყველა ის წყვილი,
 დღის მანძილზე სახლთან რომ ჩაივლის,
 განწირულია სამუდამო ძიებისთვის.
 შევსებაც არარეალურია,
 დანაკლისის პოვნა არასდროს გიჭირს,
 რა გადარდებს?
 ან რა გბოჭავს?
 შენი სირთულე
 სირთულეებს შორის
 ყველაზე მარტივია.

— თომამ ბიძიას წერილია, — სიხარული ვერ დამალა გახსნილ კონვერტზე თავდახრილმა დედამ, — ჩემი წასვლა, როგორც იქნა, გადაწყდა, დიდი ხნით მივდივარ, სახლი ცარიელი მრჩება, ჩამოვდივარ იცხოვრებო!

— მერე? — ვკითხე მე.
— არ გახსოვს, დე, რა ლამაზი ქალაქია, სადაც თომა ბიძია ცხოვრობს?
— მაშინ პატარა ვიყავი.
— ძალიან ლამაზია, მთებით გარშემორტყემული, თომა ბიძიას სახლი ყველაზე მაღალ ქუჩაზეა, იქიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს, კინოც არის და სახლიც დიდია, ორსართულიანი, თომა ბიძიას ბევრი ხეხილი ურგია...
— ქირის გადახდაც არ მოგვიწევს და ზაფხულში ხილი გვექნება, — გავანწყვტინე მე.

დედა გაჩუმდა.
ჩვენს ნაქირავებ ოთახს მოვავლე თვალი — საწოლი, მაგიდა, ორი სკამი, თუნუქის დიდი ტაშტი, რომელშიც მეზობელთან ქურაზე გაცხელებული წყლით დედა ჯერ მე მზანდა, მამშრალებდა და ლოგინში მანვინდა, მეუბნებოდა, აბა, ახლა თვალები დახუჭო და მერე თვითონ იბანდა.
— და მამა? — ვკითხე მე.
— რა მამა, დე? — ვერ მიხვდა დედა.
— როგორ მოგვაგენებს, როცა დაბრუნდება?

— მივწერ, რო თომა ბიძიასთან გადავივართ საცხოვრებლად და პირდაპირ იქ ჩამოვალ!
— მალე ჩამოვა?
— მალე, დე, მალე!
— და აქამდე რატომ არ ჩამოვიდა?
— საქმეები აქვს, თან ხო იცი, როგორ ადვილას არი?!

— კი, ვიცი, — ჩავილაპარაკე ხმადაბლა.
— მოგენატრა, დეე?
— ცოტა.

დედა წამოდგა, გვერდით მომიჯდა, გულში ჩამიკრა:
— მეც მომენატრა! მალე ჩამოვა, — შუბლზე მაკოცა და ჩემი სახე ხელებში მოიქცია.

უხეში, ცივი ხელის გულები უსიამოვნოდ შემეხო კანზე. სანამ მამა ჩვენთან იყო, დედას ძალიან რბილი ხელები ჰქონდა.

— როდის უნდა წავიდე თომა ბიძიას სახლში? — ვკითხე მე.
— ამ დღეებშივე, წინა თვის ქირა ახლახანს გადავიხადე და შემდეგი რომ აღარ გადავიხადო, ამ დღეებშივე უნდა წავიდე!

ბარგი ერთ დღეში ჩავალაგეთ. რა გვექონდა, რო?! დედამ რაღაც საქმეები მოაგვარა და მეორე დილას დანჯღრეული, მტკრიანი ავტობუსით გავწიეთ თომა ბიძიას ქალაქისკენ.

დიდხანს ვიარეთ, ჯერ ყვითელი ველები მოვიტოვეთ უკან, მერე მწვანე ტყეები, მალა ავუყვით კლდოვან მასივს, უღელტეხილი გადავიარეთ და წყლის დასალევად გავჩერდით.

— აგე, დე, თომა ბიძიას ქალაქი, — ხელით მანიშნა დედამ და ცივი ქარისგან დასაცავად სახე მინდისფერ თავშალში ჩამალა.

მის ხელს გავაყლოე თვალი, სიშორისგან ჩალურჯებული მთების ძირში, მუქ მიწაზე, ყვითელი ნათურებით დანინკლული პატარა ქალაქი გაშლილიყო, ქალაქისკენ მტკრიანი გზა მიიკლაკნებოდა, გზაზე ნელა მიგორავდა დაპატარავებული, თითქოს სათამაშო სატვირთო მანქანა.

შებინდებისას სადგურში ვიყავით, დედამ თომა ბიძიას სახლი იკითხა, იმ წამსვე მიგვასწავლეს. ფართო ქუჩა აღმართში ვინროვდებოდა, აქეთ-იქით დამრეცხე გამხენებული ძველი სახლები მიტმანსოდა ერთმანეთს. ბარგი თხელში შეფუყვით ტროტუარს, დედას ორი ჩემოდანი მოჰქონდა, მეც — ორი. თომა ბიძიას სახლამდე დედამ ორჯერ შეისვენა, მე — არცერთხელ. თომა ბიძია წასული დაგვხვდა, გასაღები მეზობლისთვის დაეტოვებინა.

პირველი, რაც გავაკეთე, მამას სურათი დავკიდე კედელზე, მერე სახლს მოვავლე თვალი — დიდი იყო, ხის, აივნით, ჭრ-აჭუნა კიბით და ხეებით დაფარული პატარა ეზოთი.

— მოგწონს, დე? — მკითხა დედამ.
— კი.
— ერთი კარგი ამბავიც მაქვს, თომა ბიძიამ სამსახურიც დამახვედრა. ახლა მითხრა თამრო დეიდამ, იმ მეზობელმა

ქალმა, რომელმაც გასაღები მოგვცა, ქალაქში უშოვნია ჩემთვის ადგილი.

— სად?
— სასადილოში, დამლაგებლად. შენს სკოლაზეც უზრუნია. მორჩება თუ არა ზამთრის არდადეგები, გელოდებიან, აქვე ყოფილია.
— აქ ყველაფერი აქვეა.
— არ მოგწონს, დე?
— კი, ოღონდ...
— ოღონდ, რა?
— ოღონდ ბექა და გიო რო არ არიან აქ?

— მეგობრებს აქაც გაიჩენ, ჩვენს ქუჩაზე ბევრი ბავშვია, თამრო დეიდასაც ჰყოლია შენხელა შვილი გ...
— ბექას და გიოსნაირს ვერა.
სალამოს ღუმელი დავანთეთ, ერთად შევწეეთ სანოლში, ერთად ავახრაშუნეთ

ლადო კილასონია

მინგეჩაურის უდაბნო



და გავათბეთ თეთრზნორიანი, ყინულივით ცივი ლოგინი და იმ წამსვე ჩაგვეძინა.

დილას დედამ საუბრე მომიმზადა, სადილი პირსახოცში გაახვია, ბალიშის ქვეშ ამოდო და სამსახურში წავიდა.

თორმეტი საათისთვის ჭიშკარი გამოვალე და ქუჩაში გავედი, ქვემოთ ქალაქი იშლებოდა, ზემოთ ერთმანეთზე ახორხლილი ძველი სახლების თავზე ლურჯად დალიბრული მთები წამომართულიყო.

ჩვენი ეზოს გვერდით, მწვანე ჭიშკრის წინ, ხის უზურგო სკამზე შავთმიანი ბიჭი ხელის ნასოსით ბერავდა ფეხბურთის ბურთს.

— შენ თედო ხარ, არა? — ქვემოდან ამომხედა ბიჭმა.
— კი, საიდან იცი?
— დედამ მითხრა, რო ჩამოხვედით. მე გიორგი ვარ!

გიორგი თამრო დეიდას შვილი აღმოჩნდა, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.
— გუშინ გავგისკდა, — ბურთზე მანიშნა გიორგიმ, — ჩემი ხელით დავანებე კამერა, დღეს უნდა გავსინჯო, ხო არ აპარებს, აბა, მგონი, ეყოფა, — ამ სიტყვებზე ნასოსი ჭიშკარს მიყუდა, ფეხზე წამოვდგი, ბურთს ფეხი მიაკურა, სამჯერ აკენწლა და გადმომიგდო.

მუხლზე მივიღე ბურთი, იქიდან ჯერ მარცხენა ფეხზე დავუშვი, მერე მარჯვენაზე, მერე ისევ მარცხენაზე, ექვსჯერ ავკენწლდე.

— მგონი, მართლა კარგია, — ვუთხარი გიორგის და ბურთი დავუბრუნე.
— კარგად თამაშობ ფეხბურთს?
— კი.
— კარგია, ტურას გაუხარდება.
— ვის?
— ჩვენი ძმაცაცია. წამო, ზემოთ, პირველისთვის სკამთან ვიკრიბებით, ფეხბურთის სათამაშოდ მივივართ. თან ყველას გაგაცნობ.

მალა ავუყვით ქუჩას. გზაში გიორგი რაღაცებს მიყვებოდა.
— პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, ძირითადად, დაბალზეა გაშენებული, მარტო რამდენიმე ქუჩა ადის აღმა-

რთზე, აქედან ჩვენი ქუჩა ყველაზე მაღალია. ჩვენი ქუჩის ბოლოს ხის სკამი დგას, იქიდან მთელი ქალაქი მოჩანს, იქ არის ჩვენი შეკრების ადგილი, სკამთან. ადრე ფეხბურთსაც იქვე ვთამაშობდით, მაგრამ ბურთი სუ ქვემოთ გვიგორდებოდა და იყო მერე იმის ამოტანაზე ერთი ამბავი. მერე ტურამ სტადიონი იპოვნა, ახლა იქ არის ჩვენი შტაბი.

— სტადიონი?
— ეგრე ვეძახით, სწორი ადგილია ორი პატარა გორაკის იქით, ჩვენი ხელით ჩავასეთ ხის შტანგები. ისე ჯობდა, სახლში გეტყვა, რო სტადიონზე მიდიხარ, იქ დაძახება არ ისმის.
— არა უშავს, დედაჩემი სალამომდე სამსახურშია.
— და მამაშენი?
— მამაჩემი აქ არ არის.

— აბა, სადაა?
— ვაა, — თქვა გიომ, აღმართი უცებ მოსწორდა და ჩვენ ასფალტის პატარა მოედანზე აღმოვჩნდით.

მოედნის შუაგულში ბეტონის დაბალ კედელში დატანებული გადაჭრილი მილიდან წყალი მოთქარუნებდა, წყაროს გვერდით ხისზურგის სკამი იდგა, სკამის მახლობლად მაღალ შავ ხეს აეშალა გრძელი შიშველი ტოტები, მოედანს სახლები შემორკალოდა, სახლების იქით ყვითელი გორაკები იტალღებოდა, შემდეგ კი მთების ლურჯი ტეხილები აღიოდა ცაში.

ქალაქი მართლაც ხელის გულივით მოჩანდა. სკამთან ბავშვებს მოეყარათ თავი. გიომ სათითაოდ გამაცნო ყველა — პაბედა, მძორი, ბუხარჩები, გრიზი ბორია, ნუცა. თან რაღაცებს მისხნიდა.

— ეს ჩვენი წყაროა!
— ეს ჩვენი სკამია!
— ჩვენი თუთის ხეა!
— ყველაზე მაგარი მცველი უფროსი ბუხარჩია! ბუხარჩებს იმიტომ ვეძახით, რომ მაგათი მამა და ბაბუა მეტუხრებები არიან.

— ყველაზე ჭკვიანურ პასებს გრიზი ბორია აკეთებს!
— პაბედა მძორივით მოუქნელია, ბურთს როცა იღებს, ისე იხრება მხრებში, კუზი ამოსდის, მაგის გამო შეარქვა ტურამ ეგ მეტსახელი, ჩვენი ქალაქის მოსამართლეს ემსახურება ეგეთი მანქანა და რო ნახავ, მიხვდები, მართლა გავს!

— კარში ყველაზე მაგრა ნუცა დგება!
— ყველაზე მაგრა კი ტურა თამაშობს, არა? — ვკითხე მე.
— კი, — თავი დამიქნია გიორგიმ.
— მოსწონი არა უკვე შენი მეპატრონის წარდგენა? — უთხრა ნუცამ.

— უბრალოდ ვუყვებოდი, რა და როგორაა, — სახე აეჭრა გიორგის, — ტურა სადაა?
— მალა, — ხეზე ანიშნა პაბედამ.
— ეეე, ტურა! ჩამოდი ახალი უნდა გაცნობ, — ხეს ასძახა გიორგიმ და პასუხად დუმილი მიიღო.

— იცი, რას იძახის, მამაჩემი ისეთ ადგილას მუშაობს, სადაც საითაც გაიხედავ, ყველგან ქვიშააო! — ცას დაუყვია გიორგიმ.

— როგორ, სუ ქვიშა? — დაინტერესდნენ ბავშვები.
— აი, ვგრე, სუ ქვიშააო, — ხისთვის თვალი მოუცილებლად ყვიროდა გიორგი.
— სუ ქვიშა? — იკითხა მძორმა.
— ხოოოო! — ხეს უღრიალა გიორგიმ.
— აი, ჩვენთან, სახლებს რო გაცდები და მწვანე მინდორი რო მიდის სულ ბოლომდე, მთებამდე და ცამდე, ეგრე, ოღონდ ქვიშა?

— ხოოო! — ხმას აუნია გიორგიმ და მოწმენდილ ცაზე ბზარივით წასული სქელი ტოტებიდან გრძელხელება, ნაფოტაკბილა ბიჭმა ჩამოანათა შავი, ბრიალა თვალები.

— გაიგე, ტურა?! — სახე გაეზაბრა გიორგის.
ავიხედე და გული ამიბავუნდა, უცებ ჩამოწოლილ სიჩუმეში ხის შიშველი კენწეროდან დიდი ყავისფერი ობობასავით უხმაუროდ და ლამაზად ჩამოცოცდა ტურა და გრძელი, გარუჯული ხელებით დაიფერთხა მტკრიანი შარვალი.

— ეს არის? — იკითხა ხმამალა.
— მე ვარ, — აღარ დავცალე გიორგის.

— როდის გადმოვიდა ჩვენთან? — წყაროს შეუშვია ხელები ტურამ.
— გუშინ გადმოვედით მე და დედა...
— და რას ამბობს მამაზე?
— სუ ქვიშაა, სადაც არისო...

ტურამ მხერით გააჩუმა საუბარში ჩამსტარი გიორგი და პირველად შემომხედა.
— ხო, მინის მაგივრად სადაც არ გაიხედავ, ქვიშაა, — წავილულულე მე.
— როგორც ზღვა? — მკითხა ტურამ.
— ხო, როგორც ზღვა!
— და ყოფილხარ რო ზღვაზე?
— არა.

— აბა, მაშინ რა იცი, რო როგორც ზღვა, ისეა?
— მე... მე...
— და შენ ყოფილხარ, ამას რო უტყვ? — ჰკითხა ტურას ნუცამ.

ტურამ თვალები დააბრიალა, მაგრამ ნუცამ ისევ ხმამალა გაუმეორა შეკითხვა.
— ვყოფილვარ! — ყველას გასაგონად თქვა ტურამ.

— როდის მოასწარი, როცა ამ ქუჩიდან გასული არასოდეს მინახიხარ? — არ დაუთმო ნუცამ.

— როდის და შარშანწინ, სოფელში რო წახვედით ყველანი, მაშინ წამიყვანა ბიძაჩემმა. გაინტერესებს საითაა, აი, იქით! — ლურჯი მთებისკენ გაიშვირა ხელი ტურამ, მკლავზე ხაზებზე დააჩნდა გრძელი, წვრილი კუნთები და ისევ ჩემსკენ შემობრუნდა, — და თუ ირგვლივ სუ ქვიშაა, რას სვამენ და ჭამენ იქ ადამიანები?

— რას და... — დავიბენი მე, ტურამ ეს შეამჩნია და კითხვები მომავარა.
— ან რო დაცხებათ, რის ჩრდილში გრიდებინან? არი იქ ხეები ან კლდეები?
— არა, მარტო ქვიშაა...
— მაშინ, რო შეიცვლება, რას ანთებენ ბუხარში?

— რას ანთებენ?
— ან წვიმა რო წამოვა, სად იმალებიან და მერე ამოდენა ქვიშა რო ატალახდება, როგორ არ იხრჩობიან შიგნით?
ოფლმა დამასხა, პასუხის ძიებაში აქეთ-იქით დავიწყე თვალების ცეცება.

— სახლებში იმალებიან, — მოვიფიქრე ბოლოს.
— თუ ხეები და ქვები არ არი, რითი ამენებენ სახლებს? — მკითხა გიორგიმ.
— მართალია, — თვალები აენთო ტურას, — რითი ამენებენ?
გავჩუმდი.

— ვინ მოგიყვა ეგ, დედამ? — ტურამ გამარჯვებულის იერით გადახედა თავისიანებს.
— ჰო, დედამ, — ვუპასუხე მე.
— მამაშენის სურათი გააქვთ?
— კი.
— სამხედრო ფორმა აცვია?
— კი.
— წერილებს გწერთ?
— არა.

— და როცა მამაზე გიყვება, დედა ტირის ხოლმე?
— ხანდახან, — ჩემდაუნებურად დავუწიე ხმას.
— იცი, რატო?

— ენატრება და იმიტომ, — თქვა ნუც-
ამ.
— არა!
— აბა, რატომ?
— იმიტომ, რომ მამამისი მკვდარია! —
თავი გააქნია ტურამ.
— შენ რა იცი? — გაბრაზდა ნუცა.
— ვიცი.
— საიდან?
— საიდანაც!
— საიდან იცი?
— ჯერ ერთი იქიდან, რომ ცოცხალი რომ
იყოს, წერილს მოწერდა, მეორე კიდე იქ-
იდან, რომ ეგეთი ადგილი არ არსებობს, რომ
ირგვლივ სუ ქვიშა იყოს, ხე და ქვა კიდე
არსად...
— მაგ ადგილს მინგეჩაურის უდაბნო
ჰქვია და იქ ხალხი აგურის სახლებში ცხ-
ოვრობს, — გაისმა უცებ სუსტი, ხრინწ-
ნარევი ხმა.
იქით მივებრუნე თავი, ჩვენს უკან ჩია,
ლოყებჩაცვენილი მოხუცი ლითონის ჯამ-
ში აქუცმაცებდა პურს.
— და აგურს საიდან შოულობენ? —
ჰკითხა შემცბარმა ტურამ.
— საიდან და წვიმა რომ მოდის, იმ ქვი-
შის ტალახიდან წვავენ, — უპასუხა მოხ-
უცმა.
— ცეცხლი რომ არ აქვთ? — არ დანებ-
და ტურა.
— რად უნდათ, რომ ჩადებენ ტალახს
ყალიბებში და მზე რომ გამოვა, იმაზე აშრ-
ობენ.
— საიდან იცი ეგ, გაბრო პაპა? — შეს-
ცინა ნუცამ.
— იქიდან, რომ ჩემი ბიჭიც იქაა, — უპა-
სუხა მოხუცმა.
ტურა გაჩუმდა.
— ვედროები გვინდა, — თქვა ცოტა
ხანში.
— რად გვინდა ვედროები? — გაუკვირ-
და გრიზლი ბორიას.
— დღეს ან ხვალ თოვლი მოვა, ქვემოთ
უნდა ჩავასხათ წყალი ქუჩაზე, რომ მოყი-
ნოს და ვიცეგუროთ!
— მართალია, წყალი უნდა ჩავასხათ!
— დაეთანხმა გიორგი.
— უნდა ჩავასხათ, — გამოაჯავრა გრ-
იზლი ბორიამ გიორგი.
— და რა იცი, რომ მოთოვს? — ჰკითხა
ნუცამ ტურას.
— ხიდან დავინახე ღრუბლები!
— ცა რომ მომწმენდილია?
— დავინახე-მეთქი!
— სად?
— თუ ვედროები გჭირდებათ, მე მოგ-
ცემთ, — გამოგვძახა გაბრო პაპამ, — მაგ-
რამ წყალი ღამე უნდა დაასხათ, რომ თუ
ყინვა ღამე დაარტყამს, მოყინოს. აბა, ახლა
თუ დაასხით, ღამემდე გაშრება, თან კიდე,
ტროტუარებზე არ უნდა გადაგივიდეთ
წყალი, თორე თუ მოყინა, უფროსები დაბ-
ლა ვედარ ჩავლენ, ასრიალებიან და მა-
გრად მოგხვდებით ყველას!
— მაშინ ღამე დავასხათ! — ახმაურდ-
ნენ ბავშვები.
— ახლა კი, წამო, ფეხბურთი ვითამა-
შოთ, შტაბსაც განახებთ და ჩვენც ვნახა-
ვთ, მართლა ისეთი მაგარი ხარ თუ არა,
როგორც ამბობდი, — მითხრა გიორგიმ და
მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი.
წინ ტურა გაგვიძღვა, ერთად გადავი-
არეთ ყვითელი ბორცვი, მეორეზე ავედით
და ჩვენ ქვემოთ პატარა მოყვითლებული
ადგილი გაიშალა. ბუნებრივად მოლობილი
მოედანი არაპროპორციული იყო, მარჯვ-
ენა მხარე ფართო, მარცხენა მხარე ვი-
წრო, არაპროპორციულად, ერთმანეთის-
გან ოდნავ განზე იდგა ძელებიც — მინაში
ჩარჭობილ ორ მილუნულ-მოლუნულ ტო-
ტზე ჰორიზონტალურად გადებული და
ლურსმნით დაჭედებული მესამე ტოტი.
მოედნიდან ოც მეტრში, კაკლის დიდი ხის
ძირში, ყვითელი ავტობუსის დაუანგული
ჩონჩხი ეგდო.
— ესეც ჩვენი სტადიონი, — დაიწყო
გიორგიმ და ბელადის გამოხედვის შემდეგ
შემცბარმა დააყოლა, — ტურამ იპოვნა,
ის ავტობუსი კი ჩვენი შტაბია.
— საიდან აქ ავტობუსი? — ვიკითხე გა-
ოცებულმა.
— ამბობენ, ომამდე აქ გზა ამოდიოდაო,
მაგიტომაც არის ეს პატარა ადგილი სწო-
რი, — მითხრა უფროსმა ბუხარიჩმა.
ტურა ავტობუსის კარს დაეჯავჯურა,
დაუანგულმა საკეტებმა უსიამოვნოდ გა-
იღრჭიალა, შიგნით შევედით, უმინო რკი-
ნის კარკასში სიძველის სუნე იდგა, ერთ-

მანეთის მიყოლებით ჩარიგებული სკამებ-
ის ქვეშ ნესტის ლაქები იშლებოდა, ზოგ
სკამს რბილი დასაჯდომი საერთოდ აღარ
ჰქონდა, ზოგიდან ზამბარებს ამოეყოთ
თავი.
— მოგნონს? — მკითხა ტურამ.
პირველად მკითხა რალაცა მეგობრუ-
ლი ტონით და ამით გახარებულმა და-
უფიქრებლად ვუპასუხე:
— ძან!
— მე კიდე, არა, — თქვა ტურამ, —
ერთი-ორჯერ რალაცები ამოვიტანეთ, გა-
ვასუფთავეთ, სკამებიც დავკემსეთ, შემას
ვაგროვებდით ხოლმე, მაგრამ სუ გვპარა-
ვდნენ.
— თლიფინა თედორაძე იქნებოდა, —
თქვა გიორგიმ.
— უეჭველი, — დაეთანხმა ნუცა.
— უუუ, მე მაგისი... — გაბრაზდა პაბე-
და.
— ხო, მეც ეგრე მეგონია, მაგრამ სანამ
აქაურობას მცველი არ ეყოლება, სანამ აქ
ვინმე არ იცხოვრებს, მანამდე შტაბს ვერ
მოვუვლით, — წამოიმართა ტურა, — ახლა
კი, მოდით, გავიყოთ.
ტურა არჩევანად დადგა, არადანად —
უფროსი ბუხარიჩი, ტურამ გრიზლი ბო-
რია, გიორგი, უმცროსი ბუხარიჩი და მძ-
ორი აირჩია, უფროს ბუხარიჩთან მე, პაბე-
და და ნუცა დავრჩით.




— ესე, უეჭველი ნავაგებთ, თან მეტნი
არიან ერთი კაცი, — აყვირდა ნუცა.
— თუ გინდათ, მძორი წაიყვანეთ, —
გვითხრა ტურამ.
— მძორი შენ გყავდეს!
— არ ნავაგებთ, ოლონდ შენ დადექი მა-
გრად კარში, — ვუთხარი ნუცას.
სამი ხელი ვითამაშეთ და სამივე მოვ-
იგეთ, პირველში სამი ბურთი გავიტანე, მე-
ორეში — ორი, მესამეში — ოთხი, თან მე-
ოთხეზე ფეხებშორის გავუტარე ბურთი
უკანასკნელ მცველად დარჩენილ ტურას
და კარში ჩამდგარი მძორიც წყლიდან ამ-
ოყვანილი თევზით ავაფართხალე მინა-
ზე.
სკამთან ძმაკაცებად დავბრუნდით. მა-
რტო ტურას არ უთქვამს არაფერი. ბინდ-
ებოდა.
— აბა, ხვალამდე, — დავემშვიდობეთ
ერთმანეთს.
— მე დავრჩები, ქუჩაზე წყალს დავასხ-
ამ, — თქვა ტურამ, — გიო, დარჩები შენც?
— აუ, ვერა, ტურიკ... ისა... დედაჩემს
უნდა მივებმარო და... სხვა დროს რომ იყოს?
ან ხვალ საღამოს რომ დავასხათ?
— არა, წადი მაშინ, მარტო დავასხამ,
— უთხრა ტურამ.
— სად ისწავლე ეგრე მაგრა თამაში, ა?
— მეკითხებოდა გზაში გიორგი, — აუ, ის
რა მაგარი გოლი იყო, თავით რომ გაიტა-
ნე?! ის ხო საერთოდ, ტურას რომ გაუტარე
ფეხებშორი და მძორი მინაზე დაანვინე! რა
სახე ქონდა ტურას, როცა მიხვდა, რომ
თურმე ყველაზე მაგარი არ ყოფილა?! ხა!
ხა! ხა!
დედა ღუმელთან დაჰფუსფუსებდა ვახ-
შამს.
— სად იყავი, დე? — მკითხა თბილი ლი-
მილით.
— მიწერე? — მოვუჭერი ცივად.
— ვის, დე?
— ვის და მამას, რომ აქ ვართ, — ვიგრ-
ძენი, როგორ გამეჩხირა ყელში შუშხუნა
ბურთი და როგორ ამეწვა თვალები.
— რა მოხდა? — დაფრთხა დედა.
— რა და მამაშენი მკვდარია, მაგიტომ
არ გწერსო!

— ხვალე, ხვალე მივწერ, დე, ხვალე
გავუგზავნი დეპეშას, რომ იცოდეს, სად მო-
გვწეროს, — გულში ჩამიკრა დედა და
ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.
— აუცილებლად მიწერე ხვალ, აუცილ-
ებლად! ხო მიწერე?! — ვსლუკუნებდი მის
მკლავებში მოქცეული.
— აუცილებლად, დე, გპირდები!
— ჩემი თავი დაიფიცე!
— შენ თავს ვფიცავარ, დე!..
— არ იცოდა, რომ აქეთ გადმოვედით,
დღეს დედა წერილს გავუგზავნი და მომწ-
ერს! — ყველას თანდასწრებით ხმამალა
ვუთხარი ტურას მეორე დღეს.
სკამზე ვისხედით, ჩვენ უკან გაბრო პა-
პა უყრიდა ჩიტებს პურის ნატეხებს.
— ვინ? — ვითომ ვერ მიხვდა ტურა.
— ვინ და მამაჩემი!
— როცა მოგწერს, მერე ვილაპარაკ-
ოთ! ამაღამ უეჭველი მოვა თოვლი, — ცას
ახედა ტურამ.
— შენ გუშინაც ეგრე ამბობდი, — უთ-
ხრა ნუცამ.
ისევე გუშინდელი შემადგენლობებით
გავიყავით, ისევე სამივე ხელი მოვიგეთ, ის-
ევე ფეხებშორი გავუტარე ბურთი ტურას,
ისევე შებინდებულზე დავბრუნდით სკამთან
და ტურა ისევე მარტო დარჩა ქვაფენილზე
წყლის დასასხმელად.
— ადე, დე, გაიხედე, გარეთ რა ხდება!

— ოჰჰჰ, — გადავბრუნდი მეორე გვერ-
დზე.
— ადე, ადე, ნახე, რა ლამაზია!
უცებ ყველაფერს მიხვდი, ფეხზე წამ-
ოვვარდი, ფანჯარას ვეცი, ფარდა გადავ-
ნიე და სიხარულისგან შეეყვირე — შავი
ციდან უხმაუროდ ეშვებოდა დიდი თეთრი
ფანტლები.
ინათა თუ არა, აივანზე ვიყავი, თოვლ-
ში ჩაფლული ქალაქი შავი ფანქრით ნახ-
ატს გავდა, საკვამურებიდან თეთრი ბოლი
ადიოდა ცაში.
გიორგის უკვე მეორედ ვმარხავდი მის-
ივე ჭმუკართან, როდესაც ზემოდან სისინ-
ით დაემშენე ლაპლაპა ციგები, პირველი
ტურა იყო, სწრაფად, თოვლის ფატვრით
მოასრიალებდა გრძელ ციგას, უკან გრი-
ზლი ბორია და ბუხარიჩები მოსდევდნენ.
— ნუცა სად არის? — ვიკითხე მე.
— გაციებულია, არ უშვებენ, — მითხრა
გრიზლი ბორიამ.
ერთად ავეყვირეთ აღმართს, სკამი ცა-
რიელი დაგვხვდა, გაბრო პაპა ღია ფანჯ-
რიდან გადმოჰყურებდა მოედანს.
ციგებზე შემოსხნადარი ბიჭები მხიარუ-
ლი ყიფინით ეშვებოდნენ დაბლა, მაგრამ
დაჯდომა არავის შემოუთავაზებია, ვიჯე-
ქი სკამზე ჩემთვის და ვფიქრობდი, რო-
გორი იყო დაშვება.
— შენ რატომ არ სრიალებ? — მკითხა
გიორგიმ.
— ციგა არ მაქვს!
— ჩემსას გათხოვებდი, მაგრამ დასა-
ჯდომი აქვს გატეხილი და წონას ვერ გა-
უძლებს, — გიორგიმ ციგა დაღმართს მი-
უახლოვა, ბოლოჯერ მოუსვა ორივე ფე-
ხი, — აააააა! — დაიყვირა ხმამალა,
დაეშვა და წამში დაპატარავდა.
— მოდი, ჩემსაზე დაჯექი, — შემომ-
თავაზა მძორმა და ჩამოსვლა დააპირა.
— ციგის თხოვება არ შეიძლება, — მკა-
ცრად მოუჭრა ტურამ.
— და რომ ვერ სრიალებ? ან თუ თხო-
ვება არ შეიძლება, რომელ ციგაზე უნდა
დაჯდები მაშინ?
— მამაშენი რომ გამოუგზავნის, იმაზე!
— ტურამ საკუთარი ციგა ღონიერი ბი-

ძვით დააცერავა დაღმართზე და გაქრა.
მოედანზე თავი შევიკავე, მაგრამ სახ-
ლში შესვლისთანავე ცრემლები წამსკდა,
გადავწყვიტე, საერთოდ აღარ გავსული-
ყავი გარეთ.
მთელი ღამე ბარდნიდა.
— ადე, დე!
— არ მიწდა!
— ადე, ნახე, რა მოგიტანეს!
— არ მიწდა-მეთქი!
— გეხვენები, ოდნავ მაინც თუ გიყვარ-
ვარ, დე, ადე!
— არ მაინტერესებს-მეთქი! — ლამის
ვიყვირე გაბრაზებულმა, გადმოვბრუნდი
და თვალებზე არ დავუჯერე, გამოვლებულ
კარში, უცნაური ფორმის წვრილი, ცხვირ-
წანვეტებული ციგა ბზინავდა.
— ეს... ეს მამა...
— გაბრო პაპამ მოგიტანა დღეს დილ-
ას, დე!
— გაბრო პაპამ?!
— ხო, რომ ახვალ, აუცილებლად მად-
ლობა გადაუხადე!
სასწრაფოდ ჩავიცი, თავქუდმოგლეჯი-
ლი გავვარდი კარში, ათჯერ ავირბინე აღ-
მართი და ათჯერ ზედიზედ დავეშვი ქვე-
მოთ. აუ, რა იყო?! ცივი ჰაერი წულით მი-
ფხაჭნიდა ლოყებს, ფართო ქუჩა კი გასე-
რილი თოვლის სისინში გვირბივით ვიწრ-
ოვდებოდა და აქეთ-იქით აზიდული სახ-
ლების სახურავები თითქოს ერთმანეთს
ეხებოდა ჩემს თავს ზემოთ!
გაბრო პაპა ისევე ფანჯარაში გადმომდ-
გარიყო.
— მადლობა, გაბრო პაპა! — ავძახე
სიხარულისგან ანთლებულმა.
მოხუცმა მარჯვენა ხელის საჩვენებე-
ლი თითი მიიღო ტურებზე და ხმადაბლა
ჩამომძახა:
— თუ გკითხავს, უთხარი, რომ მამაშენ-
მა გამოგიგზავნა!
და მე ბიჭებს დავუწყე ლოდინი, თან ვო-
ცნებობდი, იქნებ ნუცაც მოვიდეს-მეთქი.
ბიჭები მალე გამოჩნდნენ, ტურას მე-
თაურობით ამოიარეს აღმართი, სულ ბო-
ლოს ვარდისფერქუდიანი ნუცა მოაკონ-
ნიალებდა პატარა ციგას.
— ვააა! — წამოიძახა ყველამ ჩემი
ციგის დანახვაზე.
— საიდან? — მკითხა გიორგიმ.
— მამაჩემმა გამომიგზავნა! — ამაყად
გავხედე ტურას.
— აბა, იქ არიო... — სახელი ვერ გაიხე-
ნა გრიზლი ბორიამ.
— მინგეჩაურის უდაბნოში! — შეახსე-
ნა ნუცამ.
— ჰო, და იქ სუ ქვიშააო?!
— ქვიშის ციგაა, მარა თოვლზეც და-
ცურავს, — ვთქვი მე.
— მერე კარგად? — გიორგის ჰკითხა
ტურამ.
— დავდგეთ, თუ გინდა, და განახებ! —
ვუპასუხე მე.
— ვა!
— რა, ვა? შეგეშინდა?
— ვის, ბიჭო, მე?
— ხო, შენ!
— მოდი, აბა. დავდგეთ!
— სამზე დავეშვებით, ვინ დათვლის?
— გიორგი!
— არა.
— აბა?
— ნუცა!
— არა!
— რა იყო, შეგეშინდა?
— კარგი, დათვალს!
— სამი! — დაიძახა ჩვენს შორის ჩამდ-
გარმა ნუცამ, ციგები მოყინულ დაღმა-
რთზე დავუშვით და მე რამდენიმე მეტრით
უკან მოვიტოვე ტურა.
— ერთიც? — მკითხა ეგრევე.
— არ მიწდა.
— რა იყო, შეგეშინდა?
— წამო!
— სამი! — ხელმეორედ დაიძახა ნუ-
ცამ და ახლა უკვე ხუთ მეტრზე მეტით გა-
ვასწარი ტურას.
— წონა რომ არა აქვს, მაგიტომ მისწრ-
ებს, ჩემი მძიმეა! ამისი კიდე, ნახე, დანა-
სავითაა, ბასრი და მსუბუქი! — თქვა ტუ-
რამ.
— ვინმეს დავისვამ და ეგრე შევეჯი-
ბროთ, გინდა? — ვკითხე ჩემს ციგაზე არხ-
ეინად გადანოლილმა.
— ვის?
— ყველაზე მჩატეს, ნუცას!



სცენა

და ნიავების ფერად სტრიქონებს ვიდრე ქარები დამითხოვებენ, ვუსმენ ჩემს ფრთოსან კომპოზიტორებს: ბახებს, მოცარტებს და ბეთხოვენებს, მათი სულის წვას და ლიტანიებს, შეხვედრებსა და გამოთხოვებებს...

გამოქცეული სათორე არტახს მტკვარი ნადიმობს თრიალეთურად, მთის წვერები კი ცის ცისფერ კალთას დაადგებიან თავზე მეფურად, მტკვარი მცხეთასთან ჩაიტანს ამბავს ძველქართველურად ანუ ხეთურად...

აქ ყველა ქვასთან სუნთქავს პოემა, რომელიც ხვალ-ზეგ დაფრთიანდება და ცოცხლდება ციმაკურიძის დაისები და განთიადები, აქ იცი, ფიქრით — მუდამ ურიცხვით — სად იშლები და სად მთლიანდები...

აქ ყორანქედი — მიწის კანდელი ციდან ჩამოჰკრეფს ნისლების სოსნებს და ვარსკვლავები — ზეცის სანთლები — უმასპინძლებენ ქარებს — შლეგ მგოსნებს, მთვარე — ეს ღამის მიქელანჯელო — ღრუბლებისაგან გამოჰკვეთს მოსეს!..

მე სულს ჩაგბერავთ, ხეთა ფოთლებო, ვიდრე ქარში გაიფანტებით, რომ ეს კამკამა ვარსკვლავთ ორდენი ავაჟღურტულო ლექსის ბლარტებით, იქნებ ამევსოს სული ობოლი მზისა და მთვარის ფოლიანტებით...

სიზღარა რკინის ჩიტებისათვის

მავეთუხლართები... მე მათ ასე როდი ვუყურებ, აბა, ნახეთ, როგორ ჰგვანან მართლაც ჩიტუნებს, რომლებსაც უნდათ ამ საშინელ ბადეს გაექცნენ, შეიფრთხილონ და გაშალონ ფრთები, რომლებიც შეუბოჭეს რკინის მარწყვით... რკინის ჩიტებო, მე ვიცი, ერთ დღეს

მართლაც ისე შეიფრთხილებთ, დაწყვეტთ მარწყვებს და აფრინდებით, აფრინდებით ძალიან ლალად, ისევე, როგორც იმ ბიჭების წმინდა სულები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ხოცეს, რომ მშობლიური ბალახები და ხოდაბუნების ლორთქო გულები რკინის სალტებს არ დაესერათ... რკინის ჩიტებო, ვიცი, ერთ დღეს თქვენც აფრინდებით... და როს ის წუთი დაგიდგებათ, არ დაივიწყოთ, რომ არსებობს ძალმომრეობა, რომელსაც ჟამი უეჭველად ძალას ნაართმევს... თქვენ კი იქნებით ლალები და თავისუფალი, ისევე როგორც იმ ბიჭების წმინდა სულები, მანდ რომ დაეცნენ...

ჩიტმაც თავისი ბუდე იცის...

ჩიტმაც თავისი ბუდე იცისო! დაგვძახებდა პაპაჩემი შებინდებისას შვილიშვილებს, რაც იმისი ნიშანი იყო, რომ სანოლები მოგვეძებნა და დაგვეძინა... ტკბილი სიზმრები გველოდა ჩვენ იქ — ჩვენს ბუდეებში, რომელიც მუდამ სავსე იყო დედის ალერსით, მამის ძლიერი გულის ფეთქვით და სიყვარულით...

ახლა, თითქოსდა საღამო იყოს, თითქმის ყოველ წუთს ველოდები, ჰა, და, დაგვძახებს უხილავი ხმა: ჩიტმაც თავისი ბუდე იცისო... ჩვენც ჩიტებივით წამოვიშლებით, ანკი ვილა ვართ წამოსაშლელი, ზღაზვნით გავიკვლევთ გზას და სევდით და სინანულით მივაშურებთ სამარეებს ყველა ჩვენ-ჩვენსას — ჩვენი სიზმრების ბოლო ბუდეებს...

სალალოო

აქ ნავროზობის ღამეებს აქებენ და უზალთუნებს, მე კი ქუჩების ღარებში დავექებ ფატმან-ხათუნებს.

მთვარე ზღვის მკერდზე განვება, ტალღებს სხივს მიუთათუნებს,

ჩვენც ტუჩებს ტუჩზე ვანებებთ, ვლოშნით ჩვენს ფატმან-ხათუნებს.

ღამე შიგ სულში შემოდის და სისხლში უხმოდ ფათურებს, ველარ მოვალნევე შენამდე, ველარ ვთმობ ფატმან-ხათუნებს.

აქ, გულანშაროს ზუზუნში, მახელებს ვნების ბზობანი: ფატმან ხათუნის ძუძუნი და ღამის ნავროზობანი.

ანატორი

„გალმა სოფელში ასკილი ყვავის“.
გიორგი არაბული

კედლებში ბუდობს სენი და სენში სიკვდილი, როგორც დაძრული ზვავი და ხენემ-ხენემ საბრალოდ კენესის ქალი — სიკვდილთან შეკრული ზავით. გარეთ აპრილის ხასხასა დღეა გარეთ აპრილის წკრიალებს ზარი...

ჩონჩხების ჩხრიალს უსმენენ ძვლები, ქარს ვერ აკავენ სიძველე ყავრის, ღრიჭოდან ნაცნობ სანახებს ქებნის, ქარს მოაქვს სუნი ჯერ ნორჩი ყანის, რომლებიც ქარებს უტკობენ ვნებებს, შორიდან ისმის ყიყინი მყვარის...

და მერე ისე, როგორც მოლბერტზე სიკვდილ-სიცოცხლის კაპარჩხა ყალმით, წუთისოფლიდან სიტყვებს მობერტყავს და როგორც სულის უნახეს ყვავილს, კედელს მიაკრავს ბოლო ლეგენდას: „გალმა სოფელში ასკილი ყვავის“.

ოთარ ჩხეიძის ლექსი

შემოვა, როგორც გუთნისდედა, სიტყვის მინდია და ზეცის გახსნას ემსგავსება მისი შემოსვლა, სათვალის მიღმა ჩაბუდებულ მზერას ბინდიანს მამულზე ფიქრი უჩინარი ნათლით შემოსავს. მხრებზე მამულის სადარდელი შემოუცვია, მდინარეს აღმა მიუყვება, უყვარს ზემოსვლა, ისიც ლოცულობს, ასე ჩუმად, ასე უჩინოდ სადაც წინაპარს აქამომდე უნდა ელოცა. მისი სავალი თურმე მართლაც ბენვის ხიდა, მისი სათქმელი — სამამულე წყლულის შელოცვა, ვკითხავთ: მოძღვარო, ქართველები საით მივივართ? სიტყვას დაგვიგდებს: „მოუარეთ საქართველოსა!“.

სამი დრო

- 1
მაისის ბაღია ცხოვრება — სიზმარი გრძნობათა მდინარე ამოდ დის, შხაპუნა წვიმია, ო, არ დაიზარო, გა-მო-დი!
- 2
ქარმა ახლა მხოლოდ სევდა მოიყოლა და კიდევ ცას ვუმზერო ჩვენ ვიდრე, იმ ათას მეორე ზღაპარს მოგაყოლებ, წვიმა წამოვიდა, შევიდეთ...
- 3
უკან მოვიხედეთ, მზეც ვერ დავინახეთ, ცაზე ღრუბლის ენთო კარედი, ცრემლი სადღაც გულის მიღმა გადვინახეთ, წვიმამ გადაიღო, ნავედით!

მინანარი გიორგი სოსიანის ორნიგნულზე „გოღაზის კედელი“

ჩამოვდებოდა პაპაჩემი და ცრემლიანი თვალებით ისე გასცქეროდა ჩვენი ბაღის გასწვრივ სანახებს, ისეთი სევდით და სიბრაზით იტყოდა მერე: — ა, ეს მიწები, — და ხელით რკალს შემოხაზავდა ძალიან ფართოდ, — სულ ჩვენი იყო, მამაჩემის და პაპაჩემის და უფრო იქით — პაპის პაპის პაპის ხანიდან... მაგრამ მოვიდნენ ი წყეული კომუნისტები და ჩამოგვაჭრეს... დაგვიტოვეს ეს ციციქნა ბაღი — ვით ანასხლეტი იმ დიდ მიწათა...

ახლა მე ვზივარ მავთულხლართთან, აქვე — ალს ზემოთ — და ჩემს შვილიშვილს ვეუბნები გულის ცახცახით: — აი, გახედე, პაპისგული,

კავკასიონის წვერებს ხომ ხედავ,
 ეს მადლიანი ტერიტორია სულ ჩვენი იყო,
 კავკასიონის მწვერვალებიც ჩვენი ხარობდნენ... —
 და ხელით ვხაზავ ქართლის სანახებს,
 რომელზედაც ეკალხლართებთან
 აღმართული მწვანე აბრა
 გულდაგულ მამცნობს,
 რომ იმის იქით
 საქართველო კი არადა, სხვა ქვეყანაა...

ისე წავიდა პაპაჩემი,
 მამაპაპური მამულები ვერ დაიბრუნა...
 მე კი არ მინდა, ისე წავიდე,
 სამაჩაბლოს ცისქვეშ არ დავდგე
 და კავკასიონს არ გავძახო:
 — აი, დავბრუნდი!

ქალდას ბინადარი

ქალდას მზეში გაჭრილ ულაყებს
 სამყაროს ბინდმა სად არ უნია,
 უდაბნოს გული გამოულაყეს,
 ზურგი აქციეს ნილოსს წუნინას...
 წინ მიუძღვოდათ მენამულ ზღვათა
 მიწანაჭამი ქარი გიჟმაჟი,
 როს ბაბილონის ცეცხლოვან კალთას
 აგლიჯეს პირმშოდ ქართლის რიჟრაჟი...
 არმაზის სიზმრებს მზე ჩაეგება,
 ოდეს ბრძანება ციდან გაიცა
 და იბერიამ — მოსეს ედემმა —
 ტანზე ბიბლიის კაბა ჩაიცვა...

ხცისის გზაზე, მუხნართან,
 ერთი ფიჭვი ყვავილობს,
 რამდენჯერაც ჩავუვლი,
 ჩუმად გალობს „ალილოს“,
 მე კი შევტრფი ამ ლამაზს,
 ლამაზს, ზურმუხტოვალეებს,
 თითქოს მის ნაზ ფიქრებთან
 სულის ძაფი გამეხას.

თითქოს ჩემთვის ზურმუხტობს,
 თითქოს ჩემთვის ყვავილობს,
 თითქოს ჩემთვის ლოცულობს,
 ჩემთვის გალობს „ალილოს“
 მეც ვუმღერი: — მიყვარხარ,
 ციდან ჩამოყვანილო...

ხცისის გზაზე, მუხნართან,
 ერთი ფიჭვი ყვავილობს,
 მინდა, სულ ილულუნოს
 „დილილო“ და „ალილო“ ...

დავბორიალებთ საფლავებს და საფლავებს შორის,
 შორისდებულთა შორის მეტად ჭარბობს, ეჰ, ვაი,
 ცრემლიან თვალებს თან ვარიდებთ ერთმანეთს, თანაც
 თანაზიარი განცდებისთვის ვიტოვებთ ნაღველს...
 მერე ძალიან მშვიდად ამბობ, ძალიან მშვიდად,
 მწუხარედ მშვიდად,
 მწუხარ ღიმილით:
 — აქ ყველა თითო მოთხრობაა,
 თითო ნოველა მაინც იქნება
 და იქნებ ზოგი რომანიც იყოს,
 რომლებიც მიწამ ჩაიხუტა,
 რომ წაიკითხოს...

რატომ ხატავენ ბავშვები სახლებს —
 პატარა სახლებს, ორფანჯრიან პატარა სახლებს
 შუაში კარით
 და უეჭველად ბუხრით,
 მუდამ საიდანაც
 კვამლი ამოდის?!
 და უეჭველად წინ ბილიკით,
 რომლითაც უნდა იმ სახლების კარი შეაღო,
 და რატომ მოგვწონს ჩვენ, უფროსებს, ეს ნახატები
 მაშინ, როდესაც ჩვენი სოფლების პატარა სახლებს
 დიდი ხანია, ზურგი ვაქციეთ...
 ის ბილიკებიც გავაბაღახეთ,
 აღარც ბუხრიდან ამოდის კვამლი
 და კარ-ფანჯრებსაც არავინ აღებს დიდი ხანია.
 დიდი ხანია, გამოვხურეთ კარი, რომელიც
 დაიღალა ჩვენი ლოდინით...
 ღია კარები დაუხატეთ, პატარებო,
 თქვენს ლამაზ სახლებს,
 ღია ფანჯრები დაუხატეთ, პატარებო,
 თქვენს კოხტა სახლებს
 თქვენს ნახატებზე,
 იქნებ უფროსებს მათ დანახვაზე გაახსენდეთ,
 რომ სადაც, მთებში,
 ჩარჩენილი მათი მამა-პაპის სახლები
 მოუთმენლად ელოდებიან პატრონების ხელის შეხებას.

ნინო ვახანია

მხოლოდ სინრფელი,
სინალისა და სიყვარული

აპტომობრაფია, მემუარები, მოგონებანი ყო-
 ველთვის განსაკუთრებულად იზიდავს მკითხველს. ამის
 მიზეზი ისაა, რომ, ერთი მხრივ, სხვის ცხოვრებაში ვი-
 ქრებით, ვიჩხრიკებით, ღია ფანჯრებიდან შინ ვიყურებით,
 და მეორე მხრივ, იმავე ფანჯრებიდან გარეთაც წვდება
 მზერა, ეპოქასაც ვხედავთ, მემუარისტის ირგვლივ თუ
 გარშემო არსებულ პირთა წრეს, თვითონ ავტორის სუ-
 ლის მოძრაობაც თითქოს უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე
 მისი სხვა საქმიანობით. სასურველია, რომ მოგონებები
 იყოს რაც შეიძლება წრფელი და მიუდგომელი. სხვანაირ-
 ად, მოვლენების წინასწარგანზრახული გადაკეთებით, ის
 ყოველგვარ ფასს დაკარგავს. მართალი კაცი მატყუარას
 ყველა შემთხვევაში გვირჩევნია, მაგრამ სიყალბე ავტო-
 ბიოგრაფიულ ნაწარმოებში მეტისმეტად ცხადად ჩანს
 ხოლმე. ასევე ცხადად, მკვეთრად, ნათლად იკითხება
 გულწრფელობა, საზოგადოებრივ მოვლენათა ობიექ-
 ტურად ასახვისა და შეფასებისკენ სწრაფვა და საკუთარი,
 სუბიექტური შეგრძნებების ზუსტად აღწერის სურვილი.
 ამ პრინციპის სრული გააზრებითაა დაწერილი გიორგი
 ლობჯანიძის ავტობიოგრაფიული რომანი „ჩემი ფანჯრე-
 ბიდან“, რომელიც 2020, მიიმე წლის ბოლოს სასიამოვნო
 სიურპრიზად მოგვართვა არაერთი სასიკეთო საქმის აღმ-
 სრულებელმა, გამომცემლობა „არტანუჯმა“.
 ნიგნი გულგრილს არავის დატოვებს. პირველივე პასა-
 ჟიდან ჩაითრევს მკითხველს და ბოლომდე გაიყოლებს.

უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვა იმ ეპოქაში,
 როცა ტოტალური მექრთამეობა და ეგრეთწოდებული
 „ჩანაყობა“ იყო უმაღლესი სასწავლებლებში გაბატონებულ-
 ლი, თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ. თუმცა გა-
 მონაკლის საბჭოთა სისტემაც უშვებდა. განსაკუთრე-
 ბულ, გამორჩეულ ნიჭს აძლევდნენ წარმოჩენის თუ გან-
 ვითარების საშუალებას. არა მგონია, გრიგოლ ორბელი-
 ანის ანდერძით ესარგებლათ, მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
 რომ დაგვიბარა. უფრო, ალბათ, ფესვგადგმული უსამა-
 რთლობის აშკარად გამოჩენა აფრთხობდათ... თუ რო-
 გორც იყო, გიორგის ნიჭის, მონდომების, შეუპოვრობის
 წინაშე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავე-
 ლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კარი ჯადოსნურად (უგა-
 მოცდოდ) გაიღო. სწორედ ამ მოვლენის მოგონებით იწ-
 ყება რომანი.

მოვლენა შემთხვევით არ მიხსენებია. ეს ამბავი მოვ-
 ლენად მიაჩნია თვითონ ავტორსაც არამარტო მოულოდ-
 ნელი და სასიამოვნო უცნაურობის გამო, არამედ, უპირვე-
 ლესად, იმიტომ, რომ აქედან იწყება მისთვის სხვა სამყა-
 რო. უნივერსიტეტში სწავლის წლები, გიორგისთვისაც
 ზუსტად ისე, როგორც ილია ჭავჭავაძემ თქვა, ცხოვრებ-
 ის წყაროს სათავეა, საძირკველია, კვირტია და რა გამო-
 ვა იმ კვირტიდან, ყველა ცალკეულ შემთხვევაში ინდი-
 ვიდუალურია.

მოგონებების დაწერის უფლებას მოპოვება, დამსახ-
 ურება უნდა. ბავშვობის წლების, ოჯახის, ახლობლების,
 მეზობლების... განვლილი გზის სხვებისთვის, მკითხველ-
 თა ფართო წრისთვის გაცნობის ნება მხოლოდ იმას აქვს,
 ვისი ნაშრომ-ნაღვანიც უკვე მეტნაკლებად ცნობილია
 იმავე მკითხველისთვის. სხვაგვარად ყველასთვის საინ-
 ტერესო ვერ იქნება, რაც უნდა ელვარე და თავბრუდამხ-
 ვევი ბიოგრაფია ჰქონდეს კაცს.

გიორგი ლობჯანიძეს, ახალგაზრდული ასაკის მიუხე-
 დავად, აუცილებლად უნდა დაენერა ავტობიოგრაფიუ-
 ლი რომანი. მისი ყოფა, სულიერი ცხოვრება იმდენად მისს-
 ლსაცვად და მღელვარეა, რომ თამამად შეიძლება კიდევ
 ერთ ეპიგრაფად ილიას სიტყვებიც გამოეყენებინა: „...მა-
 გრამ ჩემ თავის არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით
 გაძღება“.

გიორგი მთელ საქართველოს ჯერ კიდევ იმ დროიდან
 ახსოვს, ხაშურელ ვუნდერკინდ, გენიოს ბავშვებად რომ
 გაგვაცნო ის და ეკა ბაქრაძე მაშინდელმა მედიამ.

მერეა და, გიორგი ლობჯანიძეს ვხედავთ, როგორც
 არაჩვეულებრივ მთარგმნელს, საუკეთესო პოეტს, შესანი-
 შნავ ლექტორს, დიდებულ მეცნიერს, გამორჩეულ ორა-
 ტორს... უმრავლესობისთვის საყვარელ და ყველასთვის
 საინტერესო და მნიშვნელოვან ადამიანს და, აბა, ასეთი
 კაცის თვალთ დახახულმა სამყარომ, რა გასაკვირია,
 მკითხველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია საზოგა-
 დოებაში. ამას მონობს უამრავი გამომხაურებაც იმ ნაწ-
 ყვეტებზე, რომელთაც დროდადრო სოციალურ ქსელში
 აქვეყნებდა ავტორი. მეტიც — უფრო სასაცილო და სახ-
 ალისო ამბავი — თურმე გიორგის დის პირველი ქმარი
 ისეთმა სულსწრაფობამ შეიპყრო, ისე მოუთმენლად ელო-
 დება ამ ნიგნის ნაკითხვას, რომ იმ კაცის მეორე ცოლი
 თხოვს თავისი ქმრის პირველ ცოლს დახმარებას ამ რო-
 მანის შოვნაში. სერიოზული ჩახვეულ-ჩახლართული
 ურთიერთობებია.

ვინც უკვე ნაკითხა „ჩემი ფანჯრებიდან“, მიხვდება
 — ეს ის დაა, რომელსაც არ შეუძლია, ერთი ფრიდონი
 რომ არ ჰყავდეს გვერდით, და პირველი ქმარი ის გალე-



ლი ფრიდონია, რომლის მშობლების ოჯახში გატარებულ
 დღეებს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მაშინ
 ჯერ კიდევ ყრმა გიორგიზე. არც ფბ-ზე გიორგის მინანქ-
 რი გაგვიკვირდება, ყველას ძველებურად გვიყვარს ისევე
 ერთმანეთით. ბუნებრივია, არანაკლები სიყვარულითაა
 წარმოჩენილი ოსი, „ძუნწი“ სიძე, რომლის ოჯახშიც გაი-
 ზარდა, ფაქტობრივად, თვითონ.

მართლაც, მთელი ნიგნი სიყვარულით სუნთქავს, სიყ-
 ვარული იღვრება ყოველი პასაჟიდან, ყოველი გვერდი-
 დან, ყოველი ფრაზიდან. დებისა და სიძეების გიორგისე-
 ული სახე-პორტრეტები დაძმობის გამჩენს დაგალო-
 ცვინებს ადამიანს და იმ მთარულ მოსაზრებასაც უთუოდ
 დაეთანხმები, დების გარეშე გაჩენა რომ არ ღირს ამქვეყ-
 ნად. სიყვარულით უხდის ავტორი მადლობას ყველას, ვინც
 კი ცხოვრების გზაზე შეხვედრია.

ეს სიყვარული ისეთი წრფელია, ისეთი მადლიანი, რომ
 რაღაც ჯადოსნობით გადამდებია და ჩვენც გვიყვარს და
 გვენატრება გიორგის ნაბახტევი, გიორგის ხაშური, გიორ-
 გის გალი, გიორგის თბილისი.

სხვა ხაშურში მთვარეო, ლაიტმოტივად გასდევს რო-
 სტომ ჩხვიძის ესეის „მთვარის სანახები“, წინასიტყვაო-
 ბად რომ უძღვის ამ ნიგნს. ეს პოეტურად, სხარტად,
 ლამაზად გამოთქმული სიმართლე ყველა მკითხველის-
 თვის საცნაურია.

პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი ხომ რთულია,
 ხანგრძლივი, იგი მრავალი რამითაა გაპირობებული. უა-
 მრავი მიდრეკილება, თვისება — ცუდიც, კარგიც — რო-
 მელიც შემდეგ ხასიათად ყალიბდება, ბავშვობიდანვე არ-
 სებობს, რიალებს კაცის არსებაში. რამოდენა სიფხიზლე,
 წვრთნა, ზრდა, განვითარება სჭირდება მადლს, ღვთის-
 გან რომ ენიჭება ადამიანს. უმრავლესობა ვერ აცნობი-
 ერებს, თვალს ვერ ადევნებს ამ გზას საკუთარ თავზე
 დაკვირვებით, ან მხოლოდ რამდენიმე ძლიერ ფაქტორს
 გამოჰყოფს, რომელთაც ესა თუ ის თვისება ჩამოუყალ-
 იბეს და განუვითარეს. გიორგი ლობჯანიძის ხედვა ფარ-
 თოა, მისთვის შესაძენეია ისეთი დეტალები, რომლებიც
 წვრილმანად, უმნიშვნელოდ მოეჩვენება ზერელედ დამ-
 კვირვებელს. თუმცა მკითხველი, ცხადია, ხვდება, რომ ზე-
 დმეტი არაფერი წერია ამ ნიგნში. ყველა ეპიზოდს თავი-
 სი, განსაკუთრებული ადგილი აქვს ავტორის მესხიერე-
 ბაში და ასეთივე დაუფინყარ სურათებად იხატება ჩვენს
 გონებაშიც.

რამდენიმე პერსონაჟს თავიანთი ნიგნებით, სამეცნიე-
 რო ნაშრომებით, პოეტური თუ პროზაული კრებულებით,
 საერთოდ, ნაღვანით ისედაც (გიორგის გარეშეც) იცნობს
 და აფასებს ქართველი საზოგადოება, მაგრამ ზოგი მხ-
 დლოდ ამ ნიგნით გავიცანი და კიდევ შევიყვარე და
 დავაფასეთ. განსაკუთრებით მომხიბლა ბიბლიოთეკარი
 ქალბატონების სახელებით მოხსენიებამ და მარტო არ-
 დავინყებამ კი არა, მათდამი მოკრძალებსა და თავყანებ-
 ის დღემდე — ესე იგი, სამუდამოდ შენარჩუნებამ.



დასასრული

საუკეთესო, გამორჩეულ მასწავლებელთან ურთიერთობის, სულთა კავშირის ნიშნული ფატი კურტანდისა და მისი ოჯახის პორტრეტი... ყველას რომ გავყვებ, მთელი წიგნის გადმონერა მომიწევს.

ამ მოგონებათა ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ თხრობა ლალი იუმორითაა გაჯერებული, ავტორი ხშირად თვითირონიასაც მიმართავს. ბავშვობაში ხალისით გამართული თეატრალური წარმოდგენები და ამით აღძრული ნეტარება, მეცადინეობა მუსიკის მასწავლებელთან და მშვიდი სიხარული, პირველი ლექსების გამოქვეყნება და მასთან დაკავშირებული მღელვარება, სულაც ამქვეყნად უცნაური მოვლინება (მკითხავის წინასწარმეტყველება) და სხვა ამბები იშვიათი გემოვნებით, ფაქიზი ლირიზმითა და დახვეწილი იუმორითაა მოთხრობილი.

მშობლიური ენის საუკეთესოდ მცოდნეა გიორგი ლობჯანიძე. ქართლის ძარღვიანი, ძლიერი, ფესვმაგარი ენით წერს, მეტყველებს. ბუნებრივი, სადაა მისი სტილი და ამით ძალიან მიმზიდველი.

ამ ყალიბში ჩამოქანს, ამ ბუნებრიობის მიღწევას, ცხადია, დრო და შრომა დასჭირდებოდა. ქართულის შესწავლას, მისი ღრმა შრეების დანახვასა და გათავისებვას, როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნების კითხვამ შეუწყო ხელი, ძველი ქართული ტექსტების განსაკუთრებულმა სიყვარულმა, რამდენჯერმე რომ გადაანერგა კიდევც ისინი.

და ყოფილა კიდევ ერთი, განსაკუთრებული ფაქტორი — დედის ქართული. თუმცა რატომ განსაკუთრებული?! დედის „ნანათი“ ბევრმა ჩვენმა მწერალმა შეისწავლა კი არა, შეისისხლხორცა და შეიტკბო მშობლიური ენის ფარული, უხილავი, ამოუცნობი და ამოუწურავი მადლი (გიორგი შატერაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟაფშაველა, ალექსანდრე ორბელიანი...). გიორგი ლობჯანიძეს მუდამ თილისმასავით დაჰყვება დედის ხმა, დედის საუბრის მელოდია.

დიდი ტაქტი, კულტურით, მკითხველის პატივისცემით, საკუთარი ღირსების შეუღლებად, რაღაც გრაციოზული სიმშვიდით აქვს გადმოცემული საკუთარი შემზარავი ტრაგედია. მკითხველს ეჩვენება, რომ სევდიან ნოვებულს, რომელიც რეალური და ამავე დროს სიზმარული, დაუჯერებელი ამბები ხდება. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, არ გაძლევს უფლებას, არ ტოვებს ადგილს ავტორის (მაშინ მეშვიდეკლასელი ბიჭის) როყიო, ვულგარული შეცოდებისთვის.

არც აქ და არც სხვაგან, დრამატული თუ სევდისმომგვრელი ამბების გახსენებისას მთხრობელი არ თვრება მწუხარებით, არ პოზიორობს და არც მკითხველს განანყობს საამისოდ.


ამ გადასახედიდან გიორგისთვისაც და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც ღიმილის მომგვრელია ხაშურული სპირიტუალური სეანსები თავისი გულშეგრძობითა და მათი გულწრფელი განცდებით, თუმცა მთავარი მაინც ის მაგონია, რომ ეს მცირე ჯგუფი თანამოაზრეებისა ყველაზე მეტად საქართველოს ბედისწერითა და ინტერესებით. თუ სხვაგან სხვანი მსგავს სეანსებზე ძირითადად ახლობელთა სულს იძახებდნენ და საკუთარი მომავლის გარკვევას ცდილობდნენ, აქ, მზია მალაღაძის ჩაბნელებულ ოთახში — არც მეტი, არც ნაკლები — ილია ჭავჭავაძის, სულხან-საბა ორბელიანის მარადცოცხალ სულს ანუხებენ და „დანამდვილებით“ იგებენ, რომ საქართველო მალე გათავისუფლდება და თითოეული მათგანის სახეობის სურვილი ახდება.

საერთოდ, ყოველთვის, ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, მკითხველისთვის საყურადღებოა შემოქმედის პირველი ნაბიჯები. ინტერვიუებისა თუ შეხვედრების დროს ხშირად ინტერესდებიან, ხშირად ეკითხებიან მწერალს, როდის დაიწყო წერა, პირველად რა დაწერა, რამ უბიძგა, რას განიცდიდა, როგორ ემზადებოდა ამისთვის და სხვა. ეს ინტერესი სავესებით გასაგებია — მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია იმდენად იდუმალია, ჯადოსნური, თან, ცხადია, ყველასი ინდივიდუალური და ერთმანეთისგან ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული, რომ ამ მრავალფეროვნებაში გარკვევა თუ არა, მის-

თვის თვალის შევლებაც საიდუმლოსთან და ამოუხსნელთან ზიარების ტოლფასია. რა პასუხი არ წამიკითხავს, რა არ მომისმენია შემოქმედის პირველი ცდების შესახებ, მაგრამ არ მახსოვს, ვინმესთვის სიცხეს აენიოს ნაგრძნობის, ასე ვთქვათ, „გადახარშვის“ დროს. გიორგი ლობჯანიძე ნახევრად ხუმრობით გვიყვება მშობლების შემოფოტების შესახებ ბავშვის ხშირი ავადმყოფობის გამო და მერე გვიზიარებს მათ სიხარულს, რაც იმის გაგებას მოჰყვება, რომ მათი შვილის ორგანიზმს საფრთხე არ ემუქრება და სიცხე მხოლოდ მუზის სტუმრობითაა გამოწვეული. ის ბავშვური ლექ-

საც თავიანთი სამეცნიერო, პედაგოგიური, მთარგმნელობითი, სალიტერატურო, ჟურნალისტური... საქმიანობით დამსახურებულად აქვთ მოპოვებული ხალხის სიყვარული... მოგონებათა ერთი თვისება ხომ ისიცაა, რომ ცხოვრების ავანსცენაზე მდგარი პერსონაჟები სხვანაირად, დაფარული კუთხიდან გამოჩნდებიან ხოლმე. ხან ისეც ხდება, ყოფით სიტუაციაში გამჟღავნებულმა რაიმე თვისებამ მკითხველი შეიძლება გაანბილოს კიდევ. გიორგიც ახლოდან გვაცნობს, როგორც იტყვიან, შიგნიდან ხსნის ბევრი დაფასებული პიროვნების ხასიათს. არსად კეკელეობს, არ აჭარბებს...

ზიზი, ამპარტავენბა, იყო მხოლოდ სინრფელე, სიხალისე და სიყვარული“. მუზა როცა ესტუმრებოდა, შეეძლო უახლოესი მეგობარიც კი ქარსა და წვიმაში გარეთ დაეტოვებინა, შინ არ შემოეშვა და თვითონ კი, ვიდრე რიტმი და ჰანგი ესმოდა, რუმის ლექსი ეთარგმნა... იქნებ მძიმე აღიარებაა, განა რამდენს შეუძლია საძრახისი ვერაფერი დაინახოს ახალგაზრდა კაცის ამ არაორდინარულ საქციელში. მაგრამ თუ პოეტი გელაპარაკება, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება. მალე ხომ ჯალალ ედ-დინ რუმის თარგმანები ალექსანდრე გვახარაის წარუდგინა სამ-



ნინო ვახანია

მხოლოდ სინრფელე, სიხალისე და სიყვარული

სები ახლა გახსენებად არც უღირს, მხოლოდ განცდათა სიმძაფრე შემორჩა სულს წარუშლულად. აი, სპარსულიდან რომის პირველი პოეტური თარგმანი კი საინტერესოა თავისთავად, როგორც ლექსი და არანაკლებ საინტერესოა მისი შექმნის სრულიად უცნაური და ორიგინალური გარემოებები. რა ჩემი დადასტურება უნდა — ვერც მარტო ნიჭი და ვერც მარტო შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა — ცალ-ცალკე ვერაფერს ქმნის ღირებულებას. მხოლოდ ერთად შეერთებული იძლევიან კეთილ ნაყოფს. „ასე მაგონია, რომ დღემდე ამ რომის ფასი ბევრი არაფერი გამიკეთებიაო“ — თავმდაბლური ხუმრობაა, რომელიც სიმართლის მარცვალსაც შეიცავს.

რაღაც ლეთიური კანონზომიერებით, ირგვლივ სულ სიყვარულისა და სითბოს მგრქვეველი ხალხი შემოხვევია. აბა, კარლო ტაბატაძის ადამიანობას რა დაავინყებს მკითხველს, პაატა ნაცვლიშვილის თავგადადებას, ნაირა გელაშვილის ამაგს... სხვებსა და სხვებს... სამადლობელიც ასეთი ღირსეული უნდა. არა უსაგნო მჭყერ-მეტყველება, არამედ შინაარსიანი, მართალი და თუნდაც — საინტენციური პასაჟები.

გიორგი ლობჯანიძის ეს მოგონებები კიდევ იმით იქცევა ყურადღებას, რომ შიგადაშიგ ზუსტი და მახვილი შეფასებებია აღმოკრატურული ნაწარმოებებისა. გონივრული დაკვირვებებით, მოვლენათა არსის მწვდომი და წარმომჩენი თვალთ დანახულია ერთიანი ლიტერატურული პროცესი. ზოგი ეპიზოდი კი სულხან-საბასეული შეგონებების მსგავსი დასკვნებით მთავრდება. მართალია, ეს დასკვნა — შეგონებანი საკუთარ თავს მიემართება, მაგრამ, რად უნდა თქმა, ჩვენთვისაც სასარგებლოა...

ნიგნს მთლიანად — თავიდან ბოლომდე — მსჭვალავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თემა. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ლექტორებიან-სტუდენტებიანად არამართო მეცნიერების საძირკვლად, არამედ ადამიანურ ურთიერთობათა საფუძვლადაც წარმოგვიდგება.

ლექტორები — უკლებლივ ყველა — ფართო საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანები არიან, რომელთ-

რაცადაცაა, ცხოვრებისეული და ლიტერატურული სიმართლე ისე ემთხვევა ერთმანეთს, რომ სიმშვიდის, ჩემი სიხარულის, ლამის ნეტარების განცდასაც კი იწვევს.

მეგობრების სიყვარულით მოხსენიება, მათთან გატარებული უწრფესი დღეების დაფასება და იუმორითა და ხალისით გადმოცემა ბუნებრივია, და მერე ისეთი მთხრობელისგან, როგორც გიორგი ლობჯანიძეა, გასაკვირი არ არის. სიყვარულისთვის გულგახსნილი ყმანვილის სანეტარო თრთოლვა, ჭკუშარიტი, უღალატო მეგობრობის სითბო, სათნო, უბინო ურთიერთობები სალბუნად მოვლენია თბილისში „უპატრონოდ“ და უბინოდ მყოფ სტუდენტს და ახლა მალამოდ გვეცხება ჩვენც. ხოლო ის, თუ როგორი პატივისცემით მოიხსენიებს ავტორი მეგობართა მშობლებს, მართლაც სანიშნოა და მრავლისმეტყველი. ყველას ერთად კი არა, სწორედაც — ცალ-ცალკე, თავიანთი სახელებითა და თვისებებით ხატავს მწერალი. ყველას პორტრეტი სხვადასხვანაირად, სხვადასხვა განწყობით იქმნება. საერთო კი დღემდე გამოყოლილი (და როგორც ჩანს, ანიც დაუფინყარი) აღტაცება და პატივისცემაა, მათი ადამიანური სითბოთი და თანაგრძნობით გამოწვეული. თაობათა შორის ურთიერთობის მისაბაძი, საპროგრამო ურთიერთობებისა ნაჩვენები მთელ რომანში.

კომპოზიციურად თხრობა ისეა აგებული, ეპიზოდები და პერსონაჟები ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ ყველაფერი ყოველთვის დროის მსვლელობას არ მიჰყვება, ხან უკან მოიხედავს ავტორი, ქრონოლოგიურად უფრო ძველს გაიხსენებს. ეს მონაცვლეობა კი უფრო ჩამორეცხავს მკითხველისთვის, მითუმეტეს, რომ საერთო ძაფი არასოდეს წყდება, შიგადაშიგ კი არაერთი ნოველაა ჩართული.

ბელეტრისტული ჩანართია 90-იანი წლების საქართველოს ასე აღქმა: „ყველა რაღაცას ყაყანებდა და ამ ყაყანში ქვეყანა იწვა, როგორც საღამოს ბაზარი, ჭუჭყეში, ტალახში, ნაგავში ჩაფლული, წარმოუდგენლად გაიფუტებული და უბედური...“ სხვაც ბევრი.

ეპიგრაფის გამართლება კი მთელი წიგნია და მთ შორის დეკლარაციულად ნათქვამიც: „...არსად იყო ბოროტება, შური,

სჯავროზე და მის შეკითხვაზე, არ შეგემინდაო? ხუმრობით მიუგო: „რუმისა აღარა! ახლა თქვენი უფრო მეშინაო.“

„სპარსთა ენისა სიტკობიან“ მთლად ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ გადამწყვიტა და განაპირობა გიორგი ლობჯანიძის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ოღონდ უცხოური ენის სიტკობს არასოდეს დაუჩაგრავს მშობლიურის ძლიერი, არამინიერი სიყვარული.

„...გული მწყდება, სიკვდილის მერე რომ ქართულად ველარ ვილაპარაკებ. ჩათვალეთ ახირებად, მაგრამ მაინც ასე მაგონია, რომ ამ უსაყვარლეს ენას ჩემნაირად გემოს სხვა ვერავინ ჩაატანს. ჩემნაირად სხვა ველარავინ მოეფერება ქართულ სიტყვებს მთელი არსებით: ენით, სახმოდ სიმებით, ხორხითა და ფილტვით...“

მართლა ახირებაა? გადაჭარბებაა? რაც არის, აშკარაა, რომ წრფელი შეგრძნებაა. გიორგის ნაწერების მკითხველი უთუოდ დარწმუნდება, რომ ქართულ ენასთან მას მართლაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და ვისაც თუნდაც ერთხელ მოუხსენია მისი საუბრისთვის, ზემოთ დამონმებულ ციტატაში ერთი სიტყვაც არ მოეჩვენება ცრუდ და სინამდვილესთან შეუსაბამოდ.

დიდი გზებისთვის და დიდი საქმეებისთვის „განწირობა“ მწერალმა ირანში გამგზავრებით დაამთავრა ავტობიოგრაფიული რომანის პირველი ნაწილი.

საოცრად ჩქარა რომ ნავიკითხე, მერელა დავაკვირდი, წიგნი 500 გვერდამდე ყოფილა. ესეც კიდევ ერთი გამარჯვება ავტორისა — მკითხველი ვერ გრძნობს თხზულების დიდ მოცულობას.

დავამთავრე და რა დაიცდის ახლა მშვიდად ირანული მრავალფეროვანი ამბების გაგებად?

ისე, ერთი იონა მეუნარგია ყოველ დროში ძვირფასი იქნებოდა და ჩვენს ხანასაც წაადგებოდა, მაგრამ ვიდრე ახალი მეუნარგია გამოჩენილა, რა საქირო და საშური, რომ სხვებმაც, მრავლისმნახველმა და მრავლისგანმცდელმა პიროვნებებმა შექმნან მართალი ავტობიოგრაფიული თხზულებები გიორგი ლობჯანიძისათვის, როგორც ეპოქის უტყუარი დოკუმენტი.

გაგრძელება

— მოსულა!
როდესაც ნუცამ ნელზე შემომხვია ხელები, ისეთი ძალა ვიგრძენი, მეგონა, კი არ დავეშვებოდი, გავფრინდებოდი ამ ჩემი ციცივით!

— სამი! — დაითვალა უფროსმა ბუხარიჩმა, დავეშვით და ახლა ციცივით გავასწარი ტურას.

— ნავალ შტაბს დავხედავ, ვინმემ რამე ხო არ წაიღო! — თქვა ტურამ და დათოვლილ გორაკს შეუყვია.

— ერთიც ხომ არ დავეშვით, მძორს დავისვამ! — მივაძახე და ყველას სიცილი აგვიტყდა, მაგრამ ტურა არ შემობრუნებულა.

— სალამოს კინოში წამოხვალ? — მკითხა გრიზი ბორიამ.

— ვინ მიდიხარო?

— ყველა — მე, ბუხარიჩები, მძორი, პაბედა, ნუცა.

— წამოვალ, მაგრამ ბილეთები იქნება?

— კი, კიცილოს ექნება, ყოველთვის ინახავს ხოლმე ჩვენთვის.

— ხო იცი, რო არ უყვარს, როცა ეგრე ეძახიან, — უთხრა ნუცამ გრიზი ბორიას.

— კარგი, ხო, დამავინყდა, ლუკა.

— ვინ არის ეგ ლუკა?

— რო განახებ, იქვე მოგიყვები.

— ტურა არ წამოვა?

— ტურა კინოში არ დადის.

— რატო?

— ამბობს, არ მიყვარსო, მაგრამ, — ეშმაკურად აუციმციმდა თვალები მძორს.

— მაგრამ, რა?

— რა და, რუსული არ იცის და ვერ იგებს, რაზე ლაპარაკობენ!

— როგორ არ იცის, იცის! — გამოესარჩლა ტურას გიორგი.

— მოიცა, მოიცა, შენ ის არა ხარ, ტურამ რო გკითხა, რუსულად ცხენი როგორ არის და სლოონო, რო უთხარი, — ახითხითდა მძორი, — ყველამ დავცინეთ, ყველაზე მეტად კი ტურა დაცინოდა და გახსოვთ, მერე რა უთხრა? შე დებილო, ეგეც არ იცი, ეგ ინგლისურადააო!

კინოსთან გიორგიმ მიმიყვანა, დანარჩენები იქ დამხვდნენ. ორსართულიანი შენობის კარში უღვავა კაცი იორთქლავდა ხელებს.

— ეს არის კიცილო? — ვიკითხე მე.

— არ უყვარს, როცა ეგრე ეძახიან, — გამაფრთხილა ნუცამ, — და ეგ არ არის, ეგ ლეო ძიაა, კინოს მეპატრონე და მცველი. ლუკა, აი, ის არის! — და დაბალ, მელოტ, ღიპიან კაცზე მანიშნა.

კაცს წითელი ლოყები, სევდიანი თოჯინის აპრეხილი წვერიანი წარბები და დიდ, კეთილ თვალზე კიდევ უფრო სევდიანად ჩამონოლილი გრძელწამწამებიანი ქუთუთოები ჰქონდა, მოკლე ხელები ჯიბეში ჩაენყო, მავთულის ღობეს მიყუდებოდა და ოდნავ გვერდზე გადახრილი თავით ათვალიერებდა თავის უზარმაზარ, სასაცილო, დაჭმუჭნულ ფეხბეჭებებს.

— გიჟია? — ვიკითხე მე.

— კი, ოღონდ ძალიან კეთილი, — ამიხსნა ნუცამ, — საიდანლაც მოვიდა ჩვენს ქალაქში, იმის მერე აქ ცხოვრობს და კინოს ბილეთების გაყიდვაში ეხმარება ლეო ძიას. ყველაფერი შეიძლება ანდო, არაფერს მოიპარავს, მაგრამ ჩურჩუტი და მიმნდობია, პატარა ბავშვის ტვინი აქვს, ნებისმიერ რამეს მოატყუებ. ადრე ცხოველები უყვარდა ძალიან, მაგრამ მურას ამბის მერე, როგორც კი ძალღს დაინახავს, ტირილს იწყებს.

— რა მურას ამბის შემდეგ?

— ლუკა მარტო არ მოსულა ამ ქალაქში, მასავით პატარა, კეთილი და შტერი ძაღლი მოჰყვია, დვარნიასკა, ძაან საყვარელი, მურა. ერთად ცხოვრობდნენ ხან რომელ და ხან რომელ სარდაფში.

— მერე?

— მერე მურა...

— ოჰო, ვხედავ, მთიელები ცამოსულან ქალაქსი! — ასისინდა ვილაცა.

ჩვენს წინ თეთრსახიანი ბიჭი იდგა. ბიჭს ქერა თმა, ცისფერი თვალები და სწორი ნაკვთები ჰქონდა და ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც არ იყო.

— რა გინდა? — მუშტებდა შეკრა თავისი პატარა ხელები ნუცამ.

— უფროსი სად გყავთ, ზევით ცარცა, მთასი?

— ხო, თორე კიდევ უფრო აგათლიფინებდა!

— ძაან სემასინე, ძაან!
— მოვა დრო და მეც შეგაშინებ!
— მე არავისი მესინია, გოგო, გაიგე?!
და იმ თქვენ ბელადსაც გადაეციო, რო არაფერი დამეინყებია, ცამოვლენ გაზაფხულზე ცემი ძმები, მასინ მოგადგებით იმ თქვენ სტაბთან და მასინ ვნახავთ, ვინ ვის ააცილიფინებს!
— რომელიმე ძმა არ დაგრჩეს სახლში, რო ყველა აგაჩლიფინოთ და მამათქვენს ორჯერ მაინც მოუწიოს თქვენი მოსმენა, სანამ ყველაფერს გაიგებს!
ბიჭი გაბრუნდა და წავიდა.
— ვინ არი? — ვკითხე ნუცას.
— ეს... — დაიწყო უფროსმა ბუხარიჩმა.
— ჰოდა, მურა მოკლეს, — ისე გააგრძელა ნუცამ, თითქოს საერთოდ არ გაუგია

— გააქვს ჩვენთვის ბილეთები? — მივუახლოვდით ლუკას.
— მაქვს, მაქვს, როგორ არა, — გრძელი ნაწნამები აახამხამა ლუკამ, — რამდენი გინდათ?
— შვიდი!
ლუკამ თავისი დაძენილი, ორი ზომით დიდი ქურთუკი შეიხსნა და გულის ჯიბიდან ბილეთები ამოაცურა.
— ტურა არ მოდის კინოში? — იკითხა, როდესაც ბილეთები დაგვირიგა.
— არა.
ლუკამ ნაღვლიანად დახარა თავი.
— უთხარიო, რო მაგისტრის ბილეთი მაქვს! — თქვა ბოლოს.
— თედორაძის ცემის შემდეგ ლუკას ყოველ სეანსზე ერთი ბილეთი აქვს ტურასთვის გადადებული, რომელსაც არავის მიყიდის! — ჩურჩულით ამიხსნა ნუცამ.

ლადო კილასონია

მინგეჩაურის უდაბნო



ჩემი კითხვა, — ლუკა თლიფინა თედორაძემ ამოიჩემა, ხან შარვალში გველხოკერა ჩაუსვა, ხან ასაფეთქებელი მოანევირა სიგარეტის ნაცვლად. ლუკა და მურა პატარ-პატარა წარმოდგენებს მართავდნენ, ხალხი ფულს უყრიდა ლუკას ქუდში და ამითი ცხოვრობდნენ. ჰოდა, ლუკამ მურას ასეთი ილეთი ასწავლა: აუგდებდა ჰაერში პურის დიდ ნაჭერს, მურა ახტებოდა, დაიჭერდა და ჰაერშივე იწყებდა ჭამას, ხალხს ძაან მოწონდა. ერთხელ თედორაძემ მარტოები გამოიჭირა ლუკა და მურა, ლუკა ბოძზე მიაბა და ძაღლი რო მოეტყუებინა, უღიტიტებდა, ლუკაც იცინოდა, მერე თედორაძემ მურას დიდი თეთრი ქვა აუგდო პურის ნაცვლად ჰაერში, ძაღლიც ახტა დაიჭირა და კბილები ჩაემსხვრა. ჩვენ იქვე ვიყავით სკოლასთან, ლუკას ღრიალზე მივვარდით, პატარა ბავშვივით ტიროდა, იქვე ეგდო მურაც, თედორაძეს ქვით გაეჩეჩქვა თავი ძაღლისთვის, იმ დღის მერე დაიწყო ლუკამ კინოში ბილეთების გაყიდვა, მაგრამ ძაღლებს ვედარ ეკარება და გასროლილი თოფივით ეშინია თედორაძესი.

— და თედორაძეს რა მოუვიდა ამის გამო?

— არაფერი, მამამისი ხო ჩვენი ქალაქის პოლიციის უფროსის მთავარი ჯალათია, იმ დღესვე გადამალა შვილი, სხვა ქალაქში გადაიყვანა სასწავლებლად, მარტო არდადეგებზე ჩამოჰყავს ხოლმე. როცა თედორაძე დაბრუნდა, მამამისის შიშით ვერავინ ვერაფერი გაუბედა. ძაან საშიში კაცია დიდი თედორაძე, ამბობენ, საკუთარი ძმაკაცები და მათი შვილებიც ჰყავს დაჭერილი და ნანამებო, თუ ერთხელ მაინც ნახავ, მიხვდები, ნიანგივით სახე აქვს, ყველას შეეშინდა ტურას გარდა, მარტოკა დაუდარაჯდა სახლისკენ მიმავალს და ისე ცქმა, ორი კბილი მოტყხა, მერე კი სახეზე ძაღლის მძღნერი წაუსვა.

— იმან მამამისს არ უთხრა?

— ტურა დაემუქრა, იტყვი და მთელ ქალაქს მოვდებ, რაც წაგისვი სახეზეო!

— ეს ქერა ბიჭია თედორაძე? — მივხვდი მე.

— ხო.

— და ძმებს ელოდება?

— კი, რო ტურას გაუსწორდეს. ოთხი უფროსი ძმა ყავს, ერთი აქ არის, სამი სხვა ქალაქში სწავლობს, ოთხივე ერთმანეთზე უარესი ნადირალაა, ამ ზაფხულს ჩამოდიან!

— ნუცა...

— რაა?

— ნიანგი რა არი?

— აუ, შენ ძაან დებილი ხარ, ხო?! — გაეცინა ნუცას, მერე მხრებში გასწორდა და როგორც გაკვეთილზე ისე ჩამოარაკრაკა, — ნიანგი უძველესი რეპტილია, დრაკონის ძმა!

რასთვის გადადებული, რომელსაც არავის მიყიდის! — ჩურჩულით ამიხსნა ნუცამ.

თოვლი მალე გადნა, მაგრამ ყინვებმა დაიჭირა. ერთი ან ორი საათით თუ შევიკრიბებოდით. თან მალე ლამდებოდა.

— ბრრრრ! ცივა, ხალხო, ცივა! — კანკალებდა ხოლმე პაბედა.

— ყველანი სირისტიანები და გოგოები ხართ, — დაგვცინოდა ტურა.

— მე წამდვილად გოგო ვარ, — ღიმილით პასუხობდა ნუცა.

— არა, არ ხარ!

— აბა, ბიჭი ვარ?

— არც — ბიჭი.

— მაშინ — ვინ?

— შენ ფანერკა ხარ!

და ყველანი ერთად ვიცინოდით.

— ეეე, ნეტავი შტაბი გვექონდეს გარემონტებული, — თქვა ერთხელ გრიზი ბორიამ და გაყინული ხელები დაიორთქლა.

— ხო, შევძვრებოდით ახლა შიგინთ და რალაცებს ვითამაშებდით! — აყენენ დანარჩენები.

— აბა!

— აუ, რა მაგარი იქნებოდა!

— ფანჯრებზე რამეს ავაკრავდით...

— რო სითბო დაიჭიროს!

— უვარგის სკამებს ხერხით გადავუჭრიდით ფეხებს და გადავყრიდით, კარგებს დასაჯდომებს შევუკემსავდით, — ჩავერთე მეც.

— ეგ რატო? — მკითხა უმცროსმა ბუხარიჩმა.

— მეტი ადგილი გვექნებოდა!

— მართალია, — დამეთანხმა გრიზი ბორია, — და იმ ადგილას მაგიდას დავდგამდით.

— ბოლო სკამებს ტახტად გადავაკეთებდით!

— მე თბილ ადიალებს მოვიტანდი!

— მე რკინის ჭიქებს!

— მე თეფშებს!

— ყველა რალაცას მოვიტანდით სახლიდან!

— უკანა კარს ამოვქოლავდით! — ამოიხარა გიორგიმ, — რო როგორც ყველა სახლს, ერთი კარი ჰქონდეს შესასვლელი.

— მერე იმ შესასვლელიდან მტერი რო მოვიდეს, საიდანლა გახვალ? — ჰკითხა გიორგის ტურამ, შემდეგ კი ჩვენ გამოგვხედა, — ეგ ყველაფერი კარგია, მარა შტაბს მიმხვდავი უნდა, თუ იქ ვინმე არ იცხოვრებს, თლიფინა თედორაძე ყველაფერს მოგვპარავს და იქვე დაგვიწავს!

— ხო, ეგ მართალია.

— შენ რო გადახვიდე საცხოვრებლად, ტურა? სახლში მაინც არასოდეს არ ხარ და... — დაიწყო გიორგიმ, მაგრამ ტურამ ერთი შეხვდა და ეგრევე მიაჩრმა.

— ლუკა რო გადმოვიყვანოთ? — ვთქვი მე და უცებ სიჩუმე ჩამოწვია.

— უი! — თქვა მძორმა.

— ეგ, როგორ არ მოგვაფიქრდა არც ერთს აქამდე? — აჰყვა ნუცა.

— ხო, ლუკა! ლუკა გადმოვიყვანოთ, სახლი ხო არა აქვს? ჰოდა, თან იცხოვრებს და თან შტაბსაც მოუვლის!

— კი, მაგრამ რითი გათბება?

— შეშას ავუტანო! საჭმელსაც! წყალი იქვე მოდის, რუში.

— მშობარა როა?

— თედორაძის ეშინია, ღამის კი არა, თან ჩვენც ყოველდღე ავაკითხავთ ხოლმე.

— ავად რო გავხდეთ?

— მაშინ მე ავაკითხავ! — გვითხრა ტურამ.

— შენ რო გახდე ავად? — ჰკითხა პაბედა.

— მე არასოდეს ვხდები ავად! — ამაყად მოგვაგლო თვალი ტურამ, — მაგრამ თუკი რამე მომივა, ჩამოვა მამამისი მინგეჩაურიდან და ის დახედავს ხოლმე!

— რა გაუჭირე საქმე? — ჰკითხა ტურას ღიმილით უფროსმა ბუხარიჩმა, — ხო გამოუგზავნა ის ცივა...

— რომლითაც კოჭლი კაცივით ჩამოგიტოვა უკან.

— მამამ არა ბაბუამ! — ირონიულად აიქნია ხელი ტურამ.

— რა, არა?

— თუ მამამისმა გამოუგზავნა, მაშინ წერილსაც ხო მოსწერდა, აბა, გვაჩვენოს ეგ წერილი, სად არის? — თვალებში შემომხედა ტურამ და გამარჯვებულის იერით გააგრძელა, — არ არის! რატო? იმიტო, რო ცივა დედამისმა უყიდა...

— კარგი რა, ტურა, — სცადა ნუცამ, მაგრამ მის ხმასაც დააჩნდა ეჭვი.

— რა კარგი, ეგრე არ არის? აბა, დაფიქრდით, რომელი მამა გაუგზავნის შვილს ცივას და წერილს არ გამოაყოლებს?!

— ისე მართლა, — თქვა გრიზი ბორიამ.

— შტაბისთვის პარკებს მე მოგცემო, — მოგვამა უკნიდან გაბრო პაპას ხმა, — სქელი პარკები მაქვს, სამხედრო, გამჭვირვალე, წვიმას არ ატარებს და სითბოსაც კარგად იჭერს!

მივიხედეთ, მოხუცი წვერილად აქუცმაცებდა პურს ჯამში.

შტაბის შეკეთება იმ დღესვე დაიწყო, ნუცამ და პაბედა თბილი პლედეები ამოიტანეს, ბუხარიჩებმა რკინის სამი ჭიქა, თეფში, ქვაბი და დანა-ჩანგალი, პაბედამ დიდი, სქელი ფიცარი, მე და გიორგიმ იარაღები — ხერხი, ჩაქური, ლურსმნები ამოვხიდე, მაგრამ ყველას ტურამ გვაჯობა, როდესაც ჯორზე გადაკიდებული თუჯის ძველი ლუმენი ამოიტანა.

— ეს საიდან? — ვკითხეთ ჩვენ.

— ნავაგასყრელზე ვიპოვე! — გვითხრა ტურამ და ყველანი ერთად ჩავედით გაბრო პაპასთან შეპირებული პარკების წამოსაღებად.

გაბრო პაპას სახლში ნაცრის სუნი იდგა, პირველ სართულზე რალაცა უცნაურ მოწყობილობებთან და რკინეულობასთან რკინის ოთხკუთხა ნილაბი ეგდო შიგ დატანებული შავი სარკით.

— ეს რა არის, გაბრო პაპა? — ვკითხე მე.

— ესა? შედუღების აპარატია, პაპა, რკინას აწებებს რკინაზე! ამოდით, პარკები გამზადებული მიდევს მეორე სართულზე! ამოშავებული ბუხრის გვერდით სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა კაცის სურათი ეკიდა.

— გაბრო პაპა, ეს...

— ჩემი ბიჭია, ვანო...

— ესეც იქაა... რა ქვია იმას... მახინჯაურში? — ჰკითხა ტურამ.

— მინგეჩაურის უდაბნოში, ჰო, პაპა, იქაა, მუშაობს!

— მეც მივიდია მამას სურათი კედელზე! — ვუთხარი მე.

— ეგრეა, პაპა, ამ ომმა ყველა სახლში გაჭრა თავისი ფანჯარა, — თქვა მოხუცმა და ოთხად გაკეცილი ლაპლაპა შეკვრა გამოგვიტანა, — აი, პარკები, ესაა, კარგად გაამაგრეთ და ლურსმნებთან ფრთხილად, ძაან არ დაფლითოთ, თორე სიცივე შემოვა! დღის ბოლოს ავტობუსის ფანჯრები დამანული იყო, მოწუსებულები გავყურებდით შიგნიდან ამ მღვრიე კინოეკრანებში არეკილ ჩვენს სტადიონს.

აღამიანს დასვენება და სულის მოთქმა უნდა შეეძლოს. სიარული ბევრმა იცის, ხეირიანად შესვენება კი ცოტას ეხერხება. მთავარი არც გზა და არც მიზანი, რომელსაც მივლტვი, მთავარია, დანიშნულების ადგილს მიღწეული თავს როგორ გრძნობ და რას აკეთებ. ყველაზე გრძელი აღმართის ავლა და ურთულესი გზების დაძლევა მხოლოდ იმადაც ღირს, რომ გზის დასასრულს გემრიელად მოდუნდე, გაიზმრო და შეეცადო, დაღლა უკან მოიტოვო. ნამდვილად ასეა, გზის გავლა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, უმთავრესი სულის მოთქმის, მოთმინებისა და გარინდების უნარია. შესაძლოა, მიაღწიო მიზანს, მაგრამ ამით ტკბობა თუ არ შეგიძლია, ის მუდამ სადღაც შორს დაგჩრება, მიღმა. არც ისე ბევრს ვეწვევი, მაგრამ რთული საქმის გასრულების შემდეგ აუცილებლად დინჯად გადმოვიღებ ძველ ჩიბუხს და აუჩქარებლად ვტვნი, დიდხანს და სიამოვნებით ვაბოლებ, თან ვცდილობ, მხოლოდ თამბაქოზე ვიფიქრო და სხვაზე არაფერზე, რადგან მიღწეული ტკბობა ანმყოს მოხელთებაშია. თუკი საქმის დასრულების შემდეგ კვლავ მასზე ფიქრობ, მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. თუკი გზის გავლის შემდეგ კვლავ მას იგონებ, ჯერ არ მიგიღწევია საბოლოო ნერტილამდე. არადა, საქმე სწორედ დასრულებას და სრულყოფას ეხება, ისევე, როგორც აბსურდულია, ერთი კერძის მომზადების შემდეგ მეორეს მზადება დაინწყო და ასე უსასრულოდ; უნდა შეგეძლოს საქმის დაგემოვნება და გემრიელად ვახშობა. ეს კი არც ისე ადვილია და ბევრს როდი შეუძლია. მინახავს ადამიანები, ვახშობის დროს საღამოს საქმეებზე რომ ფიქრობენ, დაძინებამდე — განვიღო და შემდგომ დღეებზე, ხოლო სადილობისას — მომავლის გეგმებზე.

მოხუცებს მარტოობა გვიყვარს. ეულად მყოფი ნელა დავაბიჯებ და კი არ ვფიქრობ, უფრო ვიხსენებ. საერთოდ, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო არამკვეთი ხდება განსხვავება მოგონებებსა და აზრებს შორის. ზოგჯერ მოგონებებზე ვფიქრობ, ზოგჯერ აზრებს ვიხსენებ, ხანდახან მოგონებებს ვიგონებ, ხანაც — აზრების შესახებ ვფიქრობ. იმ დღესაც ასე მოხდა: ნაბიჯებმა და მოგონებებმა შემეცოცხლა და იმაზე უფრო შორს წავედი, ვიდრე შემეძლო, ვიდრე უნდა წავსულიყავი, ვიდრე მმართებდა. ზოგჯერ გვემართება ხოლმე ასე.

გაზაფხულის თბილი დღეები მარტივად შეგვიტყუებს ხოლმე. ყველაფრის მიუხედავად, უკან არ დამიხევია, უარი არ მითქვამს და ახლად აყვავილებულ, მერცხლებით და მტრედებით სავსე, ძველისძველ ქუჩებს შევყევი. მეგონა, გადაწყვეტილება მე მივიღე, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ რაღაც უცხოში ჩამითრია და მიმიზიდა.

ამ ქუჩებში მრავალი წელი გავატარე, ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული, ამიტომ მოგონებების ჯაჭვს ბოლო არ უჩანდა, არა და არ წყდებოდა. ასე რომ, ისე ამოვყავი თავი ბოტანიკური ბაღის წინ, ვერაფერს მივხვდი. რადგან ფეხებმა სწორედ იქ მიმიყვანეს, ესე იგი, ასეც იყო საჭირო. ჩემს ასაკში ადამიანი ფაქტების უმტკივნეულოდ და პროტესტის გარეშე მიღებას ეჩვევა. ქუჩაში ცხელოდა, ბაღში კი სიგრილით, ნელი სითიი სავსე ჩრდილები მელოდა. მოლარეს მივესალმე და ბილეთი ვთხოვე.

- ერთი?
- დიახ, ერთი.
- ხუთი ლარი.
- ხუთი?
- ხუთი.

მახსოვდა, ბავშვობაში აქაურობას გაცლებით უფრო იაფად ვსტუმრობდი, ხანაც — სრულიად უფასოდ, ვინრო, ჩამონგრეულ შესასვლელებში ვიპარებოდა, ლობეებზე სწრაფად, უჩუმრად ვძვრებოდი. ალბათ სწორედ წარსულის საფასური გადამახდევინეს.

ბაღი სავსე იყო ნაკვალევებით, ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რომ დავტოვე. ყოველი ბილიკი და გზა რაღაც განსაკუთრებულს მახსენებდა, თითქოს ამბები, უსასოვარ დროს რომ გადაამხდა თავს, ხეულახლა თამაშდებოდა. მოგონებებმა კვლავ შემეცოცხლა და შეუმჩნევლად გავიარე ის გზები და ბილიკები, რომლებსაც თითქმის ზეპირად ვიცნობდი. გრძელი აღმართების ავლის შემდეგ ისეთ ადგილზე აღმოვჩნდი, რომელიც ვერ ვიცანი.

მოგონებები ზოგჯერ იმდენად ღრმად შეგვიტყუებს, რომ მათგან თავის დაღწევას ვეღარ ვახერხებთ და ვიკარგებით. სწორედ ამგვარად ვიქცევით ჩვენ შემოვლილებად ან ლოთებად.

გრძელ, მწვანე ფერის სკამზე ჩამოვჯექი დასასვენებლად. ცხელოდა. ჩიტები შესვენებლად ხმაურობდნენ. შუადღე იყო, ამიტომ ბაღში ბევრი ხალხი ირეოდა, თუმცა იმ ადგილზე, შესასვლელიდან შორს, მხოლოდ იშვიათად ჩაივლიდა ვინმე, ხმებიც თითქმის არ აღწევდა. სიმართლე იქვეას, მაშინ უკვე მეტისმეტად შორს ვიყავი სახლიდან და უკან დაბრუნებაზე უნდა მეფიქრა. ვფიქრობდი კიდევ მთელი ის დრო, ჩიბუხს რომ ვტვნიდი და ვენეოდი, ვცდილობდი მომავალი მიმართულება ამერჩია, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავგადასავლების წყურვილმა, დაფარულის შეცნობის დაუოკებელმა სურვილმა დამაბრძოლა და გზა განვაგრძე.



აქ ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა უცნობი ხეები და მომცრო ნათესები, ნაძვები, ფიჭვები, ნეკერჩხლები, მუხები, ვარდები, ყაყაჩოები, გვირილები, შადრევნები, მომცრო, ბაყაყებით სავსე აუზები, ჭაობის მცენარეები, ხვლიკები. ეს ადგილი იმდენად შორს იყო ბაღის შემოსასვლელიდან და ატრაქციონებიდან, რომ ბოლო დროს მოსეირნეები აღარ მხვდებოდნენ. მხოლოდ მაშვების, ყვავების და კაჭკაჭების ხმა არღვევდა დროდადრო მდუმარებას. გზადაგზა სათვალეს ვიხსნიდი და სახიდან ოფლს ვინმენდდი. გაზაფხულის კვალობაზე მეტისმეტად ცხელოდა.

სამი საათი იქნებოდა, მომცრო, პროპორციულად გაშენებულ ბაღს რომ მივალნიე. შესასვლელიდან ამდენად შორს ასეთი მოვლილი ადგილის აღმოჩენას არ ველოდი: ბუჩქები სრულყოფილი სიზუსტით იყო გაკრეჭილი, სკამები იდეალური პროპორციით იდგა ერთმანეთის პირისპირ და ნაძვებიც ერთი და იმავე სიმაღლის და ფორმის იყო. ბაღის შუაგულში უზარმაზარი ბაყაყებით და ოქროსფერი თევზებით სავსე აუზი მოჩანდა.

დასასვენებლად ბუჩქებს შორის ჩადგმული სკამი შევარჩიე, ის, რომელიც ბილიკიდან ოდნავ მოშორებით იდგა. სუნთქვა მიჭირდა, თვალეებში შავი ნერტილები დახტოდნენ, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს ადგილი საბოლოოდ დანიშნულების ნერტილად მექცია. ბაღი ნამდვილად მშვენიერი იყო, სწორედ ჩემი გემოვნების შესაფერისი: მრავალფეროვანი, კარგად მოვლილი და რაც მთავარია, პროპორციული. პროპორციის შეგრძნება უპირველესია, რაც ადამიანებად გვაქცევს. მშვიდი სუნთქვა რომ აღმიდგა, ჩიბუხ-

ის დატენვას შეეუდებო. სკამზე მოხერხებულად ვიყავი გადაწოლილი, ფეხსაცმელიც გავიხადე და შევება ვიგრძენი. ბაღს გარშემო ნაძვარი ერტყა, საიდანაც ჩემს სკამს ჩრდილი ეფინებოდა. მოწვევა რომ დავასრულე, მაშინდა ვიგრძენი, რომ გრილი ნიავე ქროდა და სიამოვნებისგან გავინაბე. აღარ ცხელოდა. ჩიბუხი მეორედ მაშინ მოვნიე, სახელდახელოდ მომზადებულ სენდვიჩს რომ გეახელით. ასეთ ადგილებში საკვებს სულ სხვანაირი გემო აქვს. ამასობაში, სანამ მე ვენეოდი, ვიზმორებოდი, ვსადილობდი, მიშველ ფეხებს ნიავეს ვუშვებდი და იმის შესახებ ვფიქრობდი, თუ როგორ არ ვიციოდი ამ ადგილის არსებობა მთელი ცხოვრების მანძილზე, მოსაღამოვდა კიდევ და უფრო აგრილდა. კარგად დასვენების უნარს ერთი მინუტი აქვს — საცხებით შესაძლებელია, მოულოდნელად ჩაგეძინოს. მეც, რახანია, ეს თვისება დამჩემდა და სკამზე მოხერხებულად მოკალათებული სანახევროდ ვთვლემდი. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იყო ღრმა ძილი.

ნაბიჯის ხმამ შემეფხიზლა და ჩემკენ მომავალი ქალი შევნიშნე. როგორც ჩანს, ოდნავ უჭირდა სიარული, ფეხებს ძალას ატანდა. მომიახლოვდა და გამიღიმა. მეც გაუღიმიე.

— გამარჯობა. მგონი, გეძინათ? — მკითხა.

— იმდენად მშვენიერი ადგილია, რომ ჩამთვლიმა. თანაც, სიმართლე გითხრათ, აქ ამოსვლამ გვარიანად დამალა.

— თქვენი მესმის. ჩვენი ასაკის ადამიანს გრძელი გზის გავლა უჭირს. მეც, რახანია, ვისვენებ და ძალეებს ვიკრებ. მაღლობა ღმერთს, აქედან მიმავალ გზაზე იმდენი აღმართი აღარ შეხვედებოდა.

— დიახ, აქედან ჩასვლა გაცილებით უფრო მარტივია.

— შესაძლოა, ოღონდ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სიმართლე რომ გითხრათ, ეს ბაღი არ მომწონს. თითქოს რაღაცას მართავს.

— ჩემი აზრით კი, პირიქით, ძალზე მშვენიერია.

— სწორედაც რომ! იმდენად მშვენიერია, რომ მისგან თავის დაღწევა რთულია.

— ლამაზ ადგილებს ისეც და ისეც ვუბრუნდებით ხოლმე.

— მოჯადოვებული ბაღებიდან თავის დაღწევა შეუძლებელია. მგონი, თქვენ უკვე დაისვენეთ?

— სიმართლე გითხრათ, ბოლომდე — არა. ფეხები ჯერ კიდევ მტკიცია.

— არაუშავს! რას იტყვით, ჩემთან ერთად ხომ არ დაბრუნდებით უკან?

— ახლავე?
— სწორედ ახლა. აქ გაჩერება აღარ შემიძლია. მგონია, რაც უფრო დიდხანს დავრჩები ბაღში, მით მეტად დავემსგავსები მას.

— მერედა, რა არის ამაში ცუდი?
— არაფერი, გარდა იმისა, რომ მისი ტყვეობისგან თავის დაღწევას ვეღარ შევძლებ. იქნებ ყველა ეს ბუჩქი და ხე ოდესღაც ჩვენნაირი ადამიანი იყო? მგონი, უცნაურად ვლაპარაკობ და შეგამინეთ კიდევ.

— არა, რას ამბობთ.
— ცხადია, ჩვენი ასაკის ადამიანის შეშინება ძალზე რთულია. აბა, როგორია თქვენი საბოლოო პასუხი? მოდიხართ თუ არა?

— სამწუხაროდ, უარი უნდა გითხრათ. ასეთ მდგომარეობაში გზის ბოლომდე გავლას ვერ შევძლებ. ცოტა ხნით რომ მოგეცადათ...

— არავითარ შემთხვევაში. ხომ გითხ-

ართ, აქ ვეღარ გავჩერდები. ჩვენ ყველას გვაქვს უცნაურობა, რომლის შეცვლაც არ შეგვიძლია, — თქვა და გაჩუმდა, გარემოს მოავლო მზერა. შემდეგ განაგრძო, — თუ ასეა, დაგემშვიდობებით. ისიამოვნეთ ბაღის სიგრილით და სიჩუმით.

— ნახვამდის. იმედი მაქვს, კვლავ შეხვედებით.

— აუცილებლად! მე მჯერა, რომ ერთ-ერთად შეხვედრები არ არსებობს.

ქალი წავიდა, მაგრამ სამი თუ ოთხი ნაბიჯის შემდეგ შემობრუნდა და გამომძახა:

— იქნებ, იმას მაინც შემპირდეთ, რომ აქ აღარ დაიძინებთ?

— მგონი, დიდხანს ვთვლემდი. იმედი მაქვს, ძილი აღარ მომერევა. გპირდებით! ღიმილით ამბრუნდა და გზა განაგრძო. სწორედ ამ დროს, ბუჩქებიდან შავი პუდელი გამოხტა და დაედევნა. გვერდით რომ ამოუდგა, ქალი მოიხარა, მოეფერა და საყელური შეაბა.

მათ შემხედვარეს ჩემი პუდელი გამახსენდა. კუპრივით შავს და გაბურძნულს, თვალეები თითქმის არ უჩანდა. მრავალი წელი გავატარე ერთად, ახლა კი, რახანია, სახლში აღარ მელოდა, ყვეფით არ მეგებებოდა.

ქალი თვალს მიეფარა, ძალის ყეფაც მიჩუმდა და მე, საუბედუროდ, ვერ შევასრულე დანაპირები. რამდენიმე წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ჩამთვლიმა. თვალემას ღრმა ძილი და სიზმრები მოჰყვა.

გეთსემანის ბაღში იესო სთხოვს მოსწავლეებს, რომ იფხიზლონ. ცხადია, მისი სურვილი აუსრულებელი რჩება და მრავალი მოწოდებისა თუ შეფხიზლების მიუხედავად, ისინი კვლავ და კვლავ უბრუნდებიან ძილს. ღვიძილისკენ სწრაფვა გონებ-

ის სიფხიზისკენ სწრაფავს. იესო სოხოვს მოციქულებს, დარჩენენ საკუთარი თავის ცნობიერნი, მაგრამ ისინი კარგავენ თვით-ცნობიერებას და მხოლოდ იესოს დახმარებით იბრუნებენ და ინარჩუნებენ მას. ადამიანი აქ ჯერ კიდევ არ არის სრული, ქრისტე კი სრულყოფილებისკენ მონოდე-ბაა.

ძილი საფრთხილო რამაა: სიზმრად შე-საძლოა ღმერთი ვიხილოთ ან ეშმაკი. ამი-ტომ, ვისთვისაც სატანასთან პირისპირ შე-ხვედრა ნაადრევია, უნდა იფხიზლოს. ძილი საშიში რამაა; მან შეიძლება გვაპოვინოს ან დაგვაკარგვინოს საკუთარი თავი, ამი-ტომ, ის, ვინც ეგოს ებღაუჭება, ვალდებუ-ლია, იფხიზლოს. მე ეშმაკის არსებობის არ მჯეროდა, შესაბამისად, მასთან შესახვე-დრად მზად არ ვაყავი. მიუხედავად ამ-ისა, ჩამეძინა, თანაც საკმაოდ ღრმად და დიდი ხნით. ასეთი ხანგრძლივი, მოულოდ-ნელი ძილი მუდამ საბედისწერო აღმოჩნ-დება ხოლმე. ჩვენ გვეძინება ავტობუსებ-ში, მეტროში, ბიბლიოთეკებში, ბუნებაში — პიკნიკის დროს, საყვარლის სახლში, ზღვის ნაპირზე და ამ ნაუცბათვე თვლემას მუდამ ცუდი ან უცნაური თავგადასავალი მო-ჰყვება. ჩემს შემთხვევაში ძილი სულაც სა-ბედისწერო აღმოჩნდა.

დასაწყისში უკვე ვთქვი, ადამიანს კარ-გად დასვენება უნდა შეეძლოს-მეთქი. თვ-ლემაც, რაღა დაგიმალოთ, ძალიან მიყ-ვარს. მაგრამ ძილს ადამიანი მხოლოდ სახ-ლში უნდა მინებდეს ბოლომდე, მე კი, საუ-ბედურად, სახლიდან ძალზე შორს ვიყავი და სწორედ ამიტომ შინისკენ სავალი გზა სამუდამოდ დავკარგე, ოღონდ აქ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა დავკარგე, არამედ ის, თუ სად აღმოვჩნდი გამოწყე-დეული, რომელ საპრობლეში, რომელ ლაბირინთში. ვაი, რომ არ მყავდა ღმერ-თი, რომელიც გამომავლივდა და სიფხ-იზლისკენ მომიწოდებდა. მაშინ ხომ, ალ-ბათ, გადავრჩებოდი.

უნდა მცოდნოდა, ამდენად პროპორც-იული და სრულყოფილი ბალი რაღაც საი-დუმლოების მატარებელი რომ იქნებოდა! უნდა მცოდნოდა, მაგრამ არ ვიცოდი და არხეინად მეძინა გრძელ სკამზე. ჩამეძინა და მარადიულ ღამეში აღმოვჩნდი, დროის მიღმა, მარადისობაში გამომწყვდეული. ვინც ფიქრობს, რომ დრო წყველაა, იმას არაფერი გაეგება. ნამდვილი საშინელება მარადისობაა, სადაც ყველა მომენტით ერთ ნაშში ერთიანდება და მთელი წარსულის ტყვედ ვიქცევით. ჩემი ასაკის ადამიანმა უკვე იცის, რომ ზოგჯერ წარსული ანწყო-სა და მომავალზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ყველაზე გრძე-ლი და მრავალფეროვანი ცხოვრებაც თვა-ლის დახამხამებაში გადათამაშდება და გადაივლის. გაიფანტება ცხოვრება, მთაზე ჩამოწოლილი ნისლის მსგავსად გაიფან-ტება.

ხანდახან ყველა განვიცდით ცდუნებას, ვიქცეთ პოეტებად. თუმცა ეს მეტისმეტად რთული და დაბლელი საქმიანობაა, ამი-ტომ მალევე ვანებებთ თავს.

მოხუცებს არ გვიყვარს ძილი, რადგან ის სიკვდილს გვახსენებს, მაგრამ გვიყვარს თვლელა, რაც სიკვდილისთვის გვაშადა-ებს. თვლელა ზარმაცია ადამიანის ფილოს-ოფიაა. თუმცა თვლელას და ძილს შორის სახიფათო და უხილავი საზღვარია. ამიტ-ომ, ნასალამოვებს, თვლელამორეულს, ღრ-მა და ხანგრძლივი ძილით ჩამეძინა. თვალი რომ გავახილე, გარშემო აღარაფერი ჩან-და.

გამოვლივდი ადამიანის, რომ თავზე დამალა და რამდენიმე წუთი დამჭირდა, სიბნელეს რომ შეეჩვეოდი. გა-რშემო ორიოდ ღამეში ბჭუტავდა მკრ-თალად და ბალის გასანათებლად მათი ნა-კლული სინათლე საკმარისი არ იყო. ნამ-ოვდექი და იქაურობას თვალი მოვაკლე, რამდენჯერმე შევძახე კიდეც სიბნელეს გაუბედავად, ღამის ფრინველივით, მა-გრამ არავინ გამომპასუხებია. სრულიად მარტო ვიყავი ნკვარამ ღამეში და მხ-ოლოდ ის მიმართულება მახსოვდა, საი-დანაც მოვედი. ზუსტი გზა, როგორ უნდა გავსულიყავი ქალაქში, უკვე დავიწყებუ-ლი მქონდა; ერთმანეთში აირია უამრავი მოსახვევი, ბილიკი და გზაჯვარედინები. მეც ავდექი და იქით წავედი, საიდანაც მოვედი.

ნელა დავაბიჯებდი მდუმარე ბაღში და მესმოდა, როგორ აპირებდა სუსტი ქარი ხეებს და ბუჩქებს. დიდხანს ვიარე, მა-

გრამ პროპორციულ ბალს თავი ვერ და-ვალნიე. მეჩვენებოდა, რომ სიარულის დრ-ოს სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურებს ვხაზავდი: სამკუთხედებს, კვადრატებს, რომბებს, წრეებს და მუდამ საწყის წე-რტილს ვუბრუნდებოდი.

ამ ხეტიალში ბევრი დრო გავიდა, იმ-დენად ბევრი, რომ წესით უკვე ქალაქში უნდა ვყოფილიყავი, მე კი ისევ ამ სრულყო-ფილ, მომცრო ბაღში დავაბიჯებდი, რომე-ლსაც თავისუფლად ვაწვდენდი თვალს დღის სინათლეზე. ღამე დღისით უხილავ სიღრმეს სძენს საგნებს. დავიქანცე და სკა-მზე ჩამოვჯექი, რომელიც საზარლად და ავბედითად წააგავდა სწორედ იმ ძელსკა-მს, სადაც ჩამეძინა. თუმცა მათ მსგავსე-ბას თუ იდენტურობას ყურადღება არ მივა-ქციე და სიმშვიდის შენარჩუნება ვცადე.

ცოტა რომ შევისვენე, მალევე ნამოვ-დექი ფეხზე, კიდეც რომ არ ჩამძინებოდა. გადავწყვიტე, ვინმე მომეხმოსაშველად და სამჯერ ძლიერად შევეყვირე. რა გასაკვირ-ია, ყვირილმა სასურველი შედეგი ვერ გამ-ოიღო, სამაგიეროდ, ალბათ ძილი დავუ-ფრთხე ღამეულ აჩრდილებს.

ამის შემდეგ კიდეც დიდხანს ვიარე, მა-გრამ კვლავ უშედეგოდ. წყეულ ბალს და-სასრული არ უჩანდა, მე კი მუდამ უკვე გა-წვლილ გზას ვუბრუნდებოდი. ბოლოს გა-დავწყვიტე, დავმჯდარიყავი და გათენებას დავლოდებოდი, რადგან უკვე რამდენიმე საათი იყო, რაც ბნელში დავეხეტებოდი და ღამის დასასრული შორს არ უნდა ყოფილ-იყო.

როდესაც აჩრდილს ხედავ, დიდი შანს-ია, თავადაც აჩრდილად იქცე.

ჩვენ ის ვართ, რასაც გავუბრუნებთ. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვი-თ, რომ არც ლოდინმა გამოიღო შედეგი. დიდხანს ვიჯექი და ვფიქრობდი. ორჯერ თუ სამჯერ ჩამთვლია კიდეც, მაგრამ დღის სინათლე არა და არ ჩანდა. ბნელი აზრების გასაფანტად ჩიბუხის დატენვა დავინყე. გამიჭირდა, დიდხანს ვსაქმიანობ-დი, მაგრამ მაინც ვავართვი თავი. თამ-ბავის გემო ვერ ჩავატანე, მხოლოდ ჩვე-ვის გამო ვწეული რამდენიმე წუთის გან-მავლობაში. კვამლი შეუმჩნეველად ერეო-და გარშემო გამეფებულ ბნელს.

ამის შემდეგ ბერჯერ ნამოვდექი სკა-მიდან, ვიხეტილვ და დასასვენებელ ადგ-ივსაც მივაშურე, მაგრამ ღამეს და დაწ-ყველი ბალს ბოლო არ უჩანდა. ამ პატ-არა ადგილის მახლობლად ალბათ ნიშანი უნდა აღემართათ: „ის, ვისაც ბაღში ჩაეძ-ინება და დაღამებამდე ვერ დააღწევს თავს მას, სამუდამოდ აქ დარჩება.“ ამდენი სი-არულის შემდეგ უკვე დანამდვილებით ვი-ცოდი, რომ იმაზე გაცილებით მეტი დრო გავიდა, ვიდრე ყველაზე გრძელი ღამის გათენებას სჭირდება.

ბოლოს, კვლავ სკამზე აღმოვჩნდი სუ-ლის მოსათქმელად. აღარ ვიცოდი, რა მე-ქნა, რადგან ღამეშიონებით ამ ნაზად გან-ათებულ ადგილის გარდა სამყაროში თით-ქოს აღარაფერი არსებობდა. ვარსკვლავე-ბიც კი არ ჩანდა ცაზე. ვფიქრობდი, იქნებ სცენაზე ვიყავი და კულისების ერთ მხარეს შესული მეორე მხრიდან კვლავ სცენას ვუბრუნდებოდი?

დაწყვეტილი ბალი, წყეული სიცოცხ-ლე.

ქარი გაძლიერდა და გარემო აახმაურა. ხეები და მოვლილი ბუჩქები შემანუხებლად შრიალენდნენ. მივხვდი, რომ დროის მიღ-მა აღმოვჩნდი და ამ ღამეს, რომელიც ერ-თადერთ ნაშს იტევდა საკუთარ თავში, და-სასრული არასდროს ექნებოდა. მალევე იქაურობა აჩრდილებით და ჩრდილებით გაივსო, ქაოტურად რომ ირეოდნენ ჩემს გარშემო. ზოგიერთი მათგანი თითქოს მე-ცნო კიდეც. ეს აჩრდილებიც, ჩემს მსგა-ვსად, მარადისობაში იყვნენ გამომწყვდე-ულები.

მალე ის ქალი შევნიშნე, შუადღეს რომ შემომხვდა. კვლავ ძალთან ერთად მო-დიოდა. გამიკვირდა, რა უნდოდა მას, ცო-ცხალს, აჩრდილებს შორის? დავაკვირდი და მივხვდი, ძალიან ჰგავდა ვიღაცას ჩემი წარსულიდან, მეტისმეტად შორეული წარ-სულიდან. როდესაც მომიახლოვდა, შევ-ძახე:

— ნუთუ ეს შენ ხარ?

მან გამიღიმა და ძალმაც, ბედნიერი ყეფით, კუდი ააქიცინა.

სიზმრები, ოხ, ეს სიზმრები. ზოგიერთი მეტისმეტად თავხედურად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში.

ლევან ბრეგაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის ორი ეპიგრამა

გიუისადმი

იტყვი: ერი გიუიოა,
არ გამოხვალ სახლით გარე!
გიუის ნახვას ვერ ეხნო,
თუ შინ სარკე გაქვსლა ბარე.

ცრუმეტყველისადმი

შენ მარადის მე მაძაგებ,
მე ყოველთვის გაქებ შენა,
მაგრამ, რა ვქნა, ვინც რო გვიცნობს,
არც ერთისა არა ჰრნენა.

*

ეს ეპიგრამები ალექსანდრე ჭავჭავაძ-ეს ეკუთვნის. ისინი პირველად იოსებ გრი-მაშვილმა გამოაქვეყნა ალ. ჭავჭავაძის თხ-ზულუბათა მის მიერ მომზადებულ მეც-ნიერულ გამოცემაში (1940).

ორივე ჩინებული ნამუშევარია! მეტა-დრე — მეორე, დახვეწილი ინტელექტუ-ალური იუმორის ნიმუში! სალექსო ფორ-მას რაც შეეხება, მისი პირველი სტრიქონი ხიაზმის (ჯვარედინი სიმეტრიის) პრინცი-პით აგებული კონსტრუქციის კონსტრუ-ქციანა, ერთობ შთამბეჭდავი; მეორე სტრი-ქონში კი ყურადღებას იქცევს ტაქსის შუა-ში გაჩენილი ჭარბი რითმა — „ვინც რო // გვიცნობს“ — საინტერესო როგორც ბე-რითი შემადგენლობით (მშვენიერი ასონან-სია!), ასევე სარითმიო სიტყვათა სერჩევით თვალსაზრისითაც: პირველი სარითმიო ერთეულის („ვინც რო“) შემადგენელი ორ-ივე სიტყვა მარგინალური მეტყველების ნაწილია (მიმართებითი ნაცვალსახელი „ვინც“ + „რომ“-კავშირის სასაუბრო მეტ-ყველებაში გავრცელებული ფორმა „რო“), რომლებიც ღირსეულ პარტნიორობას უწ-ევენ ზმნა-შემასმენელს („გვიცნობს“) — „ბობოლა“ გრამატიკულ ერთეულს.

ფიქრობ, ავტორი არჩევანის წინაშე აღმოჩნდებოდა — ორ ვარიანტს შორის რომლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა: „ვინც რო გვიცნობს“ ვობდა თუ უფრო და-რბაისლური „ვინც ჩვენ გვიცნობს“, და უპ-ირატესობა კეთილხმოვანებისთვის მიუც-ია, რაც სწორი გადაწყვეტილებაა.

კომენტარებში გრიმაშვილს მოჰყავს ამ ეპიგრამის „ადგილობრივი“ პროზაული პარალელი — იონა მუხნარაგის ჩანერილი და სოლომონ ცაიშვილის მიერ გამოქვეყ-ნებული ნაკვეთი:

„ერთხელ ილიას ჰკითხეს:
— რატომ არის, რომ აკაკი სულ შენზე ძვირს ლაპარაკობს და შენ კი მას მუდამ აქებო.

— ორივე ვცდებითო, — ჩაილაპარაკა დინჯად მგოსანმა“.

1986 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის თხ-ზულუბათა ახალი მეცნიერული გამოცე-მა განახორციელა ირაკლი კენჭოშვილმა. ამ ეპიგრამების კომენტარებისას იგი შენი-შნავს: „ორტაეპოვანი ეპიგრამა გავრცე-ლებული იყო იმ დროის ევროპულ პოეზია-ში“.

შენიშვნის მიზანი უთუოდ ის არის, რომ ალ. ჭავჭავაძის ამ ეპიგრამების ევროპულ წარმომავლობაზე მიგვანიშნოს, რაც მარ-თებულია: ორივე მათგანის პარალელების მოძიება ხერხდება ევროპულ ლიტერატ-ურაში.

პირველად მეორე ეპიგრამის („ცრუმე-ტყველისადმი“) ანალოგს გადავეყარე დი-დი ხნის წინ სამუილ მარშაკის (1887-1964) ოთხტომეულის მე-3 ნიგნში (1959). იქ არის განყოფილება: „სხვადასხვა დროის პოეტ-თა ეპიგრამები“. იმ განყოფილებაში არის ეპიგრამა სათაურით „რეპუტაციათა შე-სახებ“ („О репутациях“) — ალი-კვალი ალ. ჭავჭავაძის მეორე ეპიგრამისა:

Ты говоришь, что я беспутная особа.
Я говорю, что ты порядочно вполне...
Но, видно, попусту стараемся мы оба:
Никто не верит ни тебе, ни мне!

მარშაკის თარგმნილი ეს ლექსი ანონი-მი ავტორის ეპიგრამად მიიჩნევა, არც ის წერია მან ის რომელი ენიდან გადმოთარგ-მნა (პირველად ჟურნალ „ოგონიოკში“ გა-მოუქვეყნებია 1956 წელს).



გამოხდა ხანი და ამ ეპიგრამას გერმა-ნელი პოეტის იოჰან ვილჰელმ ლუდვიგ გლაიმის (1719-1803) ლექსებს შორისაც გა-დავეყარე:

Ich rede Gutes nur von dir,
Du redest Böses nur von mir;
Vergebens ist, was jeder spricht.

Denn sieh — man glaubt uns beiden nicht!

არ არის გამორიცხული, ეპიგრამამ „ცრუმეტყველისადმი“, რომელიც ალექ-სანდრე ჭავჭავაძის ორიგინალურ ლექს-თა შორის იბეჭდება, ოდესმე თარგმანე-ბის განყოფილებაში გადაინაცვლოს.

*

მეორე ეპიგრამასაც დაეძებნა პარალე-ლი.

ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ ნო-ველებს, მოგვხსენებთ, ძველებური ყადის გავრცობილი სათაურები აქვთ, რომლებ-შიც ნოველის მოკლე შინაარსია გადმოცე-მული. ჰოდა, მე-6 დღის მე-8 ამბის სათა-ური ასეთი გახლავთ:

„ფრესკო ძმისწულს ურჩევს — სარკე-ში ნულარ იხედები, თუ, როგორც შენ ამ-ბობ, არ გესიამოვნება არასასიამოვნო ხა-ლხის ნახვამ“ (თედო სახოკიას თარგმანი).

ნოველა პატარაა — ერთნახევარი გე-ერდი უჭირავს და ასეთ ამბავს მოგვი-თხრობს: ფრესკოს ძმისწული, ერთობ ამ-პარტავანი გოგონა, ვერ იტანს ადამიან-ებს და ერთხელაც სახალხო დღესასწაულ-იდან შინ ნადრევად დაბრუნებული ბიძა-მისს ეუბნება: ისეთ ზიზღს მგვრიან ყველ-ანი, რომ იქაურობა მივატოვე და ადრე წა-მოველ შინო.

ბიძის პასუხი ასე უღერს:

„ჩემო შვილო, რაკი მაგრე გეჯავრება არასასიამოვნო ადამიანები, როგორც შენ ამბობ, [...] სარკეში ნულარ ჩაიხედები ხო-ლმე“.

და აი, ამპარტავანი გოგონას ბიძის ეს პასუხი გაულექსავს ჩვენს პოეტს:

„იტყვი: ერი გიუიოა,
არ გამოხვალ სახლით გარე!
გიუის ნახვას ვერ ეხნო,
თუ შინ სარკე გაქვსლა ბარე“.

ეს თითქმის იგივე „Ты дурак“ — „Сам дурак“ არის, ოღონდ მოიარებით, „დიპლო-მატიურად“ თქმული!

(„ერი“ ხალხს, ადამიანთა გუნდს ნიშნა-ვდა ძველ ქართულში და არა „ნაციას“ დღ-ევანდელივით, ხოლო „ეხნო“ აქ „თავის დაღწევა“).

რაკი პოეტს პროზაული ტექსტი გა-ულექსავს, მის ამ ეპიგრამას თარგმანებში გადაინაცვლება, ვფიქრობ, არ მოუწევს.

პოეზია

ბათუ დანელია

პოეტსა და მთარგმნელს, ბათუ დანელიას, პრემია „საბა“ ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის შარშან გადაეცა. მთელი საქართველო უყურებდა პირდაპირ ეთერში მის დაჯილდოებას, პანდემიის გამო ხომ „საბას“ ფინალი სრულიად უჩვეულოდ წარმართა და ალბათ ასეთი შთამბეჭდავი და ემოციური არც არასოდეს ყოფილა.

ბატონ ბათუს ჯილდოს მიღებიდან მალევე დაუკავშირდით და ეს ინტერვიუ მეორე ლოკდაუნის დროს ჩაენერეთ. თუმცა „ჩანერის“ ვერ დაარქმევ, ეს უფრო მიმონერა იყო და არა მხოლოდ ინტერვიუსთვის საჭირო კითხვა-პასუხი. მართალია, მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ისეთი ვირტუალური მეგობრობა გაიბა ჩვენ შორის, რომ ყოველდღიურად ჩვენს სამზარეულოებში რა სურნელი ტრიალებდა, ისიც კი ვიცოდი. ვყვებოდით ამ მთისას და იმ ბარისას, რაზე არ ვილაპარაკეთ. და რომ არა ეს „საჩვენო“ მიმონერა, ბატონი ბათუ ალბათ არც ერთ ინტერვიუში არ იტყვოდა: „საერთოდ, წერის დროს შეშინებული ვარ... ზოგჯერ ვცაცხავ, ვორთი. ცხონებული ჩემი ცოლი მეუბნებოდა, რატომ კანკალებ წერისასო. და ჩემს თავს ჩაიხუტებდა...“ „სათვალე ვიყიდე და რამდენიმე საათი ბედნიერი ვიყავი, რადგან ისეთი სათვალე მოვიშორე, სუნთქვას რომ მიშლიდა...“ „ვეყიდები ძაღლებზე. სოფელში მყავდა, დაბერდა და მომიკვდა. მეც კინალამ მოვკვდი...“ „ვენახი მეც მაქვს, აბაშაში, შორს არის და პანდემიის გამო შარშან ვერ გავსახალი, ნელსაც ვერ ჩავალ ალბათ კორონის შიშით...“ „ამ ინტერვიუს მეტი, სხვა რომ არაფერი მქონდეს საქმე, კარგია, მაგრამ, მარტოხელას ამბავი ხომ იცით, ყველაფერი მან უნდა გააკეთოს სახლში, თან ზოგჯერ მუზაც მიჩხვლავს გულში... აი, ახლაც დამანერინა ლექსი. შედეგრი არაა, მაგრამ მაინც ჩემი შვილია...“ ამ საუბრებში ხან ლობიო დავნვით, ხანაც კარტოფილი, და ბოლოს, აი, ეს გამოვიდა:

— მინდა, ინტერვიუ „საბათი“ დავინყო — ის საღამო გავიხსენო, როცა პირდაპირ ეთერში გიყურებდით. როგორ აღმონდით გაჩახჩახებულ ოთახში და, თქვენთვის მოულოდნელად, პრემია გადამოგცეს. მაშინ თითქოს შეცბით, ფეხი მოგეკვეთათ. მერე წერდით კიდევ „ფეხისბუქში“ — მინდოდა, მეტირა, ოღონდ ჩუმად კი არა, დამეცხო ჩემებურად... ძალიან ემოციური წუთები იყო, არა?

— თითქოს კი არა, მართლა შევცბი, გავოგნდი, ანდა როგორ არ გავოგნებოდი, როცა ვიდეოჩანერისთვის ლექსების წასაკითხად მისულს ისეთ რამეს მეუბნება რატი ამალლობელი, რაც ფიქრადაც არ გამივლია გულში. ახალი წიგნი რომ მქონოდა, 2019 წელს გამოცემული, მაშინ, შეიძლება ოდნავ მაინც დავეჭვებულყავი, რომ პოეზიის ნომინაციაში მეორედ მონაწილეობა პრემია „საბა“, ხოლო ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „საბას“ მიღებაზე მის ან, თუნდაც, 75 წლის ასაკში შეიძლება მეოცნება, ამიტომ იყო ჩემთვის ასე მოულოდნელი... მოულოდნელობისგან კინალამ ფეხი მომეკვეთა და თავი რომ არ შემეკავებინა, შეიძლება დავცემულიყავი კიდევ. ტელევიზორში არ ჩანდა, თორემ ფეხი რომ გავიმაგრე, გულიც ხომ უნდა გამემაგრებინა, რომ არ „გამსკდომოდა“ სიხარულისგან. აქეთ კიდევ სიხარულის ცრემლებიც მქონდა თვალბუზე მოწოლილი და ისიც უნდა გამეგრებინა... ასე რომ, თუ ჩემს ემოციურობას გავითვალისწინებ, მაგრად გაუძელი...

— ვახტანგ ჯავახაძემ მაშინ ასეთი სიტყვები თქვა: „ღვანლობისი შესანიშნავი გამარჯვებული ვიყავი. ბათუ დანელია არის პოეტი, რომელმაც პოეზიის ბევრი საიდუმლო იცის“. ეს უმაღლესი შეფასება მგონია, რადგან, ლექსის საიდუმლო იცისო, რომ ვთქვა, ვიფიქრებდი, ალბათ უფრო ტექნიკურ მხარეს, ხელობას გულისხმობს-მეთქი, მაგრამ მან თქვა პოეზიის საიდუმლო — ეს კი სულ სხვაა. რა საიდუმლოა ეს, გაგაფიქრობ?

— ბატონი ვახტანგი ამბობს ჩემზე, პოეზიის ბევრი საიდუმლო იცისო და მე როგორ ვთქვა, თუ რა საიდუმლოა ეს?! რომც შემიძლოს და რომც შეიძლებოდეს, მაინც არ (ვერ) გავამხებდი, რადგან თავის ქება გამომივა. ამას კი ვიტყვოდი: ვახტანგ ჯავახაძემ ჩემზე მეტი იცის პოეზიის საიდუმლო. ახლა თუ მკითხავთ, რა საიდუმლოა ეს, გეტყვით, რომ შეიძლებოდეს ამის თქმა... მოდი, ამაზე ცოტა ვქვამთ... ჯერ სხვა რამე მაქვს სათქმელი: პოეზიის ბევრი საიდუმლო იცისო — ამას ჩემზე მეტი ამბობს ისეთი პოეტი, როგორცაა ბატონი ვახტანგ ჯავახაძე, ეს ცალკე ლიტერატურული პრემიის ტოლფასია. ასე რომ, იმ დღეს მე, შეიძლება ითქვას, მივიღე ორი პრემია ერთდროულად: ერთი საკუთრივ „საბა“ და მეორე ის, რაც ჩემზე თქვა ბატონმა ვახტანგმა. პოეზიის ბევრი საიდუმლო იცისო — ამას პოეტზე ისე ვერ იტყვი, თუ მის ლექსებს კარგად არ იცნობ. ვახტანგ ჯავახაძემ თუ არა, ვის ეცოდინება, ვინ რამდენი იცის პოეზიის საიდუმლო?! ხოლო თუ რა საიდუმლოა ეს, სიტყვით ამის გადმოცემა შეუძლებელია. და თუკი შევძლებთ თქმას, მაშინ რაღა საიდუმლო?



მლო იქნება?! ეს საიდუმლო უნდა ვიგრძნოთ არა ჩვენი შინაური ხუთი გრძობით, არამედ ეს საიდუმლო უნდა ვნახოთ მესამე თვალთ, უნდა მოვისმინოთ მესამე ყური და ვიგრძნოთ მეექვსე, მეშვიდე, მეჩვიდე და ა. შ. გრძობით.

— რაკი „საბა“ ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაიმსახურეთ, ალბათ, ბუნებრივი იქნება, თუ ჩვენი საუბარი თქვენი მრავალწლიანი პოეტური ბიოგრაფიის განსაკუთრებული თუ საეტაპო მოვლენებს მოიცავს. თქვენი პირველი კრებული დავინყოთ — „ქალაქი ფრთებქვეშ“.

— სანამ პირველ კრებულზე მოგიტხრობდეთ, კარგი იქნება, ცოტა რამ მეთქვა, თუ როგორ მივედი იმ კრებულამდე: 1975 წელს „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ დაიბეჭდა ჩემი სამი რითმიანი ლექსი. მერეც დაიბეჭდეს რითმიანი ლექსები „ნობათში“. მერე ურითმო ლექსები წავიღე „ლიტერატურულ საქართველოში“, სადაც თავიდან მოეწონასავით, მაგრამ მერე თითქოს ვიღაც გადავლობა მათ დაბეჭდვას და ბოლოს რომ მივაკითხე, უკან გამომატანეს, რითმიანები მოგვიტანეს. იქიდან ის ლექსები „ცისკარში“ წავიღე. იქ უფრო დიდხანს იდო. თავიდან თითქოს აპირებდნენ დაბეჭდვას. წამოსაღებად რომ მივედი, არ მატანდნენ, მივხვდი, ურითმობის გამო არ მიბეჭდავდნენ და წამოვიღე. რითმიანები მოგვიტანეს, მომადახეს... „ლიტერატურული საქართველო“ და „ცისკრის“ უარის შემდეგ, რა აზრი მქონდა ურითმო ლექსების მიტანას ჟურნალ „მნათობში“, რომლის რედაქტორი იყო ძველი თაობის კაცი, ბატონი გიორგი ნატროშვილი. თავიდან ვჭოჭმანობდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, ვცდი, რას ვკარგავ-მეთქი და წავიღე „მნათობის“ რედაქციაში, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე, პირველი სკოლის გვერდით მდებარეობდა. ბატონი გიორგი დერეფანში ვნახე, მორიდებით მივესალმე და გაზეთში გახვეული ლექსები გადავეცი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ურითმო ლექსებს არც „მნათობში“ ელოდა დაბეჭდვა და ცოტა ხანში საერთოდ დამავინცდა მათი არსებობა... და ერთ დღეს, გამომცემლობა „მერანთან“ შემომხვდა ცხონებული ჯანსუღ ლვინჯილია, ახალდანიშნული იყო მთავარ რედაქტორად. ბატონ ჯანსუღს მივესალმე და მან, შენი ლექსები წავიკითხე „მნათობში“, გაოცებისგან ხმა ვერ ამოვიღე. სასწრაფოდ წარმოადგინე გამოსაცემად შენი პირველი წიგნი „მერანში“, მითხრა ბატონმა ჯანსუღმა. ორიოდ წამში შევიტყვე ორი უზომოდ სასიხარულო ამბავი. სიხარულით აცრემლებული გავიქეცი „მნათობისკენ“ მაღლობის სათქმელად... ბატონი გიორგი თავის ოთახში დამხვდა. მაშინვე მიცნო და, სად ხარ, კაცი, შენო! მერე ერთი „მნათობი“ აიღო, იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ჩემი ლექსები იწყებოდა და გამომიწოდა. ყველა ლექსი დაუბეჭდავს, ცხრა თუ ათი გვერდი იყო. ისე გახარებული და აღლულებული ვიყავი, რომ არ მახსოვს, მაღლობა ვუთხარი თუ არა. წამოვიღე და ჟურნალიც წამოვიღე, არადა, ეს ჟურნალი შენი იყოსო, ბატონ გიორგის არ უთქვამს, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მაჩუქა. რამდენიმე დღის მერე გამომცემლობა „მერანში“, ბატონ ჯანსუღ ლვინჯილიასთან, გამოსაცემად წარვადგინე პირველი წიგნი, რაც ძალიან მალე, ყოველგვარი გეგმისა და რიგის გარეშე გამომიცეს. წიგნს ერქვა „ქალაქი ფრთებქვეშ“.

„ უნუგეზოდ როგორ გავკლებდი?! “

— დიას, წარმატებული წიგნი აღმოჩნდა. ისეთი წარმატება არ ჰქონია ჩემს სხვა წიგნებს, თუმცა მეშვიდე კრებულმა „Mirabilis Vita“ 2009 წელს პირველი „საბა“ დაიმსახურა. „საბას“ „შორტ ლისტში“ იყო ყველა ჩემი წიგნი, რომელიც გამოვიდა პირველი წიგნის წარმატება მაინც სხვა არის. კრებულის გამოცემისთანავე მწერალთა კავშირის წევრად მიმიღეს, რაც ძალიან ძნელი იყო იმ დროს. კავშირში მისაღებად რეკომენდაციები მომცეს თამარ ერისთავმა, ზაჩანა ბრეგვაძემ და გივი გეგეჭკორმა. წიგნს წინასიტყვაობაც გივი გეგეჭკორისა ჰქონდა. იმ პირველი კრებულისთვის შეიძლება მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატიც გავმხდარიყავი, რომ არა ჩემი უარი... ბატონმა შოთა ნიშნაიანიც დამიბარა მწერალთა კავშირში, მდივანი იყო მაშინ. ძალიან მომეწონა შენი პირველი წიგნი და მინდა მაიაკოვსკის პრემიაზე წარგადგინო. ამას მეუბნებოდა პოეტი, ვინც ვერლიბრს არ თვლიდა ლექსად. ბატონო შოთა, თქვენ რომ ვერლიბრი არ გიყვართ-მეთქი?! შენი ვერლიბრი სულ სხვაა, შეიძლება არცაა ვერლიბრი. მაინც უარი უნდა ვთქვა-მეთქი. რატომო, გაუკვირდა ბატონ შოთას. რატომ და ჩემს პირველ წიგნში არაფერია ისეთი, რისთვისაც მაიაკოვსკის პრემიას იძლევიან-მეთქი. მაგას არა უშავს, მე დავრეკავ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში, შენ კი ორი ლექსი მაინც დანერგე ისეთი, პეროიკული რომ იყოს, მიიტანე და უცებ დაგიბეჭდავენო, მითხრა ბატონმა შოთამ. ვერა, ბატონო შოთა, დიდი მადლობა ყურადღებისთვის, მაგრამ მაგას ვერ ვიზამ-მეთქი. არადა ძალიან მიყვარდა და დიდ პატივს ვსცემდი ბატონ შოთას. ვწუხებ, რომ ვანყენინე, ამავე არ დაუფასვე. მერე რომ შემხვდებოდა, ხუმრობით მახსენებდა იმ იმბავს. ზოგჯერ ვფიქრობ, ცხონებულ გიორგი ნატროშვილს რომ არ მოსწონებოდა ჩემი ურითმო ლექსები და არ დაბეჭდა „მნათობში“, რას ვიზამდი? გავგარძელებდი თუ არა ლექსების წერას?! დავრჩებოდი თუ არა თბილისში? მე ხომ ლექსების წერამ ჩამომიყვანა თბილისში?! მე ხომ ლექსების გამო მარტო დავტოვე საწყალი დედა?! და საერთოდ, როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება, გიორგი ნატროშვილს რომ არ დაებეჭდა ჩემი ურითმო ლექსები „მნათობში“?! ეს ამბავი რომ არა, ხომ არ გამომიცემდა პირველ წიგნს

გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია?! პირველ წიგნს თუ ვერ გამოვცემდი, ხომ ვერ გავხდებოდი მწერალთა კავშირის წევრი? მწერალთა კავშირის წევრი თუ არ ვიქნებოდი, ხომ ვერ მივიღებდი ბინას?! ბინა თუ არ მიქნებოდა, როდემდე ვიცხოვრებდი ქირით? სად ვიქნებოდი დღეს? სად გაგრძელდებოდა ჩემი ცხოვრება?! და საერთოდ თუ ვიქნებოდი ცოცხალი?! ამას რომ ვფიქრობ, ჟურნალა მიტანს. ღმერთმა გაანათლოს გიორგი ნატროშვილის სული! კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლებოდა ჩემს პირველ წიგნთან დაკავშირებით, მაგრამ მოდი, აქ შევჩერდეთ, თორემ ისედაც გრძელი პასუხი გამოვივლია.

— სიტყვის ოსტატს არ გაგიჭირდებათ, სწრაფად გადაგვავლებინოთ თვალი გრძელი შემოქმედებითი გზისთვის. თქვენი ლექსი გამახსენდა ახლა, „არილში“ დაბეჭდილი: „ჩემი თავიდან უნდა დამეწყოს გზის გაყვანა და გასულიყავი ისევე ჩემი თავის ბოლოში“.

— მეუბნებით, გრძელი გზისთვის სწრაფად გადაგვავლებინეთ თვალიო. გზა მართლა გრძელია, რადგან პირველი წიგნი 1982 წელს გამოვეცი. პირველი „საბა“ კი 2009-ში მივიღე. 27 წელია მათ შორის. იანვარდით მოფენილი ნამდვილად არ მქონია ეს გზა... მიუხედავად ამისა, პირველი წიგნიდან პირველ „საბამდე“ ათი წიგნით მივედი, აქედან რვა ჩემი ლექსების კრებულია („ქალაქი ფრთებქვეშ“ 1982 წელს გამოცემული, „წყნარი ქუჩა“ 1986-ში, „ტიხარი“ 1987 წელს, „მარტოობის ზამთარი“ 1997-ში, „მთავრის დღესასწაული“ 2003-ში, „შეშლილი ვარსკვლავები“ 2006 წელს, „Mirabilis Vita“ — 2008, „მერვე ბეგრა“ — 2008), ორი კი ჩემი თარგმანების წიგნია: 1993-ში გამოცემული იოსებ ბროდსკის „მოგესალმებით არსაიდან“ და ბორის პასტერნაკის „ექიმ ფიგაგოს ლექსები“, 2009-ის გამოცემა). ასევე ვთარგმნე და გამოვაცხვენი ლეოპოლდ სტაფის პოემა, ედგარ პოს „ყორანი“, გოტფრიდ ბენის, სრეჩკო კოსოველისა და რობერტ ფროსტის ლექსები. ჩემი თარგმნილი ავსტრიელი პოეტების: ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის, რიჩარდ ფონ შუკალის, ანტონ ვილდგანსის, ფელიქს ბრაუნისა და ფრანც ვერფელის ლექსები შესულია მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკის პირველ, მეოთხე და მეხუთე ტომებში. თარგმნილი და გამოქვეყნებული მაქვს აგრეთვე გიომ აპოლინერის, რაიმონ კენოს, პუშკინის, ლერმონტოვის, ბლოკის, ანა ახმატოვას, ბულატ ოკუჯავასა და სხვა უცხოელი პოეტების შემოქმედება. ეს — პირველი წიგნიდან პირველ „საბამდე“.

გზას პირველიდან მეორე „საბამდე“ შეგვიძლია უფრო სწრაფად გადავავლოთ თვალი, რადგან ის არც ისე გრძელია, მხოლოდ თერთმეტი წლის გზაა. ექვსი წიგნი გამომიცია. სამი ჩემი ლექსების კრებულია („სიყვარული ბალახტია“ 2013 წელს გამოცემული, „ასი ლექსი“ 2016-ში, „თოვლის ტენორი“ 2020-ში), სამი კი ჩემი თარგმანების წიგნია: (იოსებ ბროდსკის „ბროდის კუნძული“, 2011-ში რომ გამოვიდა, „შემდეგი საუკუნე“ 2012-ში, „დრო საზღვრებს იქით“, 2018-ში გამოცემული). ბევრი ვეცადე, მაგრამ ამაზე სწრაფად ვერ შევძელი თვალის გადავლება ჩემი გამოცემული გზისთვის. სულ 16 წიგნი გამომიცია 38 წელიწადში, ანუ ყოველ ორნახევარ წელში — თითო წიგნი. შეიძლება ძალიან ბევრი არაა, მაგრამ არც ისე ცოტაა. თუ ათი წელი ვიცოცხლებ, ხუთ წიგნს კიდევ მივუმატებ ალბათ.

— ერთ რამეზე დამაფიქრა თქვენმა ლექსმა „გრანელი“, რომელიც წაკითხვისთანავე შემეყვარდა. ტერენტიზე წერო და ამავე დროს პოეტებზე ამბობთ: და ჭურვებს, ლხენისას, ნუ უშენი პოეტის სადარდელს, კურცხალთა ცვრიანთაროს, თუ ავდრის დრო არი, უდროოდ რად უნდა გადარდეს? /იავდაროს“. სხვაგანაც გითქვამთ, ტანჯული პოეტების შემოქმედება უფრო მიზიდავს, იზიდავს ნახავდი პოეტს, ტანჯული რომ არ იყოს. ნუთუ სტრიქონი ასეთი მტანჯველია?

— არის მტანჯველი სტრიქონებიც: „მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“. ამას რომ დაწერს პოეტი, იმას რა გაახარებს! ანდა: „თბილისი ჩემთვის არის მაღალი გილიოტინა და ეშაფოტი“. 28 წლის პოეტისთვის თბილისი

რატომ გახდა გილიოტინა და ეშაფოტი? ერთი წლის მერე რომ ეთქვა, ვიფიქრებდით, თბილისში ბოლშევიკების შემოჭრამ დაანერგინა... მაგრამ პოეტი ხომ წინასწარმეტყველიც არის! მტანჯველი სტრიქონები ამოდ არ იწერება — გამოხდა ხანი და ქალი, ვინც სიგიჟემდე უყვარდა, გადაუსახლეს და დაუხვრიტეს, თვითონ კი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს... ამაზე მეტი გილიოტინა და ეშაფოტი რა უნდა ყოფილიყო პოეტისთვის?! რაც შეეხება ჩემს სტრიქონს: „თუ ავდრის დრო არი, რად უნდა გადარდეს? იავდაროს! ადამიანს თუ ემწუხარება — იმწუხაროს!“ თუ სიხარულში ვერ გრძნობს თავს კარგად, ხოლო მწუხარებაში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში, იყო იქ და იქ აკეთოს საქმე! დიდი ფშაველიც ხომ ამას ამბობდა: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული“. ტანჯული დიდი პოეტების შემოქმედება მართლაც უფრო მიზიდავს, თუმცა რომელი არაა ტანჯული, ვინც დიდია! არ არსებობს ბედნიერი დიდი პოეტი. მოდი, ქართველი დიდი პოეტები ჩამოვთვალოთ: რუსთაველი, გურამიძე, ბესიკი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ტყეშელაშვილი, ახლა მეზობელი ქვეყნის დიდ პოეტებს გადავავლოთ თვალი: პუშკინი, ლერმონტოვი, ცვეტაევა, მანდელშტამი, ახმატოვა, ბლოკი, ესენინი, მაიაკოვსკი, პასტერნაკი. აი, ამ ქართველი და რუსი დიდი პოეტებიდან რომელი იყო ბედნიერი? არც ერთი! ყველა დიდი პოეტი ტანჯული იყო ყველა დროში და ქვეყანაში. ამ აზრის საწინააღმდეგოდ, იქნებ ვინმემ მიიხრახ, გოეთე არ იყო ტანჯული და უბედური! მართალია, გოეთეს არავინ სტანჯავდა, როგორც გალაკტიონსა და პასტერნაკს, მაგრამ გენიალური „ფაუსტისა“ და „ღამის მგზავრის სიმღერის“ ავტორი როგორ შეიძლება ტანჯული არ ყოფილიყო! ყველა დიდი ნიჭის ადამიანი, როგორი მდიდარიც არ უნდა იყოს, მაინც ტანჯულია, რადგან დიდი ნიჭი ხშირად დააფიქრებს მას სიკვდილ-სიცოცხლეზე და წუთისოფლის ამოუბნებზე...

— და ნუგეში? ნუგეშიც ხომ არის? უპირველესად, მკითხველი. აღიარება. ჯილდოები.

— გასაგებია, მაგრამ ტყეშელაშვილი რაც უნდა გენუგეშებინა და დაგეჯილდოებინა, გაბედნიერდებოდა და მოიხედავდა სიცოცხლისკენ? არც სიცოცხლე მიაჩნდა არაფრად და არც სიკვდილი, რაღაც მესამე მინდაო, და ასეთი კაცისთვის ხომ ნუგეშისცემა და დაჯილდოება წყლის ნაყვია! ანდა მკითხველის სიყვარული და აღიარება აკლდათ გალაკტიონსა და მაიაკოვსკის? მაგრამ მერე, რა? ერთი მეოთხე სართულიდან გადმოფრინდა, მეორემ ტყე ვია დაიხალა. ესენინი? ესენინს აკლდა აღიარება? ან მარინა ცვეტაევა და სილია პლათს?! ან შტეფან ცვიგასა და ერნესტ შპინდელის? მაგრამ ტანჯულები იყვნენ და ვერ გაუძლეს...

— რაღაც მთავარი აკლდათ, ალბათ, ბევრად მეტი და მნიშვნელოვანი. და რა არის ნეტა პოეტისთვის ის მთავარი და აღიარებაზე ბევრად მნიშვნელოვანი?

— აღიარებაზე მეტად მნიშვნელოვანი პოეტისთვის, ალბათ, არის ის, რომ გულს არ დასწყვეტენ. პოეტების თვითმკვლელობათა მიზეზი უმეტესად გული დაწყვეტა უნდა იყოს. ბავშვივით სწყდებათ გული პოეტებს...


— არაფერი გვითქვამს თქვენს ბავშვობაზე, თქვენს დასაწყისზე. როგორი იყო ის და რამდენად ასაზრდოვა ბავშვობამ თქვენი პოეზია?

— ცოცხალ მწერლებს შორის ალბათ უკვე ერთი ვარ, ვინც ისლის სახლში დაიბადა და გაიზარდა. ისლის სახლი იმიტომ ერქვა, რომ ისლით ხურავდნენ, თორემ კედლები ხისა ჰქონდა. გეხსენებათ: დიდი კონსტანტინეს ერთი ლექსი ასე იწყება: „ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი! ქარი! ქარი!“ რა ზუსტია „ქარის“ სამჯერ გამეორება! ქარსა და ისლის სახლს მაინცდამაინც „ქარგი ურთიერთობა“ არ ჰქონდათ. ძალიან დიდ ქარს ერთი საათი ჰყოფნიდა, უსახურავოდ დაეტოვებინა ისლის სახლი, თუ კარგად არ იყო გადახურული... ისლის სახლი მარტო ღარიბების საცხოვრებელი როდი იყო. ის შეძლებულებსაც ედგათ ოდის უკან, ნალიის ახლოს, სხვადასხვა საჭიროებისთვის. სამზარეულოდაც იყენებდნენ. იქ ჰქონდათ კერძიც, რომლის კვამლით შებოლილი შაშხი უფრო

გემრიელი იყო, გაკვამული ისლის წყალობით... მთელი ბავშვობა ისლის სახლში გავატარე. მერე კი იყიდა დედად ორთვალ-იანი ოდა და გვეღირსა შედარებით ნორმალური ცხოვრება, მაგრამ ბებია ვერ მოესწრო იმ დღეს და დედა ნანობდა სულ... ბებოს სიკვდილი იყო ჩემი პირველი ელდა. იქამდეც ვიცოდი, თუ რა იყო სიკვდილი, მაგრამ ის იმ ქოხშიც რომ შემოვა, სადაც შენ, თორმეტი წლის ბიჭი, შენს ნებაზე გადი-გამოდიხარ, ნიგნს კითხულობ, ფიქრობ, ოცნებობ და, საყვარელ ბებიას მოგიკლავს, მაშინ უფრო საშიში ხდება... მახსოვს, როგორ ვყვიროდი თავზარდაცემული. დედის და დედისი კვილი ფარავდა ჩემი ხმა, ისე ძლიერ მიყვარდა ბებია. ბაბუა, ჩვენს სოფელში, მდინარე აბაშაზე, რაც ჩვენი სახლის უკან მიედინება, ხიდის მშენებლობაზე მუშაობდა და ხშირად უხებოდა ზამთრის ცივ წყალში ჩასვლა. იქ დამართვია ფილტვების ანთება. ბებიას მის სამკურნალოდ გაუყვია ნაბლის ოდა, მაგრამ ბაბუა მაინც ვერ გადაარჩინა, ოდის ფული კი ამოდ დაეხარჯა საწყალს. ასე დაქვრივდა ბებია ოცდარვა წლის ასაკში. დარჩა პატარა ისლის სახლი და ხუთი შვილი. მეექვსეზე (დედაჩემზე) ფეხმძიმე ყოფილა. სიღარიბის გამო სამი შვილი მოუკვდა, სამი კი სხვისი გაზარდა, დედინაცვლებს გამოქცეული... დედა მიყვებოდა მეგრულ ზღაპრებს. ისეთი კარგი მოყოლა იცოდა, ერთსა და იმავე ზღაპარს მეხადე ვაყლინებდი. გიტარაზე უკრავდა და მავშლიასავით ტკბილი ხმა ჰქონდა. რამდენჯერ მიმღერია მასთან! მომღერალი გამოხვალო, მეუბნებოდა... ისიც დედასავით მზრდიდა და, დედას კი არა, შუქია დედას ვეძახდი. ბავშვობაზე იმდენი მაქვს სათქმელი, კაი სქელი ნიგნი გამომივა. მაინც რა ასაკამდე ადამიანი ბავშვი? ამაზე ბევრი მიფიქრია და ყოველთვის ერთ აზრამდე მივსულვარ: ადამიანი ბავშვია პირველ სიყვარულამდე, ანუ იქამდე, ვიდრე არ იგრძნობს ტანჯვას სიყვარულის ვერგამხელით... მე, მეორეკლასელს, რომამეკლასელი ძალიან ლამაზი გოგო რომ შემიყვარდა, მაშინ დამთავრდა ჩემი ბავშვობა. მერეც ვიყავი ბავშვი ასაკით და შეხედულებით, მაგრამ იქამდე რომ ვიყავი, ის ბავშვი სხვა იყო... ეს კი სულ მიკვირდა და ახლაც მიკვირს, პოეტი და ტირანი, ორივენი ერთი ამქვეყნიური სამოთხიდან, ბავშვობიდან რომ მოდებიან...

— პოეტების რომელი თაობა ყველაზე ძლიერი მეოცე საუკუნეში?

— ამაზე ბევრჯერ დაფიქრებულვარ. არის ორი უძლიერესი თაობა: „ცისფერყანწლები“ და „ცისკრელები“, მაგრამ რომელია უფრო ძლიერი? „ცისფერყანწლებთან“ ჯგუფი გალაკტიონს რომ არ დაეტოვებინა და გრანელიც ყოფილიყო მათი ჯგუფის წევრი, მაშინ დაუფიქრებლად ვიტყვოდი, რომ „ცისფერყანწლები“ ყველაზე ძლიერი თაობაა მეოცე საუკუნეში. მათ სასტიკი დროის კატაკლიზმებმა გადაურა და ზოგი ალაღბებულე გადარჩა, ზოგი გადაასახლეს, ზოგი დახვრიტეს, ზოგამაც თავი მოიკლა, თორემ ისეთი ნიჭიერები და განათლებულები იყვნენ, რომ მერე და მერე უფრო დიდ პოეზიას შექმნიდნენ. თუმცა რაც მოასწრეს, ისიც ერთ ტკბილად დაბრუნებულ თაობას ეყოფოდა და იმიტაც შეიძლება მეოცე საუკუნის ძლიერი თაობა ვუნოდოთ. „ცისფერყანწლებმა“ უთუოდ ახალი სიტყვა თქვეს. მათ ქართულ პოეზიაში კარი გაუღეს ვეროპიდან წამოსულ ახალ მიმდინარეობას — სიმბოლიზმს. მათ დაწერეს ახლებური ლექსები, ახალი რითმებითა და მეტაფორებით მაშინ, როცა პოეზიაში ჯერ კიდევ დაჰქროდა ორიოდ წლის წინ გარდაცვლილი აკაკის ლანდი და ყოველ მეორეს პირზე ეკერა სტრიქონები მისი „სულიკოდან“ და „განთიადიდან“, გართიმული ტრადიციული „ეო-მეოთი“ და თანაც, ჯერ კიდევ გამოსული არ იყო გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“... „ცისკრელებმა“ ახალი სიტყვა თქვეს. მათ შემოიტანეს ლირიკული პოემა, რაც ახალი ხილი იყო პოეზიაში. თავიდან ძალიან არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ მალევე დაიწყეს თავთავიანთი გზის გაყვანა, იპოვეს საკუთარი ხმა, მანერა, განწყობა. შექმნეს პოეზიის ახალი ჟანრი — ირონიულ-პაროდული ლირიკა (ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე). დაკვირვებული მკითხველი (პოეზიის მოყვარული) ხელმოუწერლად იცნობს მათ ლექსს. მათ წერის კულტურა და დახ-



ვწილობის ხარისხი აიყვანეს უმაღლეს დონეზე. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მათ პოეზიაზე. „ცისკრელებს“ თაობა ყველაზე ძლიერი თაობაა მეოცე საუკუნეში.

— რითმის დიდოსტატია, მაგრამ ახლა ურითმო ლექსი წაიკითხა, ზემოქმედება კი ათასჯერ მეტიაო — დაჯილდოების საღამოს თქვა რატი ამაღლობლმა თქვენზე, როცა დედაზე დაწერილი ლექსი წაიკითხეთ. რატომ შეინდამაინც ეგ ლექსი?

— მე ხომ არ ვიცოდი, „საბას“ პრემიას რომ მომანიჭებდნენ? რატომ დამიმალა და ვითომ ვიდუღო ჩასაწერად დამიძახა, ლექსები უნდა წამეკითხა. აბა, „საბას“ მისაღებად ლექსები ვის მიატქვს წასაკითხად! ორი ლექსი ავარჩიე: ერთი რითმიანი და ერთი ურითმო. მთელი კვირა ვცდილობდი ორივე ზეპირად მესწავლა, მაგრამ რითმიანი ვერ დავიზეპირე ვერაფრით (საერთოდ ვერ ვიზეპირე ლექსებს), ამიტომ გადავწყვიტე ის პატარა ურითმო ლექსი წამეკითხა დედაზე. ხოლო რომელიც ვერ დავიზეპირე, იმ რითმიანს მობილურით, „ფეისბუქის“ კედელზე წავიკითხავდი... მაგრამ იქ მისულს, ისეთი მოულოდნელი ამბავი დამხვდა, რომ ლექსების წაკითხვის თავი წამდვილად არ მიქონდა. თუმცა რაკი რატომ მიიხრახ, წაკითხეთ, წავიკითხეთ, რომელიც ზეპირად ვიცოდი. თორემ გინახავთ, „საბათი“ დაჯილდოებისას ლექსი წაკითხოს ვინმეს?!

— თქვენ თარგმნით ბროდსკის, ედგარ პოს, პუშკინს, პასტერნაკს, ბევრ სხვას. მანჩრეტებს, პოეტის მიერ სხვა პოეტის თარგმნის პროცესში — თანაც სრულიად განსხვავებული სტილის, სიტყვის, რიტმის, მუსიკის თარგმნისას — რა არის ყველაზე რთული და ყველაზე იოლი?

— ამ კითხვის ბოლო სიტყვებმა ჩვენი ბესიკის ერთი ლექსის ფინალს გამახსენა: „ყველაფერი ძალზე რთულია, ძალზე რთულია და ძალზე ძნელი“. მე ამ სტრიქონების პერიფრაზს ასე გავაკეთებდი: არაფერი არაა იოლი, არაფერი არაა იოლი და ადვილი... თუმცა როგორ არაა?! არის! იოლია ცუდად წერა, ცუდად თარგმნა, ცუდად ცეკვა, ცუდად მღერა და ა.შ. პუშკინს თარგმნი თუ პასტერნაკს, ედგარ პოს თუ ბროდსკის, მათი ლექსები შენს ლექსებს არ უნდა დაამგვანო. თითოეული ლექსის თავისებურება უნდა დაცვა, ზედმინეფით თუ არა, შეძლებისდაგვარად მაინც. უამისოდ აზრი არ აქვს პოეზიის თარგმნას. ხოლო თარგმნისას რა არის ყველაზე რთული და ყველაზე იოლი? იოლი რაც არის, ზემოთ ვთქვი. კარგად გაკეთება კი ყველაფრისა რთულია, გინდა ლექსის თარგმნა იყოს და გინდაც თოხის ტარის გამოთლა. „ყველაფერი ძალზე რთულია, ძალზე რთულია და ძალზე ძნელი“.

— ცალკე მინდა, გკითხოთ ბროდსკიზე. ალბათ ყველა პოეტი, რომელიც თარგმნით, ძვირფასია თქვენთვის, მაგრამ ბროდსკის, მის სტრიქონებს ყველაზე ხშირად ვხვდები ხოლმე თქვენს ფეისბუქჩანაწერებში. მასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობთ?

— დიახ, მე ხშირად ვდებ „ფეისბუქზე“ ბროდსკის ლექსების ჩემულ თარგმანებს, რადგან, ვინც ვთარგმნი იმ პოეტებს შორის, ბროდსკი ფორმითა და შინაარსით ყველაზე ახალი პოეტი, თუმცა სიახლეს ყოველთვის ნაკლები მონივნება აქვს ხელო-

ვნების ნებისმიერ სფეროში და პოეზია გამონაკლისი წამდვილად არაა. ბროდსკის ლექსთა თარგმანების პირველი ნიგნი რომ გამოვეცი და ვუსახსოვრე კოლეგებს, უფროსი თაობის ერთმა ჩემმა უსაყვარლესმა პოეტმა მიიხრახ, შენ თარგმნი ასე კარგად, თორემ ბროდსკი ასეთი კარგი პოეტი არ არისო! ხოლო უფროსი თაობის მეორე, ჩემი საყვარელი პოეტი მარწმუნებდა, რომ ბროდსკის ებრაელებმა უყიდეს ნობელის პრემია, თორემ ის იმხელა პოეტი არაა, როგორც შენს თარგმანებში ჩანსო! მე, რა თქმა უნდა, არ დავუჯერე და გავაგრძელე ბროდსკის ლექსების თარგმნა. ბროდსკიში ძალიან ნიჭიერი და ახალი პოეტი რომ არ ენახა ანა ახმატოვას, მაშინ რატომ იმეგობრებდა ნახევარი საუკუნით უმცროს ახალგაზრდა შემოქმედთან? სხვა ახალგაზრდა პოეტებიც იყვნენ იმდროინდელ ლენინგრადში, მაგრამ ახმატოვა მხოლოდ ბროდსკისთან მეგობრობდა. რაც შეეხება ჩემ სიახლოვეს ბროდსკისთან, არავითარ სიახლოვეს არ ვგრძნობ. ის სხვაა, მე — სულ სხვა.

— თქვენი ბოლო პოეტური კრებული „პეგასმა“ გამოსცა. თოვლი იმდენად გიყვართ, რომ კრებულსაც „თოვლის ტენორი“ დაარქვით. თოვლზე ბევრი ლექსი დაგინერიათ და ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ კიდევ, თოვლი თავად ლექსია, პოეტი კი მისი გამამწერიო. ჩემი შეკითხვაც ბოლოს გამოცემულ კრებულსა და თოვლზეა.

— დედისერთა ვიყავი და მარტოობა ბავშვობიდან დამეხებდა. მეზობელი ბავშვები, და-ძმები, ბლომად იყვნენ და ერთმანეთთან თამაშობდნენ. მე მათთან არ მიშვებდნენ სათამაშოდ, ეშინოდათ, რადგან უზომოდ ცელქი და მოუსვენარი ვიყავი... დედა სამსახურში დადიოდა. ბებოსთან კი მიყვარდა ლაპარაკი, მაგრამ ის უფრო მეტად ჭკუას მარიგებდა, რაც ძალიან არ მომწონდა. ძალი, კატა და მე ვიყავით მაგარი მეგობრები. ზამთარში მათ ემატებოდა ჩემი კიდევ უფრო დიდი მეგობარი — თოვლი. და გარდა თოვლის ბაბუისა, ჩვენი ისლის სახლის წინ მე ვდგამდი თოვლის ბავშვებსაც, ოლონდ ჩემზე „უმცროსებს“, ჩემი „დამჯერები“ რომ ყოფილიყვნენ, თითქოს ჩემი პატარა და-ძმები იყვნენ და მათ სახელებსაც ვარქმევდი, ისეთ სახელებს, არავის რომ არ ერქვა და თოვლის სილამაზეს შეეფერებოდა. დღისით თუ თოვდა, სახლში რა გამაჩერებდა! გავეცეოდი ბებიას და მთელი დღე დაკვროდი თოვალში. ჩემი შავი ძალი გერიაც დარბოდა ჩემთან ყეფა-ყეფით და სიხარული ისე იფრქვეოდა ჩემგან, როგორც თოვლის ფანტელები ციდან. ყველაზე უფრო კი ის მიხაროდა, რომ როცა ზამთარს ძალა დააკლდებოდა, გადარდებოდა და მზე თოვლს ყველგან დაადნობდა, ჩვენი ისლის სახლის წინ კიდევ რამდენიმე დღე იდგნენ ჩემი დიდი თოვლის ბაბუა და პატარა თოვლის ბავშვები, რომლებსაც მე დავჩემი შავი გერია დიდი ამბით შეყურებდით... მაშინაც მარტო ვიყავი... იქიდან მომყვება თოვლის სიყვარული. მერე კი ცხოვრების მეგობრულ თოვლივით თეთრი და ლამაზი შემხვდა, მასთან უდროოდ დამაშორა სასტუმარმა ბედისწერამ და ესეც გახდა მიზეზი, თოვლისადმი ჩემი ესოდენ დიდი სიყვარულისა.



ბათუ დანელია: „უნუბეზოდ როგორ გავკლავდი?!“

დასასრული

თოვლი საოცარი და სასწაული მშვენიერებაა და დიას, ერთგან ვთქვი, თავად თოვლია ლექსი-მეთქი. იმ პოეტს, რომელსაც მესამე თვალს აქვს, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ მაინც შეუძლია მისი გადმონერა უშეცდომოდ. თოვლისგან უშეცდომოდ გადმონერული ლექსია გალაკტიონის „თოვლი“. ჩემს ბოლო წიგნს „თოვლის ტენორი“ დავარჯე. მასში 2013 წლიდან 2020-ის ზაფხულამდე დაწერილი ლექსები შევიდა. ბევრი ლექსი დამინერია შვიდ წელიწადში — ნიგნი ოთხსაგვერდიანია და ნახევარი ძლივს ჩაეტი. უღრმესი მადლობა მწერალთა სახლის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნატა ლომოურს, ნიგნის დაფინანსებისთვის!

— მაშინაც მარტო ვიყავი, თქვით...
— მარტოობა ბავშვობაშივე გამოიტკბა და მთელი ცხოვრების გზაზე მომყვება. მარტოობას შეუძლია გაგათბოს, მოგეფეროს, გელაპარაკოს, მოგიხმინოს, განუგებოს. მარტოობას შეუძლია მარტო არ გაგრძობინოს თავი და ვისიც გინდა, იმის მაგივრობა გაგიწიოს.

აბა, ამდენი ხანი უსიყვარულოდ როგორ გავძლებდი! ან ამდენი ხანი სიცივეში როგორ გავძლებდი! ანდა ამდენი ხანი უნუგემოდ როგორ გავძლებდი?
37 წლისა ვიყავი, როცა დავკვრივდი და მეორედ რომ ვერ დაეჯახა, ამაში წველილი მარტოობაც მიუძღვის...

ვისაც მარტო ყოფნა არ შეუძლია, მას არასოდეს გაუჩნდება წერის თუ ხატვის სურვილი. ხელოვნებაში რაც კი შექმნილა, ლექსი იქნება თუ რომანი, ფერწერა თუ სკულპტურა, სიმღერა თუ სიმფონია, ყველაფერი მარტოობაში შექმნილა. მარტოობა რომ არა, ყველა დღემდე არსებული ცივილიზაცია ათასწლობით დაგვიანდებოდა... მარტოობაში ყალიბდება ღვთისგან ბოძებული ინტელექტი. და ყველაფერი, ნემსით დაწყებული და კომპიუტერით დამთავრებული, მარტოობაში გამოიგონეს.

ადამიანთა მარტოობის გარეშე კაცობრიობა წინ ვერ წავა.
მე კარგი მეგობრები მყავს, მაგრამ ჩემი ყველაზე უფრო კარგი და ერთგული მეგობარი მარტოობაა.

მარტოობა ჩემთვის სულიერი არსებაა, მას მხოლოდ სხეული არ გააჩნია.

— ბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: რა გეგმები გაქვთ, რის გამოცემას აპირებთ, რაზე მუშაობთ?..

— შემოქმედებით გეგმებზე რა გითხრა! პოეტები და გეგმები ისე არიან, როგორც თხა და მგელი. პროზაიკოსი კიდევ ჰო! როცა პროზაიკოსი რომანს წერს, მას შეიძლება ჰქონდეს გეგმა, დაწეროს დღეში 10 ან 15 გვერდი. პოეტს კი, ღმერთმა უწყის, როდის მოაკითხავს სტრიქონი. ასე რომ, შემოქმედებითი გეგმა არა, მაგრამ რამდენიმე ოცნება კი მაქვს: პირველი — ნიგნად გამოცემა იმ ლექსებისა, რომლებიც არ ჩაეტი ბოლო კრებულში. მეორე — თარგმანების ერთ ნიგნად გამოცემა. მესამე — ლექსების ორტომეულის გამოცემა. მეოთხე — რჩეული ლექსების გამოცემა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო! რაც შეეხება ახალი ლექსების წერას, ჯერ მენერება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც ოცი და ოცდაათი წლის წინ მენერებოდა, თუმცა მუზისთვის სასაყვედურო არაფერი მაქვს.

ესაუბრა თამარ შურული



„თქალდაპარული ყივჩაღის ჩანაწერი“ არის რომანი, რომელიც ბევრ საინტერესო თემას აერთიანებს. ერთი შეხედვით, ამ ნაწარმოებში მოქმედება ორ დამოუკიდებელ ხაზად სრულიად განსხვავებულ დროსა და ადგილას ვითარდება — მე-13 საუკუნის შუა აზიაში, დიდი ყივჩაღეთის ველებზე, ანუ დემთი ყივჩაღში და 21-ე საუკუნის დასაწყისის თბილისში. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას, საქმე ბევრად რთულადაა.

მთხრობელის ტიპი ტექსტში იცვლება. ყივჩაღის შემთხვევაში, საქმე გვაქვს არასანდო მთხრობელთან, რადგან თავად ყივჩაღი მოგვითხრობს ამბავს, ხოლო 21-ე საუკუნის თბილისის ამბავი ყოვლისმომსწრე და ყოვლისმცოდნე მთხრობელის პერსპექტივითაა გადმოცემული.

ეპიგრავები მათეს სახარებებიდან და ყურანიდან ერთგვარი გასაღებია და ყოველი თავის საზრისის ამოცნობაში გვეხმარება.

ამბავი იწყება ბრძოლით და თვალის დაკარგვით, შემდგომ მოულოდნელად ვინაცვლებთ თბილისში, სადაც „სექსუალური ბრძოლაში“ ვერთვებით. დაბნეულობას იწვევს სიუჟეტის ხშირი ცვლა.

საინტერესოა, რომ თუ ბაბური თავად გვიყვება თავისი ბრძოლის ამბავს, გიორგის გაცნობას მისი საყვარელ ქალებთან ურთიერთობით ვინყვებთ, რაც, ერთი მხრივ, კარგად წარმოაჩენს მის მასკულინურ სანყისს, მეორე მხრივ კი, უამრავ ადამიანურ სისუსტესა და მანკიერებას შეიცავს და ვერც საკუთარ ვნებებს უმკლავდება და ვერც ალკოჰოლურ თრობას.

ტექსტს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს: ყივჩაღი მეგრძოლი — ბაბური და ვერ-შემდგარი, ტრავმირებული გიორგი ასათიანი. მათ ბევრი საერთო აქვთ, ორივე მამიდამ გაზარდა, იციან, რას ნიშნავს ბრძოლა და სიკვდილთან თამაში. გიორგის და ბაბურსაც აქვთ პროტესტი. პირველ შემთხვევაში ეს დროის, ახალი ეპოქის წინააღმდეგაა მიმართული, რომელსაც ის ვერ მოერგო, მეორე შემთხვევაში კი სასულიერო პირებისა და გარკვეული ტრადიციებისადმი შეუგებლობაა... ისინი აკრძალული სიყვარულის გამო იღუპებიან.

ქალები მასკულინური პერსპექტივითაა აღწერილი, ისინი ვი ნების, სურვილის და ტრფობის ობიექტები არიან. თუმცა თავადაც ძლიერი ადამიანები, გამოირჩევიან თავისუფლების განცდითა და ნებისყოფით, რომლებიც ქართველებს გმირულად უმკლავდებიან.

რომანში არ არის ერთმნიშვნელოვნად კარგი ან ცუდი პერსონაჟები, უფრო მეტად ტრაგიკული უფროა, რომლებიც გარემოს ვერ მოერგნენ, შეცდომები დაუშვეს. მკითხველს ემპათია გაუჩნდება გმირებისადმი, შესაძლოა, საკუთარი თავიც კი ამოიცნონ მათში ან მეგობარი ახლო გარემოცვიდან.

მარიამ თათხაშვილი დროში დაკარგული მებრძოლების არქივი

ტექსტი პოლითემატურია, რადგან ბევრ თემას მოიცავს და ყველა შეიძლება, იპოვოს მისთვის საინტერესო ნაწილი და მიიღოს კითხვები მასში. შევეცდები, რამდენიმე მათგანზე გავამახვილო ყურადღება.

სიკვდილ-სიცოცხლის თემა — რომანში რუსთველისეული აფორიზმი კითხვის ნიშნითაა წარმოდგენილი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი...“ ამ საკითხის წარმოსაჩენად ნიგნში ორი სემანტიკური ოპოზიციაა: ბაბურის და მისი მამის სახით. სახელოვანი სიკვდილის, მაგრამ ცოდვილი ცხოვრების სახეა ბაბური, ხოლო ნაზრახი, მაგრამ პატიოსანი სიცოცხლის — მამა. ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია, რომ ისევე სახელოვანი სიკვდილი სჯობს უსახელოდ დაკარგულ სიცოცხლეს, რადგან მამამისი მხოლოდ ბაბურს ახსოვდა და ეძებდა.

გამარჯვება-მარცხი — ტექსტი გვეუბნება, რომ გამარჯვება შეიძლება, მარცხად იქცეს და მარცხი — გამარჯვებად. მაგალითად, ბრძოლა, სადაც ბაბურმა თვალის დაკარგვა, მისთვის გამარჯვების მიუხედავად, საბედისწერო მარცხად გადაიქცა.

შიში — ეს არის გრძობა, რომლის გარეშეც არავინ ცხოვრობს, მთავარია, ის არ იქცეს ჩვენ მამოძრავებელ ძალად. სწორედ შიში აღმოჩნდება დამლუპველი ყივჩაღისთვის, რადგან მას ეშინია, ჯაბანად არ ჩათვალოს, ვისაც შურისძიება არ შეუძლია და კლავს ადამიანს, რომელმაც თვალი დააკარგინა.

ომი, კონფლიქტები, დაკარგული თაობა — ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება ამ თემასთან დაკავშირებით: რა მოიტანა ომმა? აუცილებელი იყო ძმთა შუღლი? როგორ გრძელდება ცხოვრება ომის შემდგომ? დაკარგული თაობა წარმოდგენილია გიორგი ასათიანისა და მისი მეგობრების სახით. როდესაც ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, ჰქონდათ მიზანი — გამარჯვება ან მარცხი, ომის შემდგომ კი დაკარგეს მიზანი და ვერ მოერგნენ ახალ გარემოს. აღნიშნულია, რომ როდესაც გაქვს მიზანი, მამინ ცოცხლობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი ცხოვრება არსებობას ემსგავსება, ამის ნათელი მაგალითია გიორგი.

აფხაზებთან კონფლიქტი — კარგად ჩანს გოგა ჭყონისა და აფხაზი ტყვეს, რომელიც გმირის მოსახელე და მოგვარე ასევე გოგა ჭყონია, დიალოგში. ნათელია, რომ ორივე მხარეს ჰქონდა თავისი არაუმეტეები, დასკვნა კი ჩვენ უნდა გამოვიტანოთ.

ტრადიცია თუ თავს მოხეული მანკიერებანი — მთხრობელის მიერ აღნიშნულია ქართველების მანკიერი ტრადიციები, მაგალითად, როგორიცაა უზომო სმა; აუცილებლობა, რომ სტუმარს რაც შეიძლება ბევრი დააღვინო. კითხვა ისმის: ეს ტრადიციაა თუ მანკი ჩვევის გასამართლებელი არგუმენტი?!

ობლობა — რომანის ორივე მთავარი პერსონაჟი ობლობა, თითქოს ეს განსაზღვრავს მათი ხასიათის შტრიხებს. უშობლოდ დარჩენილი ადამიანი ჰგავს დაჭრილ მხეცს, რომელიც დასახმარებლად არავის იკარებს, მან თავად უნდა მოიპოვოს ჭრილობები, მხოლოდ საკუთარი თავის იმედადაა დარჩენილი. გიორგიც და ბაბურიც სიკვდილის წინაშე მარტო აღმოჩნდებიან, მათ არავინ დაეხმარება.

არჩევანი-დილემა — პერსონაჟები მუდმივად არჩევანის წინაშე არიან, რომელი ქალის სიყვარული უფრო უპირატესი და მნიშვნელოვანია. აირჩიონ, იბრძოლონ თუ დამარცხდნენ — სახელოვანი სიკვდილი თუ ნაზრახი სიცოცხლე.

ტექსტის გარკვეული ნაწილი ეთმობა ირაციონალურ, ქვეცნობიერ სიზმრის სამყაროს. გიორგი მუდმივად ისეთ სიზმრებს ხედავს, რომლისგანაც თავის დაღწევა უჭირს, რადგან მის ქვეცნობიერს არ მოწონს რეალური გარემო. ბაბური კი ნანახი სიზმრის ახდენის მოლოდინშია და ხშირად ასეც ხდება. სიზმარი აღმოჩნდება ამ ორი სამყაროს შემკავებელი რგოლი.

ნიგნი გვადღევს მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას და საფიქრალს გვიტოვებს. თუ ჩავთვლით, რომ გიორგის და ბაბურის ამბავი ორი სხვადასხვა ისტორიაა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი ქმნის მებრძოლის არქივს. არ აქვს მნიშვნელობა, სად და რომელ საუკუნეში ცხოვრობს ადამიანი, მებრძოლი მებრძოლია. ის მუდმივად მიიღვების ხიფათისკენ, მოსწონს ცეცხლთან თამაში, ცხოვრებაშიც ეძებს იგივე ადრენალინს, რაც ბრძოლის ველზე ჰქონდა, აქვს პროტესტი, რისი მეშვეობითაც არ ნებდება და ბოლომდე იბრძვის. ბაბურსაც და გიორგისაც საერთო ბედი აქვთ, რადგან ორივე მებრძოლია მსგავსი ცხოვრების წესით.

გარკვეული მინიშნებები ტექსტში გვადღევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ ყივჩაღი ბაბურის ალტერ ეგოა გიორგი ასათიანი, მისი სისუსტეებისა და შიშის განსხვავებაა. არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბაბურის სიზმარი, სადაც ზღვის მბრძანებელი ისეთივე ჟარგონული ტერმინოლოგიით საუბრობს, როგორც გიორგი და, რაც მთავარია, ყივჩაღს ბრძოლის შეწყვეტას სთავაზობს და ჰედონიზმისკენ მოუწოდებს.

ასევე შემთხვევითი არაა, რომ სიზმარულ ჩვენებაში ყივჩაღის მეგობარს და თანამებრძოლს — მანსურს — ალქაჯი იტაცებს, გიორგის შეყვარებულის სოფოს სახე აქვს, მისი აესულის სახითაა წარმოდგენილი. ეს მინიშნება ბაბურის სიკვდილზეც, რომ მას მისი სისუსტე, შიში დაღუპავს. ამის დასტურია ისიც, რომ საიქიოში მოხვედრილი ბაბური არჩევანის წინაშე აღმოჩნდება, მონასტერს შეაფაროს თავი თუ მიეჩოს. მას ეს სიზმარი უკვე ნანახი აქვს და შედეგიც იცის. აირჩევს მონასტერს, მაგრამ მონაზონი მარიამი არ შეუშვებს, რადგან დედათა მონასტერია, მაგრამ გულნატკენი რომ არ გაუშვას, დაენევა და საკვებს მიანდის. იგივე სიზმარს ნახულობს გიორგის მამიდა, რომელიც უკვე მონაზონია, მისი სიზმარის სახელი კი მარიამია. შუააზიელი, იგივე ბაბური, თხოვს თავშესაფარს, ის უარს ეტყვის, მამიდა დაენევა ყივჩაღს, მაგრამ შუააზიელის ნაცვლად ხელში საკუთარი ძმისშვილი, ასევე თვალდაკარგული გიორგი ასათიანი შერჩება. მამიდის სიზმარი კრავს რომანს. თუმცა შეგვიძლია, პირიქითაც ვიფიქროთ, რომ გიორგის ალტერ ეგოა ბაბური, მისი ძლიერი ნაწილის განსხვავებაა, რომლის საშუალებითაც შესძლო ღირსეული სიკვდილი, მიუხედავად ყველაფრისა. თუმცა პირველი ვერსიის სასარგებლოდ მეტი არგუმენტი და ნიგნის სათაურიც იმაზე მიუთითებს, რომ მთავარი ხაზი ბაბურს ეკუთვნის.

ამ მხრივ რომანი ფაზლს ჰგავს და მკითხველის არჩევანია, ბოლო დეტალს სად და როგორ ჩასვამს.

**შედეგი ნომერი
გამოვა
ერთ კვირაში —
11 ივნისს**